

2-5981

საქართველო საპარტიალო



1989

პასუხისმგებელი მდივანი
გელა გერსენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანზო არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
ანუტო ბაბიანი
შოთა გორგოძე
საპაი პარანაძე
ფურცია ლორია
ვახტანგ რაჭმაძე
ზორბოლ რთინიშვილი
თამაზ შავჭავჭავაძე
ვიქტორ შარაშენიძე
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორჯიანი

Ответственный секретарь
Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсанашвили А. Г.
(научный редактор)
Габiani А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.

საჭმომთა სამკრთაღი

№ 3

მაისი

1989 წელი

შურნალი გამოდის 1928 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა რ ს ი

9 აპრილი — ეროვნული ტრაგედია

ო. გამყრელიძე — დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე	3
ა. არსენაშვილი — დავიცვათ მიწათსარგებლობის კანონმდებლობა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება	8 11
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება	18

კანონის კომენტარი

ა. ფალიაშვილი — სისხლის სამართლის საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოე- ბათა გამო	19
კ. ქაჩხაძე — შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა რეგლამენტაცია და გამოყენება	25

სიტყვა ეძლევა ადვოკატს!

ვ. კერესელიძის დაცვითი სიტყვა	32
-------------------------------	----

დავით აღმაშენებელი—900

გ. ნადარეიშვილი — სახელმწიფო და სამართალი, სოციალური წყობილება და კულ- ტურა დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში	37
ვ. ხიონიძე — ყველა რეალურად შესაძლო ვერსიის შემოწმების ორგანიზაცია	42
გ. ზაბეჭკორი — დავიცვათ კანონის მოთხოვნები შრომა-გასწორების დაწესებულებებში	45

პროგნოზები

ჩვენ, ისინი და „არაფორმალური შუამავლები“	49
--	----

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში


ბ. ბიწაძე — საზოგადოებრიობის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში	54
მ. მოსესოვი — ვაჭრობის წესების დარღვევათა ობიექტური მხარე	60
ინფორმაცია	67
ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ	68

კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები	69
------------------------------------	----

ბანცხალება

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულ- ტეტზე შემსვლელთათვის	76
--	----



СОДЕРЖАНИЕ

9 апреля — Национальная трагедия

О. Гамкредидзе — Преступление против человечности 3

На коллегии Министерства юстиции Грузинской ССР

А. Арсенашвили — Соблюдать законодательство о землепользовании 8

Постановление коллегии Министерства юстиции Грузинской ССР 11

Указ Президиума Верховного Совета Союза ССР 18

Комментарий к закону

А. Палиашвили — Возобновление уголовного дела по вновь открывшимся обстоятельствам 19

К. Камхадзе — Регламентация и использование смягчающих и отягчающих обстоятельств 25

Слово дается адвокату!

Защитное слово В. Кереселидзе 32

Давид Агмашенебели — 900

Г. Надарешвили — Государство и право, социальный строй и культура эпохи Давида Агмашенебели в Грузии 37

В. Хюниди — Организация проверки всех реально возможных версий 42

Г. Гегечкори — Соблюдать требования закона в исправительно-трудовых учреждениях 45

Проблемы

Мы, они и «неформальные посредники» 49

Первые шаги в науке

Б. Бицадзе — Участие общественности в предварительном следствии 54

М. Мосесов — Объективная сторона нарушений правил торговли 60

Информация 67

После нашего критического выступления 68

Из истории криминалистики

Известные уголовные дела 69

Объявление

Для поступающих на юридический факультет Тбилисского Государственного Университета имени Ивана Джавахишвили 76



© „საბჭოთა სამართალი“, 1989 წ.

რედაქციის მისამართი. 880110, თბილისი, ღვთისმშობლის ქ. 108,
ტ. 95-88-49, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 26.04.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.05.89 წ.,
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 938 ტირაჟი 41.000 უე 07854

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



დანაშაული აღაპიანობის წინააღმდეგ

ოთარ ბაგჩალიძე

19103

ყველაფერი შეეძლო ეფიქრა კაცს, მაგრამ ალბათ ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ჯარი, რომელიც ვალდებულია თავისი ქვეყანა გარეშე მტრის შემოსევისაგან დაიცვას, საკუთარ ხალხს ისე გაიმეტებდა დასარბევად და ასაწიოკებლად, ისე დახოცავდა და დაასახიჩრებდა უმწურო ადამიანებს, როგორც ეს ცხრა აპრილს ჩვენს დედაქალაქში მოხდა. რაც უფრო ღრმად უკვირდები და აანალიზებ კაცი ცხრა აპრილის ამბებს, მით უფრო ნათელი ხდება, რომ ეს ტრაგედია შესაბამისი ხელისუფლების მიერ წინასწარ კარგად გააზრებული, გულმოდგინედ შემუშავებული გეგმის ლოგიკური, აუცილებელი შედეგი იყო. მრავალრიცხოვან თვითმხილველთა გამოკითხვით და სხვა დამამტკიცებელი საბუთებით აშკარად ვხედავთ, რომ მთავრობის სასახლის წინ გამართული მიტინგი, რომელიც არმიის ნაწილებმა ასე სასტიკად და ბარბაროსულად დაარბიეს, თუმცა არასანქციონირებული, მაგრამ მაინც სრულიად მშვიდობიანი გახლდათ. ის ფაქტი, რომ მიტინგის მონაწილეებს მთავრობის სასახლის წინ გამოკიდებული ჰქონდათ ზოგიერთი მიუღებელი ლოზუნგი, რასაკვირველია, ჯარის შემოყვანის კანონიერების დასაბუთებისათვის არ გამოდგება. მით უმეტეს ვერ გაამართლებს ეს ფაქტი უმწურო ადამიანების, კერძოდ, შიმშილით დაუძღურებული ახალგაზრდების შეუბრალებლად დარბევას და ქალებისა და ბავშვების დახოცვა-დასახიჩრებას.

ჯარის ნაწილები რომ მიტინგის ჩვეულებრივ დაშლას არ ისახავდნენ მიზნად და რომ მათ ხალხის რბევა-აწიოკება, ხოცვა-ჟლეტა ჰქონდათ ჩაფიქრებული, ამას მოწმობს ოპერაციის ჩატარების დროც. ამ აქციის ორგანიზატორებმა კარგად იცოდნენ, რომ გამთენიისას ადამიანის სხეული განსაკუთრებით მოდუნებულია და მაშასადამე, უმწურო მდგომარეობაში იმყოფება. თანაც ამ დროისათვის ჯერ კიდევ ბნელა და ქალაქსაც სძინავს. ასე, რომ მათი ბოროტი ზრახვების გამოვლენისა და მხილების უფრო ნაკლები შანსი არსებობდა. სად დღისით-მზისით ჩატარებული აქცია, როცა მთელი ქალაქი ფეხზეა და ქუჩებიც ხალხითაა სავსე და სად ღამით მოწყობილი რბევა უმწურო ადამიანებისა. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, ნათქვამია. განა „ბართლომეს ღამის“ ორგანიზატორებმა ასევე ღამის სიბნელე არ გამოიყენეს თავიანთი მზაკვრული მიზნებისათვის ან ფაშისტური გერმანიაც სწორედ გამთენიისას არ დაესხა თავს საბჭოთა კავშირს?

საგულისხმოა მილიციის როლიც იმ ავბედით ღამეს. აშკარა გახდა, რომ მილიციამ ამ აქციის დროს ხალხს დაუჭირა მხარი. რიგითი მილიციელები შველოდნენ საფრთხეში ჩავარდნილ ადამიანებს და ისინი დიდი რისკის ფასად სამშვიდობოს გაჰყავდათ, რისთვისაც ბევრი მათგანი თვითონ დაზიანდა ჯარისკაცების მიერ. ეს იმას მოწმობს, რომ ჯარის ნაწილებსა და მილიციას შორის თავიდანვე არ ყოფილა კონტაქტი ერთობლივი მოქმედებისათვის. ეტყობა, სამხედრო ხელისუფლება არ ენდობოდა ქართულ მილიციას და იმედი არ ჰქონდა,

საქ. სსრ კ. მარქსის

რომ მას თავისი ბოროტი ზრახვების შესრულებისათვის გამოიყენებდა. სწორადაც უფიქრია. ღმერთმა ნუ ქნას, ქართული მილიცია ისე დაბრმავდეს, რომ საკუთარ მოძმეზე ხელი აღმართოს, მტერი და მოყვარე ვერ გააჩიოს.

მაგრამ სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი აქცია ცხრა აპრილს არ დამთავრებულა. იგი გაგრძელდა შემდეგ დღეებშიც და არავინ იცოდა როდის დასრულდებოდა. როგორც ცნობილია, იმ ტრაგიკულ ღამეს უმწეო ადამიანების წინააღმდეგ ალესილ ბარებთან და ხელკეტებთან ერთად, გამოიყენეს ქიმიური ნივთიერება, რომლითაც უამრავი ხალხი მოიწამლა, დღემდე ოფიციალურად დადგენილია ორი ათას ხუთასზე მეტი მოწამვლის შემთხვევა, ცნობილია, რომ მოწამვლის შედეგად რამდენიმე ადამიანი უკვე დაიღუპა. ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა. სამხედრო ხელისუფლებამ გამოიჩინეს დანაშაულებრივი უმოქმედობა, როცა ჯიუტად არ სურდათ დაესახელებინათ ქიმიური ნივთიერების შემადგენლობა. მაგრამ საექიმო კომისიის ძალისხმევითა და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აქტიური ბრძოლით სამხედროებმა დათმეს პოზიცია და დაასახელეს ნივთიერება. ეს ყოფილა „სი-ესი“; რომელსაც ამერიკელები იყენებდნენ ვიეტნამის ომში. მაგრამ სამხედრო ხელისუფალთა დაყოვნებამ ავადმყოფთა მდგომარეობა უთუოდ გააუარესა. ამან გამოიწვია საპროტესტო მიტინგი, რომელიც მაისის პირველ რიცხვებში გაიმართა მეტროს სადგურ „ლენინის მოედანთან“, სადაც მოვიდნენ ქალები ლოზუნგით — „გადაგვირჩინეთ შვილები!“ ახლახან თბილისში იყვნენ საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები შვეიცარიიდან, რომლებმაც ყველა ღონე იხმარეს იმისათვის, რომ დახმარებოდნენ „სი-ესით“ მოწამულ ადამიანებს და დროულად განეკურნათ ისინი. საგულისხმოა, რომ მომწამლავი ვაზებით გაყენებული აღმოჩნდა რუსთაველის გამზირის მიმდებარე შენობები, რომლებშიც ცხრა აპრილის შემდეგ მოიწამლა ხალხი. ასეთი იყო მაგალითად, პირველი საშუალო სკოლა, სადაც მოსწავლეები დაავადდნენ. ასევე დაავადდნენ სტუდენტები თეატრალურ ინსტიტუტში და სხვ.

რომელ იურიდიულ აქტებს ეფუძნებოდა ჯარების შემოყვანა თბილისში და კომენდანტის საათის გამოცხადება? ჯერ-ჯერობით ასეთი აქტი ჩვენთვის ცნობილი არ არის. ვფიქრობთ, ასეთი აქტი არც არსებობს. ცნობილია, რომ მიტინგის დასაშლელად, უფრო ზუსტად, მის დასარბევად შემოყვანილი იყო ორი სახის ჯარები: 1. საბჭოთა არმიის ნაწილები და 2. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები. არმიის ნაწილების შემოყვანა აქ ყოვლად გაუმართლებელია, რადგანაც მიტინგის დაშლა და ქვეყნის შინაგან საქმეებში ჩარევა არმიის საქმე არ არის. რაც შეეხება შინაგან ჯარებს, ამისათვის არ არსებობდა საფუძველი, რადგანაც მიტინგი მშვიდობიანი იყო.

მეორე საკითხია, ვინ მიიღო გადაწყვეტილება ამ ჯარების შემოყვანისა. ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია. თუმცა ოფიციალური ცნობის თანახმად, ეს გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მიუღია. ასევე გამოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიცია კომენდანტის საათის გამოცხადების საკითხში. ბიუროს რეკომენდაციის საფუძველზე ცხრა აპრილის ნაშუადღევს მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლითაც თბილისში გამოცხადდა კომენდანტის საათი. გაურკვეველია ისიც, თუ ვინ დანიშნა ქალაქის კომენდანტად გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი, რომელმაც კომენდანტის საათის შემოღება ქართველ

ხალხს აცნობა რუსულად ტელევიზიით ამ საათის დაწყებამდე ოთხი წუთით ადრე. აქ დარღვეულია სამართლის ელემენტარული მოთხოვნები, რასაც შედეგად ყოვლად გაუმართლებელი მსხვერპლი მოჰყვა. ერთი სიტყვით, ცხრა აპრილს თბილისში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა და ქიმიური ნივთიერების გამოყენება, რომლითაც ათასობით ადამიანი მოიწამლა, ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. ეს დანაშაული დაუყოვნებლივ და სრულყოფილად უნდა იქნეს გამოძიებული, უნდა გამოვლინდნენ მისი ორგანიზატორები, ამსრულებლები, სხვა მონაწილენი და სათანადოდ დაისაჯონ.

ცხრა აპრილის ეროვნული ტრაგედიის გამო ამჟამად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ცალკეა გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმე არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერთა მიმართ, რომელსაც იძიებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა, ხოლო სამხედროების მიმართ საქმეს იძიებს ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურა. ამისათვის შექმნილია სპეციალური საგამოძიებო ბრიგადა. მთელ ამ საქმეს დამოუკიდებლად იძიებს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგამოძიებო კომისია, რომელშიც შედიან ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, საზოგადოების წარმომადგენლები, იურისტები, ფილოსოფოსები და სხვ.

თუ ცხრა აპრილს და მომდევნო დღეებში მომხდარ მოვლენებს მთლიანობაში გავიხარებთ, დავინახავთ, რომ აქ დანაშაულთა სამი ჯგუფი იკვეთება: 1. ცხრა აპრილის ღამით მიტინგის მონაწილეთა ხოცვა-ჟლეტა სამხედროების მიერ; 2. მილიციელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული; 3. კომენდანტის საათის გამოცხადების შემდეგ ჩადენილი დანაშაულები (მოქალაქე გ. ქარსელაძის მკვლელობა, ბავშვის დაჭრა და სხვ.). იყო აგრეთვე სხვადასხვა დროს მანქანების განადგურება-დაზიანებები, ფაქტები სამხედროების მხრივ. ჯერ ალბათ ნაადრევია ცალკეულ დანაშაულებზე კმედობებზე კომპეტენტური მსჯელობა, ვინაიდან გამოძიება მიმდინარეობს და არ არიან დადგენილი ის კონკრეტული პიროვნებები, ვინც ეს დანაშაულები ჩაიდინეს. მაგრამ ზოგიერთ საკითხზე მაინც გვინდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება.

ცნობილია, რომ კომენდანტის საათი ახალი დაწყებული იყო, როცა ვარაზის ხევში სამხედრომცხროლა ავტომატის ჯერი მსუბუქ ავტომანქანას, რომელიც ტანკს გაუსხლტა. აშკარაა, მანქანაში მსხდომებმა არც კი იცოდნენ, რომ შემოღებულა კომენდანტის საათი. სროლის შემდეგ დაიღუპა მოქალაქე გ. ქარსელაძე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე 1989 წლის 10 მაისს მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილემ გენერალ-მაიორმა ვ. ვასილიევმა დაასახელა მკვლეელი. ეს აღმოჩნდა კაპიტანი ლოხინი, რომელიც ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ ყოფილა დაპატიმრებული. პროკურორის მოადგილემ თქვა, რომ მიღებულია ზომები მის ჩამოსაყვანად. ეტყობა, მკვლეელი ლოხინი იმ ჯარის ნაწილიდან ყოფილა, რომელიც რუსეთიდან გამოიწვიეს მიტინგის დასაბრველად თბილისში. საერთოდ ვ. ვასილიევმა განაცხადა, რომ თბილისში მიტინგის დასაშლელად ჩამოყვანილი იყვნენ ჯარის ნაწილები ვორონეჟიდან და პერმიდან. ესენი იყვნენ განსაკუთრებული დანიშნულების ჯარები, რომლებიც მუდმივ სამხედრო სამსახურს გადიან და სპეციალური მიზნით გამოიყენებიან.

ცხრა აპრილს ღამით და საერთოდ მომდევნო დღეებში სამხედროების მიერ ჩადენილ აქციებში უნდა გამოვკვეთოთ ორი მხარე: 1. ბრძანების გაცემები; 2. ბრძანების შემსრულებელი. ცნობილია, რომ სამხედრო სამსახურში ბრძანე-

ბის შესრულება სავალდებულოა ყველა შემთხვევაში, კარძოდ, მაშინაც კი, როცა ბრძანება უკანონოა. ჯარისკაცი ვალდებულია შეასრულოს ბრძანება, ხოლო თუ ბრძანება უკანონოა, პასუხს აგებს მარტო ბრძანების გამცემი უფროსი. მაგრამ ამ საერთო წესიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი, როცა ბრძანება არ უნდა შესრულდეს. ეს გახლავთ აშკარა დანაშაულებრივი ბრძანება. მაშასადამე, აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების არც გაცემა შეიძლება და არც შესრულება. ორივე მხარე, როგორც ბრძანების გამცემი, ისე ბრძანების შემსრულებელი სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს. იმ სამხედრო უფროსის მოქმედება, რომელიც ბრძანებით სავალდებულებს თავის ხელქვეითს ჩაიდინოს მკვლელობა, დაკვალიფიცირდება განზრახი მკვლელობისათვის წაქეზებად. ბრძანება ამ შემთხვევაში არის წაქეზების სახეობა. ბრძანების შემსრულებელი კი პასუხს აგებს განზრახი მკვლელობის ამსრულებლობისათვის.

ჯარის ნაწილების ხელმძღვანელობის მიმართ აღძრულია საქმე თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადამეტებისათვის. სამხედრო ხელმძღვანელებმა პასუხი უნდა აგონ აგრეთვე ცხრა აპრილის მომდევნო დღეებში ჩადენილი დანაშაულებრივი უმოქმედობისათვისაც; კერძოდ, იმის გამო, რომ დროზე არ გაამხილეს მათ მიერ გამოყენებული ქიმიური ნივთიერების შემადგენლობა, რითაც ათასობით ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას რეალური საფრთხე შეუქმნეს. აღმაშფოთებელია მარტო ის ფაქტიც, რომ აკადემიკოსი ა. სახაროვი იძულებული გახდა დახმარება ამერიკის საელჩოსთვის ეთხოვა. მსოფლიო ისტორიაში ალბათ ანალოგი არ მოეძებნება იმ შემთხვევას, როცა ავადმყოფი, რომლის მკურნალობის საშუალება მისივე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელშია, დახმარებას სხვა სახელმწიფოს სთხოვდეს, ვინაიდან ხელისუფლებს არ სურდეთ ამ საშუალების გაცემა ავადმყოფთა სამკურნალოდ. გენერალ-მაიორმა ვ. ვასილიევმა სამხედრო ხელისუფალთა უმოქმედობა, რომლებმაც არ დაასახელეს ქიმიური ნივთიერების შემადგენლობა, მათი ლაჩრობით ახსნა. მაგრამ რა მოტივითაც არ უნდა ავსხნათ სამხედროების ქცევა, ეს ფაქტი თავისთავად უაღრესად ანტიჰუმანური და ზნეობრივად დასაგმობი აქციაა, რომელიც ცივილიზებულ სახელმწიფოთა ცხოვრების ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი ეწინააღმდეგება.

ცხრა აპრილის ეროვნული ტრაგედია, ისევე, როგორც ყოველი სხვა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, უმიზეზოდ არ მომხდარა. მთავარი და უშუალო მიზეზი, რასაკვირველია, როგორც ვთქვით, ჯარის ნაწილების, მათი ხელმძღვანელობის თუ სხვა ბნელი ძალების დანაშაულებრივი ქცევა იყო, მაგრამ არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ აგრეთვე იმ განსაკუთრებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც საქართველოში დახვდა საბჭოთა კავშირში ამ ბოლო დროს დასახულ დეცენტრალიზაციის და დემოკრატიზაციის კურსს. ჩვენში ათეული წლობით არსებობდა დაპირისპირება ფართო საზოგადოების დემოკრატიულ ფენებსა და მმართველ ბიუროკრატიულ აპარატს შორის. ამ უთანხმოებამ და დაპირისპირებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია სწორედ ამ ბოლო თვეებში, როცა ხალხის ფართო ფენებმა, საბჭოთა კავშირში მიმდინარე დემოკრატიზაციულ პროცესზე დაყრდნობით, თავიანთი ეროვნული უფლებებისა და თავისუფლებების რეალური განხორციელება მოითხოვეს; საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, მისი მმართველი წრეები ვერ დადგნენ სათანადო სიმადლეზე, ვერ მონახეს სწორი გამოსავალი შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან. იმის ნაცვლად, რომ ხალხს გაჰყოლოდნენ და მასთან ერთად შეემუშა-



ვებინათ ქვეყნის ცხოვრების ახალ ყაიდაზე გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის რეალური კურსი, ჩვენი მმართველი წრეები ძველი სტერეოტიპებით აგრძელებდნენ მუშაობას. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ეროვნული კონსოლიდაციის პროცესისათვის და ამ მოძრაობის ყოველი გამოვლინება ჩანასახშივე მოესპოთ.

სანიმუშოდ დავასახელებ 1989 წლის 18 თებერვალს საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტში მომხდარ მართლაც სამარცხვინო შემთხვევას, როცა სრულიად მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებს დაუპირისპირეს პროვოცირებული ელემენტები კომკავშირული ახალგაზრდობის მხრიდან, რაზეც აღშფოთებით წერდა გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ (იხ. 3 მარტი, 1989 წ.) სამწუხაროა, რომ ეს აქცია, რომელიც კლასიკური ნიმუშია საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის შუღლის ჩამოგდებისა, დღემდე რეაგირების გარეშეა დარჩენილი.

განა სამწუხარო არ არის თუნდაც ის ფაქტი, რომ ცხრა აპრილის ეროვნული ტრაგედიის შემდეგ გადაწყვიტეს მთავრობის სასახლის წინ მდგარი უსაზღვრო სკულპტურული კომპოზიციის აღება მაშინ, როცა ათეული წლების განმავლობაში ჩვენი საზოგადოება საესებით სამართლიანად მოითხოვდა ამ სიმანიჩის მოცილებას. მაინცდამაინც ამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლის ღვრა იყო საჭირო, რომ ეს ელემენტარული საკითხი გადაწყვეტილიყო?

ან თუნდაც როდემდის უნდა გაგრძელდეს ორჯონიკიძის ძეგლის გაბინძურება! ამით ხომ ხალხი გამოწაფავს თავის დამოკიდებულებას ამ პიროვნებისადმი. ნუთუ აქაც უმანკო სისხლი უნდა დაიდვაროს, რათა ეს ძეგლი მოაცილონ ქართველი კაცის თვალს? ნაშვარაა, რომ როცა ასეთი ელემენტარული საკითხების გადაწყვეტასაც კი ამდენი სისხლის ღვრა ჰქირდება, რაღა უნდა ვთქვათ ქართველი ხალხის მართლაც სწარსებო საკითხზე და როგორი დაპირისპირება ყოფილა ბიუროკრატიულ აპარატსა და ხალხს შორის.

ცხრა აპრილის ეროვნულმა ტრაგედიამ უკვალოდ არ უნდა ჩაიაროს. იქნებ ამ მოვლენამ მაინც აფიხილოს თვალი და მიგვახვედროს, რომ საჭიროა მთელი ქართველმა ხალხის გეგირითიანება ერთი საერთო მიზნისთვის.





დავიხვამთ მინათსაკვებლობის კანონმდებლობა

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია, რომელიც 1989 წლის 6 მაისს გაიმართა, მართლაც საგანგებო საკითხს მიეძღვნა. ქართული მიწების მიტაცებასა თუ მათ სამარცხვინო ყიდვა-გაყიდვაზე დღეს იმდენს წერენ და ლაპარაკობენ, რომ ძნელია პატიოსანმა ადამიანმა მშვიდად შეხედოს რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციას, იმ ატმოსფეროს, რომელშიც თვითონ ჩვენმა უთავბოლობამ, განუკითხაობამ და უპასუხისმგებლობამ მიგვიყვანა. ახლა ტყუილია იმის ცდა, რომ სხვებს გადავაბრალოთ შექმნილი მდგომარეობა. ამაში ყველაზე მეტი ბრალი სწორედ იმ ქართველ თანამდებობის პირთ მიუძღვით, ვისი უშუალო მონაწილეობით, განკარგულებით თუ სხვა რამ მოგონილი წესითა და მეთოდით გზა გაეხსნა საქართველოში სხვათადასხვათა ჩამოსახლება-დამკვიდრებას. უცხო ჯომთა ასეთი მშვიდობიანი თარეში ხომ ასჯერ უფრო საშიშია დღეს ქართველი ერისათვის, ვიდრე თურქ-სპარსელთა უთვალავი შემოსევები ისტორიამ რომ შემოგვინახა. განა ამ აზრის დადასტურება არ არის საქართველოს ბევრ რაიონში ქართული მოსახლეობის საგანგაშო შემცირება, თვითონ თბილისის შემოგარენში არაქართველთა დამკვიდრების ცდა, ურიცხვ მოძალადეთა სიჭიუტე, რომ რაღაც არ უნდა დაუჯდეთ გამართლონ და დააკანონონ თავიანთი ყოფნა ჩვენს მამა-პაპათა ნაფუძვარზე, არაფრად ჩააგდონ ქართველი ხალხის სამართლიანი მოთხოვნები.

დღეს მთელი ქართველი ხალხი შეიკრა ერთ მუშტად, რადგან საქართველოს მომავალი, მისი უპირველესი სიმდიდრე — მიწა აღმოჩნდა საფრთხის წინაშე. დიახ, მიწების დატაცება სამართლიანად აღელვებს ქართველ საზოგადოებას და ისინი უპირველესად ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მოითხოვენ მიწათსარგებლობის კანონის განუხრელ დაცვას. ასეთ ვითარებაში თავისი განსაკუთრებული როლი ეკისრება აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც კოლეგიაზე განსახილველად შემოიტანა მეტად აქტუალური საკითხი — „მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის საქმეში იუსტიციის ორგანოების მუშაობაში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ“.

განსახილველი საკითხის სიმწვავემ განაპირობა ის, რომ კოლეგიაზე მოიწვიეს რესპუბლიკის საზოგადოებრიობის და ყურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები, ისინი ვინც ხშირად გამოდიან პრესის ფურცლებზე თუ ტელევიზიით, მწვავედ აყენებენ ამ პრობლემას და მოითხოვენ არა მარტო მიწის დამტაცებელთა დასჯას, არამედ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ყურადღების გამახვილებას ამ მართლაც ეროვნული, ქართველი ერის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანათა, სასწრაფოდ მოგვარებისათვის. სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, დავით აღმაშენებლის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალი გ. ფანჯიკიძე, რუსთაველის საზოგადოებიდან ი. გეგენავა, ქართველი მწერლები მ. ფურცელაძე და კ. არაბული, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მოადგილე, კრიტიკოსი გ. თითმერია, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ წარმომადგენელი რ. დავითური, გაზეთ „თბილისის“ რედაქციიდან ლ. თოფუარიძე და სხვ.



საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ კოლეგიაზე დასწრება სთხოვა აგრეთვე მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროსა და გარდაბნის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, მაგრამ მათგან მხოლოდ ორმა, თეთრი წყაროსა და ბოლნისის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეებმა მიიღეს მონაწილეობა კოლეგიის მუშაობაში. დანარჩენებმა თავიანთი მოადგილეები ან იურისკონსულტები გამოაგზავნეს იუსტიციის სამინისტროში, რითაც ერთხელ კიდევ გამოკვეთეს საკუთარი არასწორი პოზიცია ამ მეტად მტიკვენული და უთუოდ დროულად გადასაწყვეტი საკითხისადმი.

იუსტიციის სამინისტროს მიერ შესწავლილი მასალები ძირითადად გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონებს შეეხოთ და ამიტომ კოლეგიაზე მოვიდნენ გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ხაბაშვილი, ამავე სასამართლოს კანცელარიის გამგე ნ. სვანი, ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ს. არუთინიანი, მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს თავჯდომარე ნ. პეტრიაშვილი, ამავე რაიონის სახალხო მოსამართლე ი. ალიევი, თეთრი წყაროს რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსი რ. ნათიძე, მარნეულის რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსები რ. ალიევი და ა. მამედოვი.

იუსტიციის ორგანოების მუშაობაში არსებული იმ სერიოზული დარღვევების შესახებ, რომელიც მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვას ეხება, ვრცლად მოახსენეს კოლეგიას საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლოების, სასამართლო სტატისტიკისა და საექსპერტო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა ვ. ალანიაშვილმა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა და სოციალისტურ ორგანიზაციათა სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსმა მ. რაჭმაძემ.

მოსხენებებში დაუფარავად ითქვა იმ გულისტკივილსა და ნაკლოვანებებზე, რამაც განაპირობა რესპუბლიკაში შექმნილი დღევანდელი საგანგებო დემოგრაფიული ვითარება და რაც გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ მიწათსარგებლობის წესების დარღვევით, არსებული კანონმდებლობის დაუცველობით და პროფესიულ ვალდებულებათა შეუსრულებლობით. აქვე ისიც აღინიშნა, რომ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის პრობლემა დღემდე პრაქტიკულად უყურადღებოდ იყო მიტოვებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. შემოწმებები, რომლებიც იშვიათად ტარდებოდა მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო, ხოლო მოპოვებულ მასალებზე გამოტანილი დადგენილებები და მათზე რეაგირებანი იმდენად ზერელე შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, რომ ძნელია კაცმა იგი სერიოზულ ღონისძიებად ჩათვალოს. სამწუხაროა, მაგრამ დამალვა უკვე აღარ შეიძლება და უნდა აუცილებლად ითქვას, რომ საგანგაშო ვითარება ამ მხრივ დღესაც ძველებურია. სახალხო სასამართლოები და სანოტარო კანტორები მთელი სიღრმითა და სერიოზულობით ვერ აღიქვამენ რესპუბლიკისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო პრობლემას, ყოველმხრივ არ აანალიზებენ ცალკეულ ფაქტებს, იჩენენ როგორც პოლიტიკურ ისე პროფესიულ უსუსურობას და ვერ ავლენენ ამ დარღვევათა გამომწვევ ხელშემწყობ მიზეზებს, არ იბრძვიან მათ აღმოსაფხვრელად. უფრო დამაფიქრებელი კი ის არის, რომ მიწათსარგებლობის წესების დარღვევის ყველაზე უხეში ფაქტებიც კი არ აღძრავენ სახალხო მოსამართლეებსა და სახელმწიფო ნოტარიუსებში პროფესიული თუ მოქალაქეობრივი აღშფოთების სურვილს, პროტესტის გამოხატვის დარღვევებისადმი

შეურიგებლობის, მათ ხელთ არსებული სამართლებრივი საშუალებების სრული გამოყენების ინტერესს.

მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევებმა ასეთი გავრცელებული ხასიათი მიიღო რესპუბლიკაში და მათი საზოგადოებრივი საშიშროებაც ყოველწლიურად იზრდება, სახალხო სასამართლოები მაინც უგულისყურად ეკიდებიან ამ საქმეს, არ არიან პრინციპულნი და შეურიგებელნი, კანონის მთელი სიმკაცრით არ სჯიან ამგვარი დანაშაულის ჩამდენთ და მათ შორის იმათაც, ვინც ადრეც ბევრჯერ იყვნენ მხილებულნი ასეთი დარღვევებისათვის. ფაქტია, რომ ბოლო 5 წლის მანძილზე რესპუბლიკაში არცერთ კაცს არ შეფარდება თავისუფლების აღკვეთა მიწათსარგებლობის წესების დარღვევისათვის, ხოლო ხშირად ისეთი დაუსაბუთებელია განაჩენები მიწის ჩამორთმევის ნაწილში, რომ შემდგომში ჭირს კიდევ მათი აღსრულება. თავისთავად ცხადია, ასეთი ვითარება ბევრად ამცირებს განაჩენების აღმზრდელობით და გამაფრთხილებელ მნიშვნელობას.

მომხსენებლებმა კონკრეტული მაგალითები მოიყვანეს სასამართლო და სანოტარო პრაქტიკიდან და დაასახლეს კიდევ ის მოსამართლეები და ნოტარიუსები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოში მიწების დატაცებასა და მათ უკანონო გაყიდვა-გასხვისებას. ალბათ ყურადსაღებია ისიც, რომ ამგვარი დარღვევები და გადაცდომები ძალიან ხშირად შეინიშნება იმ რაიონებში, სადაც არაქართველი მოსახლეობა ჭარბობს და მოსამართლეებად თუ ნოტარიუსებად ასევე სხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან.

ამ ეროვნულმა პრობლემამ და გულისტკივილმა თავისი გამოხატულება ჰპოვა კამათის მონაწილეთა, კოლეგიის წევრთა და სტუმრად მოწვეულთა გამოსვლებში, რომლებიც ერთსულოვანი იყვნენ ერთ რამეში: საჭიროა მკაცრად იყოს დაცული მიწათსარგებლობის კანონმდებლობა. კანონი კი იმის საშუალებას მართლაც იძლევა, რომ არავის მიეცეს უფლება უღიერად მოეპყროს საქართველოს უპირველეს სიმდიდრეს, ხალხის უწმიდეს სალოცავს, ერის დვრიტასა და სიამაყეს — ქართულ მიწას.

გამოსვლით კი თითქმის ყველა გამოვიდა. საკუთარ მტკაზრებანი და წინადადებები წამოაყენეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრებმა **დ. ნიკურაძემ**, **გ. მიქანაძემ**, **ა. ტალიაშვილმა**, **ა. ნაკაშაძემ**, **ლიძემ**, **ზ. წურწუშიამ**, **ზ. რატიანმა**, მოწვეულმა სტუმრებმა **გ. ფანჯიკიძემ**, **ჯ. თითმერიამ**, **კ. არაბულმა**, **ი. გეგენავამ**, **ლ. თოფურაძემ**, ვარდამისე რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. ხაბაშვილმა**, ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. არუთინიანმა**, მარნეულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ბ. ბაირამოვმა**, იურისკონსულტმა **ა. ბალაჩანოვმა**, მარნეულის რაიონის სახალხო მოსამართლემ **ი. აღიევმა**, სახელმწიფო ნოტარიუსებმა **რ. აღიევმა** და **ა. მამედოვმა**.

კოლეგიის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა **ვ. შარაშენიძემ**.

კოლეგიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ. კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების ინსტრუქტორი **ი. ბაჩიაშვილი**.



საქართველოს სსრ იუსტიციის საინისტროს კოლეგიის დადგენილება

**მიწათსარგებლოების კანონმდებლობის დაცვისათვის
იუსტიციის ორგანოების მუშაობაში არსებული სერიოზული
დარღვევების შესახებ**

რესპუბლიკაში შექმნილი საგანგაშო დემოგრაფიული ვითარება მნიშვნელოვნად გაპირობებულია მიწათსარგებლობის რეჟიმის დარღვევით, ამ საკითხებზე არსებული კანონმდებლობის დაუცველობით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირთა ფუნქციონალურ და პროფესიულ ვალდებულებათა შეუსრულებლობით; მათ მხრივ მიწათსარგებლობის წესების უგულებელყოფით, ზოგჯერ კი, დანაშაულებრივ მოქმედებათა გამო.

კოლეგია გულისტკივილით აღიარებს, რომ ამ მიმართებით არც იუსტიციის სამინისტრო, მისი ადგილობრივი სასამართლო და სანოტარო ორგანოები აჩვენებდნენ ამ სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმისადმი გულისხმიერ, სამსახურებრივ, პროფესიული და პატრიოტული დამოკიდებულების მაგალითებს. სამინისტროს სისტემაში მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის პრობლემა პრაქტიკულად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ცალკეული შემთხვევები და უპრინციპო რეაგირებანი ვითარების კოსმეტიკური თვითშელამაზების როლს ასრულებდნენ და პრობლემისადმი ყურადღებას აღუნებდნენ.

საკითხის შესწავლამ საგანგაშო ვითარება წარმოაჩინა. სახალხო სასამართლოები და სანოტარო კანტორები რესპუბლიკისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო პრობლემას ვერ აღიქვამენ მთელი სიღრმითა და სერიოზულობით, ყოველმხრივ არ აანალიზებენ ცალკეულ ფაქტებს, არ ანზოგადებენ მათ, იჩენენ რა პოლიტიკურ და პროფესიულ სიბეცეს, არ და ავლენენ ამ დარღვევათა გამომწვევ თუ ხელშემწყობ მიზეზებს, არ ლებულობენ ზომებს მათ აღმოსაფხვრელად. მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევის ფაქტებიც კი არ უქმნიან მოსამართლეებსა და ნოტარიუსებს პროფესიული თუ მოქალაქეობრივი აღშფოთების, პროტესტის გამოხატვის, დარღვევებისადმი შეურიგებლობის, მათ ხელთ არსებული სამართლებრივი საშუალებების სრული გამოყენების სურვილს.

1984-1988 წლებში რესპუბლიკაში მიწის დატაცების და საცხოვრებელი სახლების უნებართვოდ აშენებისათვის მსჯავრდებულ 505 პირს და მათ ხელშემწყობ თანამდებობის პირთ უხეშად ჰქონდათ დარღვეული მოქმედი კანონმდებლობა, ხოლო სასამართლოებმა მხოლოდ 40 კერძო განჩინება გამოიტანეს დამრღვევთა მიმართ, ამასთან, ისინი, როგორც წესი, არ შეიცავდნენ ფაქტების ღრმა ანალიზს, ატარებდნენ მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს.

მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლო მხოლოდ საკითხის განხილვით შემოიფარგლა და მისი ყურადღების გარეშე დარჩა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისა და შს განყოფილების წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში 12 მიწის მიტაცების ფაქტზე მოპოვებული მასალების უმოძრაოდ დატოვება.

ამ მიმართებით არც სახელმწიფო ნოტარიუსები იმყოფებიან სათანადო სიმაღლეზე. სამართლებრივი და მორალური ნორმების საწინააღმდეგოდ ნოტარიუსები არა თუ ხმას იმაღლებენ ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უკანონო გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ, არამედ თვითონ გვევლინებიან ამ უკანონობათა ხელშემწყობებად და გამტარებლებად.

ადგილობრივი ორგანოების უკანონო გადაწყვეტილებების საფუძველზე მარნეულის რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსების რ. ალიევისა და ა. მამედოვის მიერ წლების განმავლობაში მასიურად გასხვისებულია საცხოვრებელი სახლები და დაკანონებულია მიწის ნაკვეთები სხვა რესპუბლიკაში მცხოვრებ მოქალაქეებზე.

ნოტარიუსმა რ. ალიევმა ყულარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციის უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე აზერბაიჯანში მცხოვრებ მოქალაქე ალიევ ასკერ ტემურ ოღლის სოფელ კრიხალოში 1987 წლის მარტში დაუმოწმა საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება და დაუკანონა 0,25 ჰა მიწის გამოყოფა.

ანალოგიურად, მათ მიერ გასხვისებულია სახლები იმ პირებზე, რომლებიც არ ცხოვრობენ მოცემულ რაიონში, უფრო მეტიც, თეთრი წყაროს რაიონში ასეთი უკანონო მოქმედებები შესრულებულია არა თეთრი წყაროს სახელმწიფო ნოტარიუსის რ. ნათიძის მიერ, არამედ მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში მარნეულის ნოტარიუსების რ. ალიევისა და ა. მამედოვის მიერ. კერძოდ, მათ 1988-1989 წლებში იმ 28 პირს გაუფორმეს მიწათსარგებლობის და ბინათმშენებლობის ხელშეკრულება, რომლებსაც სრულიად სამართლიანად, თეთრი წყაროს ნოტარიუსმა უთხრა უარი.

ნოტარიუსმა ა. მამედოვმა 1988 წლის 17 დეკემბერს ქ. თბილისში მცხოვრებ ნ. მესხიშვილზე გაასხვისა თეთრი წყაროს რაიონის დაბა მანგლისში მდებარე სახლი, ანალოგიურად, მანვე ქ. ბათუმში მცხოვრებ მ. მ. ნიკოლაიშვილზე გაასხვისა თეთრი წყაროს რაიონის სოფ. პანტიანში მდებარე სახლი.

სახელმწიფო ნოტარიუსები თვალს ხუჭავენ და რიგ შემთხვევებში ხელს უწყობენ ადგილობრივ საბჭოთა, სამეურნეო და შინაგან საქმეთა ორგანოებში მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრებას, როდესაც სხვა რესპუბლიკისა და რაიონის მკვიდრს კანონსაწინააღმდეგოდ ჯერ სწერენ მისთვის სასურველ ადგილას და შემდეგ უყოფენ მიწის ნაკვეთს, რის შედეგადაც ისინი თავისუფლად იფორმებენ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობას.

ამგვარი ხერხებით და ნოტარიუსების ხელის შეწყობით მარნეულში ყოველი მესამე-მეოთხე სახლი გაყიდულია მესაკუთრის ბინაში წინასწარ ჩაწერილ მოქალაქეებზე. მაგალითად, გუსენ ჯაბრალ ომარ ოღლი ჯერ ჩაეწერა ეკატერინა ფილიპეს ასულ კომაროვას საცხოვრებელ სახლში და შემდეგ 1988 წლის დეკემბერში გაიფორმა სახლი პირად საკუთრებაში.

მიუხედავად რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევების გავრცელებული ხასიათისა და მათი საზოგადოებრივი საშიშროების ყოველწლიური ზრდისა, სახალხო სასამართლოები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას და კანონის მთელი სიმკაცრით არ სჯიან ამ დანაშაულის ჩამდენთ, მათ შორის, ვინც მრავალჯერ არიან მხილებულნი ამ დარღვევებში. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არც ერთ პირს არ შეფარდებია თავისუფლების აღკვეთა მიწათსარგებლობის წესების დარღვევისათვის, ზოგჯერ განაჩენები მიწის ჩამორთმევის ნაწილში არ არის საკმაოდ დასაბუთებული,

რაც ამცირებს განაჩენების აღმზრდელობით-გამაფრთხილებელ მნიშვნელობას. ზოგიერთი მოსამართლე მოგონილი საფუძვლებით არ ართმევს დამნაშავეს მიტაცებულ მიწის ნაკვეთს და ფაქტიურად უკანონებს მათ. ახალქალაქის რაიონის ყოფილმა მოსამართლემ ს. მანუკიანმა მიწის მიტაცებაში დამნაშავედ სცნო პ. პაპოიანი, მაგრამ არ ჩამოართვა მიტაცებული ნაკვეთი, რაც მრავალშვილიანობით დაასაბუთა.

სასამართლო პროცესები ამ კატეგორიის საქმეებზე არც თუ იშვიათად კამპანიურ და ფორმალურ ხასიათს ატარებენ, საქმეები იხილება პროკურორის მონაწილეობის გარეშე. ხშირად რამოდენიმე საქმე ერთდროულად ერთი მოსამართლის მიერ იხილება, მათ შორის, გამსვლელ სესიებზეც, მაგალითად, ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლომ მიმდინარე წლის 10 მარტს 4 ასეთი საქმე განიხილა, მათგან 2 გამსვლელ სხდომაზე სოფელ რატევეანში (მოსამართლეები ს. არუთინიანი და ი. გრძელიშვილი).

კოლეგიას დაუშვებლად მიაჩნია სახალხო მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დროული და სწორი აღსრულების უგულებელყოფა. რიგ შემთხვევებში ისინი ფაქტიურად ჩამოშორდნენ ამ საქმიანობას, არ უწყვეტ კონტროლს სასამართლოს კანცელარიისა და აღმასრულებლების მუშაობას. აღნიშნულის გამო უხეზად ჭიანურდება ცალკეული აღსრულებები.

მაგალითად, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ მიმდინარე წლის იანვარში განიხილა მიწის მიტაცების სამი საქმე, მაგრამ დღემდე არც ერთ მათგანზე, აღმასრულებელი ფურცელი ამოწერილი არ არის (სასამართლოს თავმჯდომარე გ. ხაბაშვილი, კანცელარიის გამგე ნ. სვანი). თითქმის ერთი წლის დაგვიანებით ამოწერა აღმასრულებელი ფურცელი მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში ი. ასკეროვის ბრალდების საქმეზე (სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პეტრიაშვილი, კანცელარიის გამგე ზ. ვართანოვა).

ირღვევა „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნები, ცალკეულ საქმეებზე აღმასრულებლები დამნაშავეთა სასარგებლოდ იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სცილდება მათი კომპეტენციის ფარგლებს.

მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით 1985 წელს მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელმა მ. მამედოვმა, დ. მუსაევისათვის მიწის ჩამორთმევის და სახლის აღების ნაცვლად, შეადგინა ოქმი გადაწყვეტილების შესრულების შეუძლებლობის შესახებ იმის გამო, რომ მსჯავრდადებულს ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს და ნაკვეთში კი 10.000 ლირი თამბაქო აქვს დარგული. ანალოგიურად მოიქცა იგი ზ. მურშედოვის მიმართაც.

გადაწყვეტილებათა დროულ აღსრულებას ზოგჯერ ხელს უშლის ზემდგომი ორგანოების მიერ მათი ხშირი შეჩერებები. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლომ გასული წლის ნოემბრიდან დღემდე განიხილა რაიადმასკომის 63 სარჩელი უნებართვოდ აშენებული ნაგებობიდან სამაგიერო ფართობის მიუცემლად მოქალაქეთა გამოსახლების შესახებ, მაგრამ მათი აღსრულება ვერ ხერხდება, ვინაიდან შეჩერებულია სსრ კავშირის პროკურატურის მიერ.

სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის შესწავლა საფუძველს აძლევს იუსტიციის სამინისტროს კოლეგიას მთელი პასუხისმგებლობით განაცხადოს,

რომ რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის რეჟიმის გარშემო შექმნილი მწვავე ვითარება ადგილებზე დამკვიდრებული განუკითხაობისა და უკონტროლობის შედეგაა. ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო, საკონტროლო და ზედამხედველი ორგანოები, შესაბამისი თანამდებობის პირები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, მიწათსარგებლობის საკითხები მიშვებული აქვთ თვითდინებაზე, მხოლოდ ზემდგომი ორგანოების შესხენებების შემდეგ იჩენენ მოჩვენებით აქტიურობას, ხოლო კამპანიის დამთავრების შემდეგ კვლავ ცხრება მათი აქტიურობა.

1985 წლის 16 ივნისს ბოლნისის რაიონის რატევანის მეცხოველეობის მეურნეობის სპეციალურმა კომისიამ მიწის მიტაცების 5 ფაქტი გამოავლინა. ამავე მეურნეობაში შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მიერ 1988 წლის 13 დეკემბერს მხოლოდ 3 ფაქტი იქნა გამოვლენილი, ეს მაშინ, როცა ორი თვის შემდეგ უკვე რაიკომის მიერ შექმნილმა კომისიამ, აქვე, დამატებით კიდევ სამი ფაქტი გამოავლინა.

შექმნილმა კომისიამ 1983 წლის იანვარში მიწის მიტაცების ფაქტები გამოავლინა და მასალები შინაგან საქმეთა განყოფილებას გადაუგზავნა, მაგრამ შემდეგ ეს საკითხი არ გაუკონტროლებია, რის გამოც მასალები შს განყოფილებაში, თითქმის ორწელიწადნახევრის განმავლობაში უმოძრაოდ იმყოფებოდა. ანალოგიურ დარღვევებს ადგილი ჰქონდათ მარნეულის, ოჩამჩირის და სხვა რაიონებში.

ადგილებზე მიწის კანონმდებლობის დაცვის საქმეში განუკითხაობის ატმოსფეროს არსებობა ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა აღძრულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი ხანგრძლივი დროის მანძილზე, წლების განმავლობაშიც კი ფლობდა მიტაცებულ მიწის ნაკვეთს. ბოლნისის რაიონის რატევანის მეცხოველეობის მეურნეობის ხელმძღვანელების მიმნებებლობის შედეგად შესაძლებელი გახდა, რომ ბ. რამაზანოვმა ჯერ კიდევ 1962 წელს მიიტაცა 760 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ფაქტი გამოვლინდა მხოლოდ მეურნეობის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, 1985 წელს ე. ი. 23 წლის განმავლობაში ბ. რამაზანოვი უკანონოდ ფლობდა მიტაცებულ მიწას, ისე აავი მან იქ სახლი, დაზარდა შვილები, რომ ცნობილი არ იყო სოფ. ძველი ქვეშეს სასოფლო საბჭოსათვის, მეურნეობის ხელმძღვანელებისათვის, შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორისათვის და რაისაბჭოს აღმასკომის მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილებისათვის, რომლებსაც უშუალოდ ევალეობდათ მიწის კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლის განხორციელება. ანალოგიური ხასიათის დარღვევები საქმაოდ ხშირად აქვს ადგილი. ეს კი ძალზედ ართულებს სახლების დანგრევისა და მიტაცებული მიწის ჩამორთმევის ნაწილში სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენების აღსრულებას. იმავე ბ. რამაზანოვმა და მისი ოჯახის წევრებმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს მიწის ჩამოსართმევად მისულ კომისიის წევრებს, მიაყენეს მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

ძალზედ გამწვავდა კასპის რაიონში, 1986 წლის განაჩენების აღსრულება. ჯერ კიდევ 1979-1983 წლებში რკინიგზის განთვისების ზოლში ექვსმა მოქალაქემ მიიტაცა მიწის ნაკვეთები და აიშენეს სახლები. განაჩენების აღსრულებას წინ აღუდგა სოფ. ქსანის და ხიდისყურის თითქმის მთელი მოსახლეობა, მიყვანილ ტექნიკას წინ გადაელობნენ ბავშვები, დააზიანეს იგი, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზი-

კური შეურაცყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მუშაკებს სათანადო დახმარებას არ უწყევდნენ სასოფლო საბჭოები, ხოლო რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებს შემადგენლობის სიმცირის გამო არ შესწევთ ძალა დაძლიონ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის წინააღმდეგობა. ანალოგიური მიზეზებით გაჭიანურდა ყვარლის რაიონში მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში დადგენილი შვიდი განაჩენის აღსრულება.


ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს განაჩენთა აღსრულებლობა თვით მეურნეობის ხელმძღვანელთა ბრალითაა გამოწვეული. კერძოდ, მარნეულის რაიონის აგამედლოს მეურნეობის ხელმძღვანელობა (დირექტორი ვ. ბადალოვი) წლების განმავლობაში არ იბარებს სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულებისათვის ჩამორთმეულ მიწის ნაკვეთებს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ, მარტო მიმდინარე წელს, ორჯერ მიმართა რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

არც თუ იშვიათად სამეურნეო ხელმძღვანელები თვითონ უწყობენ ხელს მიწების მიტაცებას, არ იღებენ ზომებს მათ განმგებლობაში არსებული მიწის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

1987 წელს ბოლნისის რაიონში მიწის კანონმდებლობის დაცვის გადასამოწმებლად ჩატარდა მასობრივი შემოწმებები, გამოვლენილი იქნა მიწის მიტაცების ფაქტები, მაგრამ კომისია მხოლოდ მათ კონსტანტირებასა და ღობეების აღებას დასჯერდა, მეურნეობებმა კი არ მიიღეს რეალური ზომები დაბრუნებული მიწის დასამუშავებლად, რამაც შესაძლებელი გახდა იმავე პირების მიერ იმავე ნაკვეთების განმეორებით მიტაცება, რაც მხოლოდ მიმდინარე წელს იქნა გამოვლენილი. ხშირად მოსახლეობაში საკარმიდამო ნაკვეთები ისეა განაწილებული, რომ მეზობლებს შორის დარჩენილია მეურნეობის კუთვნილი მიწის ზოლი, რომელსაც ეს უკანასკნელი ვერ იყენებს, რაც მიწის დატაცების კარგ წინაპირობას ქმნის.

საკითხის შესწავლით გამოვლინდა ფაქტები, როდესაც ცალკეული პირები არაერთგზის, განმეორებით იტაცებენ მიწის ნაკვეთებს, ვინმე ზ. ნაგიევმა მარნეულის რაიონის სოფ. კასუმლოში 1983 წელს მიიტაცა 400 კვადრატული მეტრი მიწა, ხოლო 1985 წელს მას კიდევ 1500 კვადრატული მეტრი დაუმატა. ნაგიევს მადაში არც მისი მეზობელი მ. ასკეროვი ჩამორჩა, რომელმაც ჭერ 1979 წელს მიიტაცა 500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, ხოლო 1983 წელს კი დამატებით 2600 კვადრატული მეტრი. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე არაერთგზის მიიტაცეს და ჩამოერთვათ მიწის ნაკვეთები ბოლნისის რაიონის სოფ. ძველი ქვეშის მკვიდრებს: ბ. სარიევს, ა. ბაი-რამოვს, ბ. სულეიმანოვს, მ. აღმაზოვს, რ. ყურბანოვს, კასპის რაიონში ქ. თანუვერდის, ს. მუსაევს კიზის და სხვა. ამასთან დაკავშირებით კოლეგიას მართებულად მიაჩნია საზოგადოებრიობის მოთხოვნა კანონის გამკაცრების თაობაზე.

განზოგადების მასალების შესწავლა გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ ზოგადი ჩასიათის დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთელი რიგი რაიონების იმ ორგანოებში, რომელთაც ევალებათ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვა და აქვთ საკითხის გადაწყვეტის უფლება, მუშაობენ თანამდებობის პირები, რომელთაც ნაკლებად აღელვებთ ამ საქმის სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მი-



წათსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევებისათვის მსჯავრდებულთა შორის დიდია არამკვიდრი ეროვნების წარმომადგენელთა ხვედრითი წილი.

მიწის კანონმდებლობის და მიწათსარგებლობის წესების დაცვის საქმეში არსებული უხეში დარღვევები, სახელმწიფო მიწების დატაცების და განიავების მრავალრიცხოვანი ფაქტები, საამისოდ მოწოდებული ორგანოების ამ საკითხებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება საფუძველს აძლევს საზოგადოებრიობის ერთ ნაწილს ეჭვი შეიტანოს სახელმწიფო ორგანოების ღონისძიებების ქმედითობაში, მკაცრი დისციპლინის დამყარების უნარში და შესაძლებლობაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია სინანულით აღნიშნავს, რომ მიწათსარგებლობის საკითხებში რესპუბლიკაში შექმნილი საგანგაშო ვითარება სხვა უწყებებთან ერთად იუსტიციის ორგანოების არაჯეროვანი საქმიანობითაც არის გამოწვეული. სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა დროულად ვერ შენიშნეს რესპუბლიკისათვის მეტად საგანგაშო ვითარების შექმნის წინაპირობები, პრინციპულად არ დააყენეს ეს საკითხები ზემდგომ ორგანოებში, არ ეწეოდნენ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის სათანადო პროპაგანდას და ახსნა-განმარტებით საქმიანობას, რის გამოც კოლეგია საჭიროდ მიიჩნევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ბოდიში მოიხადოს რესპუბლიკის საზოგადოების წინაშე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია

ადგენს:

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და მისი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის ძირითად მიმართულებად ჩაითვალოს მიწის და საბინაო კანონმდებლობის, აგრეთვე მიწათსარგებლობის წესების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა, ფართო პროპაგანდა და ახსნა-განმარტებითი საქმიანობა.

2. დამტკიცდეს იუსტიციის სამინისტროს მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის ღონისძიებათა გეგმა.

3. სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების, მიწის კანონმდებლობის დაცვის საქმეში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის დაისევას საკითხი დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გ. ხაბაშვილის და მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ნ. პეტრიაშვილის მიმართ. მარნეულის რაიონის სახალხო მოსამართლის ი. ალიევის და სასამართლოს აღმასრულებელ მ. მამედოვის პასუხისმგებლობის საკითხები გადაწყდეს სახალხო სასამართლოს მიმდინარე შემოწმების დამთავრების შემდეგ.

4. სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულებისათვის გარდაბნისა და მარნეულის რაიონების სახალხო სასამართლოების კანცელარიის გამგეებს ნ. სვანსა და ზ. ვართანოვას გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

5. სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის საცხოვრებელი სახლების ნასყიდობის ხელშეკრულების დამოწმებისას დაშვებული უხეში დარღვევებისათვის მარნეულის რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსებს ა. მამედოვს და რ. ალიევის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

6. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლეს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქ. თბილისის საქალაქო და რესპუბლიკის სახალხო სასამართლო-

ებს, სანოტარო კანტორებს ყოველდღიურ საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიწის და საბინაო კანონმდებლობის, მიწათსარგებლობის წესების განუხრელად დაცვას და ფართო პრობაგანდას, მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულ და ხარისხიან აღსრულებას, სისტემატურად განაზოგადონ სასამართლო და სანოტარო პრაქტიკა და კანონმდებლობის დარღვევების შემთხვევაში ინფორმაციებით და წარდგინებებით შევიდნენ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

7. ეთხოვს:

რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოთა საკოორდინაციო საბჭოს — შეიმუშაოს ამ ორგანოების მიერ მიწის კანონმდებლობის დაცვის ერთობლივი, კომპლექსური გეგმა;

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს — შეისწავლოს, განაზოგადოს და სასამართლოებს მისცეს სავალდებულო მითითებები მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევებიდან გამომდინარე სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს — წინადადებით შევიდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს — იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის საკითხებზე განხილული მასალები გააცნოს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას.

8. კანონის დარღვევით დამოწმებული საცხოვრებელი სახლების ნასყიდობის ხელშეკრულებების გასაუქმებლად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში შეტანილ იქნეს წარდგინება.

9. განხილულ საკითხზე ინფორმაციები გაგზავნილ იქნეს საქართველოს კბ ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში და მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის რესპუბლიკურ კომისიაში.

10. დადგენილება განხილულ საკითხზე გამოქვეყნდეს ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“.

11. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ამხ. ა. ტალიაშვილს.

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **3. შარაშენიძე.**



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**„სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის
პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონსა და სსრ
კავშირის ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა
და დამატებების შეტანის თაობაზე**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონში „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 8; 1961 წ., № 21, მუხ. 222; 1984 წ., № 3, მუხ. 58) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-7 და მე-11 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. მოწოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წეს-წყობილების დამხობისა თუ შეცვლისათვის

საჯარო მოწოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წეს-წყობილების დამხობისა თუ მისი შეცვლისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო წესით, ან საბჭოთა კანონების შესრულებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად იმ მიზნით, რომ ძირი გამოუთხარონ სსრ კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, აგრეთვე ასეთივე შინაარსის მასალების დამზადება გავრცელების მიზნით ან გავრცელება,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე. იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან მასობრივი ტირაჟირებისათვის განკუთვნილი თუ მომარჯვებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი უცხოეთის ორგანიზაციებისა თუ მათი წარმომადგენლების დაჯგუფებით, ან აღნიშნული ორგანიზაციებისაგან მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა თუ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე“.

„მუხლი 11. ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა

განზრახი მოქმედება ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეთა რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების მიხედვით მათი უფლებების პირდაპირი შეზღუდვა ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე. იგივე მოქმედება ძალადობის, მოტყუებისა თუ მუქარის გამოყენებით, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, რომელიც ჩაიდინა პირთა ჯგუფმა, ან რომელსაც მოჰყვა ადამიანთა დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე“.

2. დაემატოს კანონს შემდეგი შინაარსის 7¹ და 11¹ მუხლები:

„მუხლი 7¹. მოწოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის

საჯარო მოწოდება სამშობლოს ღალატისათვის, ტერორისტული აქტის თუ დივერსიის ჩადენისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე“.

„მუხლი 11¹. სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეურაცხყოფა ან დისკრედიტაცია



სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების, ანდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი ან არჩეული სხვა სახელმწიფო ორგანოების, ანდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშნული, არჩეული ან დამტკიცებული თანამდებობის პირთა, აგრეთვე კანონით დადგენილი წესით შექმნილი და სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი საერთო-საკავშირო ორგანოების საჯარო შეურაცხყოფა ან დისკრედიტაცია,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე“.

2. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში შემდეგი ცვლილებები:

1. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით დამტკიცებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-71 მუხლის მეორე ნაწილს (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 6; 1972 წ., № 22, მუხ. 176; 1973 წ., № 11, მუხ. 157; 1974 წ., № 18, მუხ. 275; 1983 წ., № 51, მუხ. 784; 1987 წ., № 28, მუხ. 437; 1988 წ., № 10, მუხ. 152) სიტყვების „განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა დამამძიმებელ გარემოებებში“.

2. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით დამტკიცებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების 28-ე მუხლის პირველ ნაწილში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 15; 1961 წ., № 26, მუხ. 270; 1963 წ., № 16, მუხ. 181; 1981 წ., № 33, მუხ. 966; 1984 წ., № 3, მუხ. 58) სიტყვები მე-7 (ანტისაბჭოური აგიტაცია და პროპაგანდა) შეიცვალოს სიტყვებით მე-7 (მოწოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წეს-წყობილების დაშლისათუ შეცვლისათვის), მე-71 (მოწოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის).

3. დავალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ამ ბრძანებულებას.

4. ეს ბრძანებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მინთაშაშვილი.
მოსტ.მ.მ. კრემლი. 1989 წლის 8 აპრილი.

ქანონის კომენტარი


სისხლის სამართლის საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ ბარამოებათა გამო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ჯედაშხედ-ველოების კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1. სისხლის სამართლის საქმეთა განახლებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო არეგლამენტირებს საქართველოს სსრ სსსკ ოცდამეცამეტე თავი (894-ე, 898-ე მუხლები).

მოქმედი კანონმდებლობა ძირითადად სწორად და საფუძვლიანად წყვეტს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის პრინციპულ და ძირითად საკითხებს, მაგრამ არის ისეთი ნორმებიც, რომლებიც მოითხოვენ დახვეწას, რედაქციის გაუმჯობესებას, დამატებებისა და ცვლილებების შეტანას.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის საკითხები დღემდე არ ყოფილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მსჯელობის საკანი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებისათვის, რაც ერთგვარად აართულებს პრაქტიკის სტაბილიზაციას.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვა არის პროცესის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სტადია, კეშმარტების დადგენის დამატებითი გარანტია მას შემდეგ, როდესაც განაჩენი (განჩინება, დადგენილება) შევა კანონიერ ძალაში და აღმოცენდება ისეთი ახალი გარემოება, რომელიც ცნობილი არ იყო სასამართლოსათვის განაჩენის დადგენის დროს. იგი ემიჯნება ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვას. ამ ორ დამოუკიდებელ სტადიას შორის არსებობს კავშირი, მაგრამ ისინი, ამავე დროს, არსებითად განსხვავდებიან და წარმოადგენენ ორ, დამოუკიდებელ და სხვადასხვა სტადიებს. სხვაობა გამოიხატება შემდეგში:

ა) იმისათვის, რომ საქმე გადასინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, სისხლის სამართლის საქმეზე უნდა ჩატარდეს გამოძიება ამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოკვლევის მიზნით. ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვისათვის არ ტარდება არავითარი გამოძიება. ამ შემთხვევაში საქმარისია საქმის მახალების შემოწმება და შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ პროტესტის შეტანა;

ბ) იმისათვის, რომ საქმე გადასინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმარისი არ არის მართლ გამოძიების ჩატარება. პროკურორმა უნდა დააყენოს საკითხი საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გადასინჯვის შესახებ. ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვის თაობაზე პროტესტის შეტანა შეუძლია არა მართლ პროკურატურის შესაბამის თანამდებობის პირებს, არამედ ზემდგომი სასამართლო ორგანოების შესაბამის თანამდებობის პირებსაც (იხ. საქართველოს სსრ სსკ 882-ე მუხლი);

გ) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის საფუძველს წარმოადგენს ზემდგომი პროკურორის დასკვნა (იხ. სსსკ 897-ე მუხლი). ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის საფუძველს კი წარმოადგენს ზემდგომი პროკურატურისა ან სასამართლო ორგანოების შესაბამისი თანამდებობების პირების პროტესტი;

დ) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი გარემოებები აღმოცენდება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ და საქმის განხილვის პროცესში ისინი არ იყო ცნობილი. ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვას კი ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გადასინჯვის საფუძველი გამომდინარეობს იმ მახალიდან, რომლებიც საქმეში იყო, მაგრამ მათ არ მიეცა ყურადღება, სათანადოდ და სწორედ არ იყო შეფასებული განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმმა თავის 1985 წლის 5 აპრილს № 2 დადგენილებაში „სასამართლოების მიერ იმ კანონმდებლობის გამოყენების შესახებ, რომლებიც არგულამენტირებენ განაჩენების, განჩინებების და დადგენილებების ზედამხედველობის წესით გადასინჯვას სისხლის სამართლის საქმეებზე“ მიუთითა, რომ საქმის გადასინჯვა ზედამხედველობის წესით დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც გადასინჯვის საფუძველი გამომდინარეობს საქმის მახალებიდან. თუ განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის სისწორის საკითხი დაკავშირებულია იმ გარემოებებთან, რომლებიც არ იყო ცნობილი განაჩენის გამომტანი სასამართლოსათვის და აღმოცენდნენ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ასეთ შემთხვევაში საქმე უნდა გადასინჯოს მხოლოდ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო¹;

ე) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს შეუძლია გააუქმოს განაჩენი, შეწყვიტოს საქმის წარმოება, დატოვოს განაჩენი ძალაში. ამ სტადიაზე სასამართლო უფლებამოსილი არ არის შეიტანოს განაჩენში ცვლილებები (სსსკ 888-ე მუხლი). ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის შედეგად კი სასამართლო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები განაჩენში (განჩინებაში, დადგენილებაში) (იხ. სსსკ 890-ე მუხლი). ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვა არსებითად განსხვავდება საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვის სტადიისაგან;

¹ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1985, № 3. с. 22.



2. საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განახლების ოთხი საფუძველი მოცემულია საქართველოს სსრ სსსკ №94-ე მუხლში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განახლების საფუძველები ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული საქართველოს სსრ სსს კოდექსში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის 1-ელ პუნქტში ნათქვამი არ არის ისეთ საპროცესო დოკუმენტების სიყალბეზე, როგორიცაა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები, დოკუმენტები, დაწარელებულის ყალბი ჩვენება, თარჯიმანის მიერ ყალბი თარგმანა.

94-ე მუხლის მე-3 პუნქტში დასახელებულია მხოლოდ მომკვლევო პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა და არაფერია ნათქვამი გამოძიებლის ან პროკურორის მიერ დანაშაულებრივ ქმედობის ჩადენაზე, რამაც გამოიწვია უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის დადგენა (კოდექსის რუსულ ტექსტში კი ნახვარი ტერმინი „გამოძიება“). ამავ პუნქტში ნათქვამი არ არის აგრეთვე (ხანმოკლე ჩამოთვლა მიანც), თუ რაში შეიძლება გამოიხატოს ბოროტოქმედება, მაგალითად, უკანონოდ და დაუსაბუთებლად უდანაშაულო პირის პასუხისმგებლობაში მიცემა; სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა იმ პირის მიმართ, ვინც დამნაშავეა; მტკიცებულებათა ფალსიფიცირება და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სსსკ №94-ე მუხლში უნდა იყოს შეტანილი საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის აღნიშნული საფუძველები.

სისხლის სამართლის საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძველებში უნდა დაიყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოთ ყველა ის შემთხვევა, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია მოწმის, დაწარელებულის მიერ ყალბი ჩვენების მიცემა, მტკიცებულების სიყალბე, ექსპერტის დასკვნის სიყალბე, თარგმანის სიყალბე; მომკვლევო პირის, გამოძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რამაც გამოიწვია უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გამოტანა (სსსკ №94-ე მუხლის 1-3 პუნქტები); მეორე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ყველა ის ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომელიც უნდა გაირკვეს და დადასტურდეს გამოძიების ჩატარების შედეგად (სსსკ №94-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ყველა იმ შემთხვევაში როდესაც სისხლის სამართლის საქმე უნდა გადასინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სსსკ №94-ე მუხლის 1-3 პუნქტების საფუძველზე სასამართლოს მიერ უნდა იყოს გამოტანილი განაჩენი და ეს განაჩენი უნდა იყოს შესული კანონიერ ძალაში. მაგალითად, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა იყოს დადგენილი მოწმისა და დაწარელებულის მიერ ყალბი ჩვენების მიცემა, ექსპერტის დასკვნის სიყალბე, თარგმანის მიერ ყალბი თარგმანის ფაქტი.

„სხვა გარემოებებს“, რომლებიც წარმოადგენენ, სისხლის სამართლის საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძველს, მიუთითებს სსსკ №94-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

იმისათვის, რომ ამ საფუძველით გადასინჯოს საქმე, საჭირო არ არის განაჩენის გამოტანა. ამ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილი გარემოებანი უნდა გაირკვეს გამოძიების ჩატარების მეშვეობით. ახლად აღმოჩენილი გარემოება კი ცნობილი არ უნდა იყოს სასამართლოსათვის, იგი უნდა აღმოცენდეს და დადგინდეს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ასეთ ახლად აღმოჩენილ გარემოებებს მიეკუთვნება, მაგალითად, იმ პირის ცოცხლად დადგენის ფაქტი, რომელიც თითქმის მოკლული იყო; ბრალდებულის მიერ სხვა პირის გათქმა დანაშაულის ჩადენაში; ბრალდებულის ცრუ ჩვენება; პირის მიერ ბრალის ყალბად აღიარება; ისეთი ფაქტის დადგენა, რომელიც მოწმობს განსახელების მიერ უფრო მძიმე ან მსუბუქი დანაშაულის ჩადენას; ალიბის ფაქტის დადგენა.

უნდა გაირკვეს საკითხი, თუ რა მომენტიდან იწყება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ვადის დინება. ამ საკითხს მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე უნდა გადასინჯოს მსჯავრდებულის პროცესუალური მდგომარეობის დამამძიმების მიზნით. ამ საფუძველით საქმის გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის გახვდამდე და არა უგვიანეს ერთი წლისა ახალი გარემოების აღმოჩენიდან (სსს კოდექსის 95-ე მუხლი).

საკითხის გადაწყვეტა, თუ როდის იწყება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ვადის დინება, დაკავშირებულია გადასინჯვის საფუძველთან: განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტთან

ან პროკურორის დასკვნასთან. თუ მაგალითად, მოწმის ჩვენების სიყალბე არის განაჩენის გადასინჯვის საფუძველი, ამ ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლომ მოწმე გაასამართლა წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის და სასამართლოს განაჩენი უკვე შევიდა კანონიერ ძალაში. ამ დღიდან იწყება ახლად აღმოჩენილ გარემოების ვადის დინება.

აქედან გამომდინარე, დავას იწყებს ო. პ. ტომოშუჩინის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ ვადის დინება იწყება არა სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, არამედ იმ დღიდან, როდესაც პროკურორს ეცნობება ამის შესახებ.³ როგორც სწორედ არის აღნიშნული ლიტერატურაში, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღის შესახებ შეიძლება ეცნობოს პროკურორს დაგვიანებით. ასეთი ფაქტი კი არ უნდა იყოს გამოყენებული მსჯავრდებულების საზიანოდ.⁴

ყველა სხვა შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ვადის დინება იწყება გამოძიების დამთავრების შემდეგ, კერძოდ, პროკურორის მიერ დასკვნის შედგენის მომენტიდან (მუხლი 397-ე). ასეთი წესი იქიდან გამომდინარეობს, რომ თავისთავად გამოძიების დაწყება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ უკვე არის დადგენილი ახლად აღმოჩენილი გარემოება. ამ საკითხის გადაწყვეტა შედის საბოლოოდ პროკურორის კომპეტენციაში, როდესაც იგი ჩათვლის ახალ გარემოებებს დადგენილად და თავის დასკვნის საქმის შეგავის სასამართლოს. აქედან გამომდინარე, საბოლოოდ უნდა იყოს მიჩნეული ვ. ვ. შუბინის მიერ რსფსრ-ის სსსკ 884-ე მუხლის კომენტარი, როდესაც იგი თვლის, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოების ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც გამოძიების ორგანოებისათვის ცნობილი გახდა ახლად აღმოჩენილი გარემოებანი.⁵

ერთწლიანი ვადა მთავარდება საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გადასინჯვის მომენტი და არა პროკურორის მიერ საქმის სათანადო სასამართლოში წარმართვის დღეს. საქართველოს სსრ სსსკ 895-ე მუხლი საქმის გადასინჯვას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უკავშირებს არა პროკურორის მიერ საქმის წარმართვას სასამართლოში, არამედ საქმის გადასინჯვას სასამართლოში. მაშასადამე, ამ შემთხვევაში პროკურორმა საქმე უნდა წარმართოს სასამართლოში იმ ანგარიშით, რომ დაცული იყოს 387-ე მუხლით გათვალისწინებული ვადები საქმის განხილვისათვის: უმაღლეს სასამართლოში ერთი თვე, სხვა სასამართლოებში ოცი დღე, ამ სასამართლოებში საქმის შესვლის მომენტიდან.

იმისათვის, რომ სისხლის სამართლის საქმე გადასინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კანონი არ ითვალისწინებს არავითარ ვადას. განსახილვის სასარგებლოდ საქმე შეიძლება გადასინჯოს როგორც სასჯელის მოხდის დროს, ასევე სასჯელის მოხდის შემდეგ.

8. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ საკითხის დაყენება შეუძლიათ მსჯავრდებულს, მის დამცველს ან ნათესავებს, მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირებს (მუხლი 398). კანონში, მართალია, ნახსენები არ არის პროკურორი, მაგრამ მასაც უფლება აქვს თავისი ინიციატივით დააყენოს საკითხი სისხლის სამართლის საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს იმ დროს, როდესაც პროკურორი თავისი ფუნქციების განხორციელების შედეგად დაადგენს სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის საფუძველს.

ყოველი ცნობა (შეტყობინება) სისხლის სამართლის საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ უნდა გადაეცეს პროკურორს საქმეზე წარმოების დაწყებისათვის, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის აღძვრისა და წარმოების დაწყების უფლებით სარგებლობს მხოლოდ პროკურორი.

ყოველი ცნობა (შეტყობინება) საქმის გადასინჯვის შესახებ უნდა იყოს შესავალი მიზნით, ხანაში აღძვრება წარმოება. ამ ცნობათა შემოწმება ვერ ჩატარდება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების საფუძველზე, რადგან საქმე არ არის აღძრული. მათი შემოწმება უნდა მოხდეს მხოლოდ დოკუმენტების გამოთხოვის, ახსნა-განმარტების მიღების და შემთხვევის აღ-

³ См. Темушкин О. П., Организационно-правовые формы проверки законности и обоснованности приговоров, М., 1978, с. 227.

⁴ См. Громов Н. А., Фаринич П. И. О времени открытия новых обстоятельств в уголовном судопроизводстве, «Правоведение», 1987, № 2, с. 71.

⁵ См. «Комментарий к УПК РСФСР», 1985, с. 606.

გოლის დათვლიერების მეშვეობით. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს 10 დღემდე ვადაში, რის შედეგაც გადაწყდეს საკითხი წარმოების აღძვრის, თუ აღძვრაზე უარის თქმის შესახებ (მუხლი 110-ე).

პროკურორს გამოაქვს დადგენილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურორი გამოიტანს დადგენილებას საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რის შესახებაც ეცნობება დაინტერესებულ პირებს, რადგან მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ პროკურორის დადგენილება ზემდგომ პროკურორთან (სსსკ 896-ე მუხლი).

მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსები არაერთგვაროვნად წყვეტენ საკითხს, თუ ვინ უნდა ჩაატაროს გამოძიება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. ყაზახეთის სსრ სსსკ გამოძიების ჩატარების უფლებას ანიჭებს მხოლოდ პროკურორს და პროკურორის დავალებით გამოძიებულსაც (იხ. მაგალითად, რსფსრ-ის სსკ 886-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 896-ე მუხლი). უკრაინის სსრ სსსკ 899-ე მუხლი, მაგალითად, ასეთ უფლებას პროკურორის დავალებით ანიჭებს აგრეთვე მომკვლევ პირსაც. სასურველია, რომ საქმის გამოძიება არ დაევალოს მომკვლევ პირს. მას, საკითხების შემთხვევაში, შეიძლება დაევალოს მხოლოდ ოპერატიული ღონისძიების განხორციელება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საქმის გამოძიების ორის სახე არსებობს. პირველი, როდესაც უნდა დადგინდეს მოწმის ჩვენების სიყალბე. ექსპერტის დასკვნის ან სხვა მტკიცებულების სიყალბე, მომკვლევი პირის, გამოძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა (იხ. სსსკ 894-ე მუხლის 1-8 პუნქტები). მეორე, როდესაც უნდა დადგინდეს ისეთი ახალი გარემოება, რომელიც ცნობილი არ იყო სასამართლოსათვის და აღმოცენდა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (იხ. სსსკ 894-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

პირველ შემთხვევაში აღიჭრება სისხლის სამართლის საქმე და მასზე ჩატარდება ჩვეულებრივი გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა საპროცესო ნორმების დაცვით. მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი შევა ძალაში პროკურორი შესაბამის სასამართლოს უგზავნის თავის დასკვნას და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენის პარამოწმის მიერ ყალბად ჩვენების მიცემის, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნების მიცემის შესახებ დასკვნა.

სსსკ 894-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის გამოძიება წარმოებს გარკვეულ თავისებურებათა გათვალისწინებით. კერძოდ, გამოძიების ფარგლები შეზღუდულია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი გარემოებებით (სხვა საკითხები არ წარმოადგენს გამოძიების საგნს); არავინ არ მიეცემა ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში; არ გამოიყენება აღკვეთის ღონისძიება; საქმის გამოძიების შემდეგ არ დგება საბრალდებო დასკვნა; გამოძიებისათვის კანონით არ არის დადგენილი არავითარი ვადა. ამავდროულად უნდა ჩატარდეს გამოძიება აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მოწმემ, ექსპერტმა, გამოძიებელმა, პროკურორმა, მომკვლევმა პირმა, მოსამართლემ ჩაიდინეს დანაშაულებრივი ქმედობა, რომელმაც განაპრობა არასწორი განაჩენის გამოტანა, მაგრამ ეს პირები გარდაიცვალნენ ან როდესაც უკვე გავიდა ხანდაზმულობის ვადა, ანდა მათი ქმედობა ექვემდებარება ამნისტიას. ამ შემთხვევაში ამ პირების მიმართ არ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ დანაშაულებრივი გარემოებანი უნდა იყოს გამოძიებული და საქმე გადაისინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

საქართველოს სსრ სსსკ 897-ე მუხლის შესაბამისად გამოძიების დამთავრებასთან დაკავშირებით უნდა შედგეს გამოძიების აქტი, რომელიც საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ პროკურორს. მიიღებს რა ზემდგომი პროკურორი საქმის ყველა მასალას, წყვეტს საკითხს იმის შესახებ, წარმართოს თუ არა საქმე სასამართლოში. ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში ზემდგომი პროკურორი თავის დასაბუთებული დადგენილებით წყვეტს წარმოებას საქმის განახლების შესახებ, რის შესახებაც აცნობებს დაინტერესებულ პირებს ასეთი დადგენილების გასაჩივრების მიზნით (საქართველოს სსრ სსსკ 897-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი პროკურორი წარმართავს საქმეს სასამართლოში საქ-

⁶ См. Громов Н. А. Порядок возбуждения производства и расследования вновь открывшихся обстоятельств, «Правоведение», 1984, № 3, с. 101.

მის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გადასინჯვის მიზნით, იგი ადგენს დასკვნას და აგზავნის საქმეს შესაბამის სასამართლოში.

4. საქართველოს სსრ სსსკ 888-ე მუხლი არ მიუთითებს, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. ამ შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული კანონის ანალოგია იმ გაგებით, რომ საქმეს განიხილავენ შემდგომი სასამართლოები, როგორც ეს გათვალისწინებულია საქმის ზედამხედველობით განხილვის დროს. ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კოდექსი კი პირდაპირ მიუთითებს, თუ რომელი სასამართლო უფლებამოსილი განიხილოს საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (იხ. მაგალითად, რსფსრ-ის სსსკ 888-ე მუხლი).

ამრიგად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმეს გადასინჯავენ:

სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე შესაბამისი სასამართლოების პრეზიდიუმები (აპარის და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმები; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი, ქ. თბილისის სასამართლოს პრეზიდიუმი); ავტონომიური ოლქის, ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. სასამართლოს, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოების განაჩენებზე (განჩინებებზე) შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები;

უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებზე (განჩინებებზე) შესაბამისი უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმები;

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენებზე (განჩინებებზე) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი;

საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა განხილვისათვის დადგენილია იგივე წესი, რასაც საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვისათვის (იხ. საქართველოს სსრ სსსკ 888-ე მუხლი).

საქმის განხილვის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს სამიდან ერთ-ერთი რომელიმე გადაწყვეტილება: ა) გააუქმოს სასამართლოს განაჩენი (განჩინება, დადგენილება) და დაუბრუნოს საქმე საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს ხელახალი გამოძიებისათვის ან სასამართლო განხილვისათვის; ბ) გააუქმოს სასამართლოს განაჩენი (განჩინება, დადგენილება) და ხაეროდ შეწყვიტოს საქმე; გ) უარყოს პროკურორის დასკვნა და ძალაში დატოვოს სასამართლოს განაჩენი (განჩინება, დადგენილება).

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის შედეგად სასამართლო უფლებამოსილი არ არის შეიტანოს განაჩენში რაიმე სახის ცვლილება⁷.

⁷ См. Анашкин Г. З., Перлов И. Д., Возобновление дел по вновь открывшимся обстоятельствам, М., 1983; Басков В. И., Возобновление дел по вновь открывшимся обстоятельствам, «Советское государство и право», 1981, № 12; Блинов В. М. Возобновление дел по вновь открывшимся обстоятельствам, М., 1968; Строгович М. С., Курс советского уголовного процесса, т. II, М., 1970.



შეჯიბსუბუჩებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ჩაზღვრებასთან და გამოყენება

კობა ქახიანი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

როგორც სტატისტიკა ცხადყოფს, ბოლო ხანებში შეიმჩნევა განაჩენების გაუქმებისა და შეცვლის კლების ტენდენცია მათი უსამართლობის გამო. ამასთან, სისხლისსამართლებრივ საშუალებათა გამოყენებისას გვხვდება სერიოზული ხარვეზებიც, რაც ძირითადად, დიფერენცირებული მიდგომის უგულვებელყოფას უკავშირდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის სირთულენი, რომლებიც შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა პრაქტიკაში სწორ გამოყენებას ახლავს თან. თავის მხრივ ეს დაკავშირებულია როგორც მათს რთულ იურიდიულ ბუნებასთან, ისე არასაკმარის თეორიულ დამუშავებასთან. იურიდიულ ლიტერატურაში სწორად აღინიშნა, რომ „რარიზ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის დადგენა, სასჯელის სწორი განსაზღვრა, მისი ინდივიდუალიზაცია — და სწორედ ამას მოითხოვს ჩვენი კანონი, — შეუძლებელია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების... შეფასების გარეშე“¹. საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი ეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ზუსტ რეგლამენტაციას უკავშირდება, სწორედ ამ პრობლემის ზოგიერთ მხარეზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებისაგან განსხვავებით შემამსუბუქებელ გარემოებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სხვაგვარად, თანახმად სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 33 მუხლის მე-3 ნაწილისა (საქართველოს სსრ სსკ მ. 38, ნაწ. 2)², სასამართლოს სასჯელის დანიშვნისას შეუძლია გაითვალისწინოს აგრეთვე ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც კანონში აღნიშნული არ არის. ბუნებრივად იბადება კითხვა: მაინც ისეთი რა თავისებურებანი ახასიათებთ იმ გარემოებებს, რომლებიც კანონმდებლის ყურადღების ღირსი გახდნენ და რა დააკლდათ სხვა გარემოებებს, ჩამონათვალში რომ ვერ მოხვდნენ? ის, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხა ამომწურავია, ვფიქრობთ, არაფერს არ ცვლის შერჩევის მეთოდის ერთიანობის თვალსაზრისით.

სისხლის სამართლის თეორიისათვის ცნობილია რიგი ძირითადი თვისებებისა, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს გარკვეულ გარემოება, რათა შეიძლებოდეს მისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი პირობის სტატუსის მინიჭება და მისი ჩამონათვალში მოთავსება.

უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ რაიმე გარემოება არ უნდა იყოს დამახასიათებელი დანაშაულთა უმრავლესობისათვის. ეს ლოგიკურად

¹ Шубин В. Учитывать личность виновного при назначении наказания — обязанность суда. «Соц. законность», 1976, № 4, с. 26.

² თუ სპეციალურად სხვას არ აღნიშნავთ, შემდგომში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას ვიგულისხმებთ.

გამომდინარეობს იმ ბუნებრივი დებულებიდან, რომ მას, რაც გავრცელებული და ჩვეულებრივია, არ შეიძლება მივანიჭოთ რაღაც განსაკუთრებულობის თვისება. სწორედ ამ უკანასკნელი ნიშნით ხდება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოების გამოყოფა და მისი იურიდიული შინაარსისა და მნიშვნელობის განსაზღვრა.

მაგალითად, რადგან დადგენილია, რომ დანაშაულს, როგორც წესი, სჩადის ერთი ადამიანი (და არა ჯგუფი), სრულწლოვანი (და არა არასრულწლოვანი) და თანაც პირველად (და არა განმეორებით), მოქმედი სისხლის სამართლის კანონით მხოლოდ საწინააღმდეგო გარემოებებს შეუძლიათ შეამსუბუქონ ანდა დამამძიმონ პასუხისმგებლობა.

რასაკვირველია, გარემოების მხოლოდ აღნიშნული თვისება სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მას პასუხისმგებლობის შემსუბუქების და, მით უფრო, დამამძიმების ფუნქციის შესრულება შეეძლოს. გარემოება, ამასთან ერთად, არსებით ზემოქმედებას უნდა ახდენდეს დანაშაულის ან დამნაშავის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, რაც შესაბამისად ზეგავლენას მის შეფასებაზეც იქონიებდა.

ამ ორ თვისებათა ერთობლიობა არის ის მინიმუმი, რაც აუცილებელია, რათა სასამართლომ გარკვეული გარემოება მისთვის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით მინიჭებული უფლებით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ პირობად მიიჩნიოს.

ამასთანავე, ეს ჯერ კიდევ არ კმარა, რათა კონკრეტულ გარემოებას საკანონმდებლო ჩამონათვალში მოეძებნოს ადგილი. ამისათვის რიგი დამატებითი ნიშნის არსებობაა საჭირო.

ერთ-ერთი ასეთი ნიშანია ტიპურობა. იგი ვრუთინოვს, რომ რომელიმე კონკრეტული გარემოება შესაძლოა დანაშაულთან უსწრებლად ფართო წრეში შეგვხდეს. მაგალითად, საყოველთაოდ საშიში საშუალებით სამოცამდე სახის დანაშაულის ჩადენა შეიძლება (მ. 39, პ. 10)³. ამიტომ ამ გარემოების კანონში ჩართვა მისი ტიპურობის თვალსაზრისით ეჭვს არ უნდა იწვევდეს. აქ არსებითად გარემოების თეორიული ტიპურობა იფიქსირებულია კანონმდებელში კი იგი შეიძლება არც თუ ისე მრავლად გვხვდებოდეს.

თუ გარემოება დამახასიათებელი არ არის გარკვეული ძახეს დანაშაულისათვის, ე. ი. თავისი ბუნებით ატიპურია, იგი კანონის ჩამონათვალში არ უნდა მოთავსდეს, რადგან ვერ გაამართლებს თავის თავს, გამოიწვევს კანონის გაბერვას, ჩახერგვას და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის ათვისებასაც ვერ შეუწყობს ბევრად ხელს. სხვაგვარად ძნელია, მაგალითად, ავხსნათ რატომ არ მოიძებნა ადგილი 39-ე მუხლის შემადგენლობაში ისეთი გარემოებისათვის, როგორცაა დანაშაულის ჩადენა გაუკუღმართებული ფორმით ან, ვთქვათ, ბინაში შეღწევით. თითოეული მათგანი ხომ ქმედობის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მეტყველებს და უარყოფითად უპასუხებს აგრეთვე დამნაშავის გამოსწორების შესაძლებლობებზე?⁴

ახლა აღნიშნულ ძირითად ნიშანთვისებათა კუთხით განვიხილოთ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ისეთი შემამსუბუქებელი გა-

³ Круглик в П. П. Смягчающие и отягчающие ответственность обстоятельства в уголовном праве, Воронеж, 1985, с. 84—85.

⁴ Козлов А. П. Отягчающие обстоятельства в советском уголовном праве. Автореферат канд. дисс. М., 1977, с. 7.

რემოება, როგორცაა დანაშაულის ჩადენა პირველად, შემთხვევით მომხდარ გარემოებათა დამთხვევის გამო (მუხ. 38, პ. 4).

კანონის გრამატიკული განმარტება რომ მოვიშველიოთ, ნათლად დავინახავთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთიან შემამსუბუქებელ გარემოებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ფაქტობრივად ორი დამოუკიდებელი ნიშნისაგან შედგება. ეს ნიშნები, მართალია სჭკადასხვა მხრიდან ახასიათებენ ქმედობას და მის ჩაბდენ პირს, მაგრამ მხოლოდ ორივეს ერთად არსებობა გვაძლევს იმ შემამსუბუქებელ პირობას, რომელიც კანონით არის ნაგულისხმევი. ამიტომ, მხოლოდ დანაშაულის პირველად ჩადენის ფაქტი არ შეიძლება იყოს შემამსუბუქებელი გარემოება. კანონი, ამასთან ერთად, მოითხოვს, რომ დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს შემთხვევითი გარემოების ზეგავლენით.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, მოცემულ შემამსუბუქებელ გარემოებას კიდევ ერთ ნიშანს უმატებენ და მოითხოვენ, რომ ამასთან ერთად ჩადენილი დანაშაული არ უნდა ქმნიდეს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. ასეა საკითხი გადაწყვეტილი რუსეთის კანონმდებლობაშიც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული თავისებურება უფრო მომგებიანი გვეჩვენება, რადგან, თუ დანაშაული პირველად და შემთხვევითი გარემოებების ზეგავლენითაა ჩადენილი, ეს პიროვნების ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას ადასტურებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს დანაშაული მძიმეა⁵.

ამდენად მიგვაჩნია, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნის დამატებით ფორმალურად, ხელოვნურად ზღუდავენ მოყვანილი პუნქტის გამოყენების არეს, რაც არსებითად არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად.

უფრო მეტიც, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ჩვენი კოდექსის მიერ შემოთავაზებული რედაქციაა სრულყოფილი და საერთოდ ეჭვის ქვეშ ვაყენებთ მოცემული შემამსუბუქებელი გარემოების კანონში არსებობას შემდეგი მოსაზრებების გამო: როგორ უნდა შეფასდეს, მაგალითად, ისეთი ვითარება, როცა დანაშაული ჩადენილია შემთხვევით მომხდარ გარემოებათა დამთხვევის გამო, მაგრამ არა პირველად, არამედ, დავუშვათ, მეორედ? დანაშაულის განმეორებით ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩადენილი აქვს რაიმე დანაშაული, მოქმედი კანონმდებლობით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება (მუხ. 39, პ. ნაწ. 1). მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ნხედველობაში არ მივიდოთ, რომ დანაშაული შემთხვევით მომხდარ გარემოებათა დამთხვევისას მოხდა. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების არსებობა თავისთავად არ ნიშნავს შემამსუბუქებელი გარემოებების სრულ იგნორირებას და უგულვებელყოფას.

ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში სასამართლოს იურიდიული უფლება არა აქვს, რომ მიუთითოს შემთხვევით მომხდარ გარემოებათა დამთხვევაზე როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ პირობაზე, რადგან იგი ასეთი სუფთა სახით არ არის მოცემული 38-ე მუხლში. ფაქტობრივად, სასამართლო ამგვარ გარემოებას ალბათ არ დატოვებს ყურადღების გარეშე სასჯე-

⁵ Макашвили В. Г. Особенности уголовных кодексов союзных республик. М., 1964, с. 237—238.

ლის განსაზღვრისას, მაგრამ ეს უკვე სასამართლოს თავისუფალი შემოქმედების შედეგი იქნება.

ამას გარდა, სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი იმ სახით, რა სახითაც ჩამოყალიბებულია კანონში, საერთოდ არ მოქმედებს პრაქტიკაში. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ დანაშაულის პირველად ჩადენაზე მიუთითებენ და არაფერს ამბობენ შემთხვევით მომხდარ გარემოებათა შესახებ. მაგალითად, როგორც გაუფრთხილებელ (მუხ. მუხ. 108, 115, 241), ისე განზრახ (მუხ. 165) დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მითითებას „პირველ ნასამართლობაზე“, „დანაშაულის პირველად ჩადენაზე“ სუფთა სახით, კანონით გათვალისწინებული სხვა ნიშნების გარეშე, ადგილი ჰქონდა საქმეთა 72,5 პროცენტში, ფაქტობრივად თითქმის ყოველთვის, როცა კი დანაშაული პირველად იყო ჩადენილი. ხოლო აღნიშნული პუნქტის საკანონმდებლო რედაქციით გამოყენება არც ერთხელ არ შეგვედგინა. დაახლოებით იგივე სურათი მიიღეს სხვა ავტორებმაც, როცა ამ კუთხით სწავლობდნენ სასჯელის დანიშვნის პრაქტიკას განზრახი დანაშაულისათვის.

ყოველივე ეს ეჭვის ქვეშ აყენებს აღნიშნული შემამსუბუქებელი გარემოების საკანონმდებლო კონსტრუქციის ვარგისიანობას. გამოდის, რომ იგი აშკარად არ ესადაგება პრაქტიკის მოთხოვნებს. სასამართლო პრაქტიკა კი სისხლის სამართლის უშუალო სოციალური წყაროა და მას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამრიგად, იქმნება ერთობ საჩოთირო ვითარება: დანაშაულის ჩადენა პირველად თავისთავად ვერ იქნება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, ვინაიდან იმ ძირითადი ნიშნებიდან, რომელზეც ჩვენ დასაწყისში გვქონდა საუბარი, იგი ყველაზე მთავარს, სხვაზე რომ აღარ ვიმსჯელოთ, გამოაკლისობის ნიშანს ვერ აკმაყოფილებს. იმ რედაქციით, კი, როგორც იგი წარმოდგენილია მოქმედ კანონმდებლობაში — მოცემული ნორმის მოქმედებას.

არსებული ვითარებიდან ყველაზე კარგ გამოსავლად მიგვაჩნის დანაშაულის პირველად ჩადენის გარემოების მთლიანად ამოღება საკანონმდებლო ჩამონათვალისაგან. სწორედ ასეა ეს საკითხი გადაწყვეტილი საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი საფუძვლების პროექტით, რომელიც გამოქვეყნდა განხილვისათვის (მუხ. 43).

რაც შეეხება „...შემთხვევით მომხდარ გარემოებათა დამთხვევას“, პროექტს ამ შემამსუბუქებელ გარემოებაზე უარი არ უთქვამს. იგი ორგანულადაა შერწყმული პროექტის 43-ე მუხლის „დ“ პუნქტთან — „დანაშაულის ჩადენა მძიმე პირად, ოჯახურ ან სხვა გარემოებათა დამთხვევის გამო“.

ანალოგიური გარემოება მოქმედი კანონმდებლობითაც არის გათვალისწინებული იმ განსხვავებით, რომ მასში მინიშნებულია გარემოებათა მხოლოდ პირად ან ოჯახურ ხასიათზე (მუხ. 39. პ. 2). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოქმედი კანონით ხდება ბუნებით ერთი და იგივე გარემოების დუბლირება მუხლის სხვადასხვა პუნქტით.

მართლაც, რომ პრობლემის რადიკალურ გადაჭრასთან გვაქვს საქმე. არის

კი გამართლებული ეს? ასეთი კითხვა მით უფრო ბუნებრივია, რამდენადაც ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სასამართლოები თავის პრაქტიკაში მაინც არ მოიშლიან პირდაპირ თუ არაპირდაპირ მითითებას დანაშაულის პირველად ჩადენაზე და მის გათვალისწინებას სასჯელის განსაზღვრისას მით უფრო, რომ ამის უფლება მათ დარჩებათ.

ვფიქრობთ, რომ დასმულ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ და არ უნდა შეგვაცუბუნოს იმან, რომ სასამართლო განაჩენში კვლავაც შევხვდებით მინიშნებას დანაშაულის პირველად ჩადენაზე, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ პირობაზე, და აი რატომ:

საქმე ის არის, რომ როცა სასამართლო დღევანდელ საკანონმდებლო მიწერილობათა დარღვევით დანაშაულის პირველად ჩადენაზე მიუთითებს (რამეთუ შემთხვევით მომხდარი გარემოებანი საქმეში არ ფიგურირებენ), იგი ამით ხაზს უსვამს პიროვნების ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას. ამიტომაცაა, ალბათ, რომ განაჩენში მინიშნება ასეთზე სულ სხვადასხვა სახით ხდება — „პიროვნება ადრე არ არის ნასამართლევია“, „ადრე დანაშაული არ ჩაუდენია“, „იგი პირველადაა პასუხისმგებაში“, „ადრე კი აქვს ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ნასამართლობა უკვე გაქარწყლებულია“ და სხვა.

ამდგვარ მითითებებს, როგორც წესი, განაჩენში ვხვდებით, როცა არ არის ჩადენილი მძიმე დანაშაული და არსებობენ სხვა შემამსუბუქებელი გარემოებანიც, რომლებიც უფრო ხშირად ისევ და ისევ პიროვნებას ახასიათებენ — გულწრფელი მონანიება, დადებითი დახასიათება სამსახურიდან და საცხოვრებელი ადგილიდან და სხვ. დამამძიმებელ გარემოებათა არსებობა კი, ჩვეულებრივ, „ანეიტრალებს“ დანაშაულის პირველად ჩადენის შემამსუბუქებელ ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ხშირად მაინც მიუთითებს ხოლმე განაჩენში პირველ ნასამართლობის ფაქტზე, არსებითად კი მას არ ეძლევა რაიმე მნიშვნელობა სასჯელის ზომის განსაზღვრისას. ეს უკანასკნელი, გარკვეულწილად, წესად არის ქცეული ერთი მხრივ, შტამპებისა და სტერეოტიპების ზეგავლენით, მეორე მხრივ, კი იმით, რომ საზოგადოებაში გამჭდარია და ჯერ კიდევ მყარად არის დამკვიდრებული ის აზრი, რომ დანაშაულის პირველად ჩადენა ყოველთვის შეღავათიანად უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ და ეს უკანასკნელი ცდილობს არ აამხედროს იგი თავის წინააღმდეგ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო დანაშაულის პირველად ჩადენის ფაქტს პასუხისმგებლობის შემსუბუქების უტყუარ პირობად კი არ თვლის, არამედ მასზე მინიშნებით ცდილობს დაახასიათოს პიროვნება და აღნიშნოს და შეაფასოს მისი დადებითი მხარე, თუ იგი, რასაკვირველია, მოიპოვება.

არსებობს კიდევ სხვა ნიშნებიც, რომელთა არსებობაც აუცილებელია, რათა გარკვეულმა გარემოებამ კანონმდებლის ყურადღება დაიმსახუროს.

უკვე აღნიშნულის გარდა, ერთ-ერთი ასეთი ნიშანია კონკრეტული გარემოების პასუხისმგებლობაზე აუცილებელი ზემოქმედების უნარი. ეს გულისხმობს, რომ საზოგადოდ, გარემოება, რომელიც კანონშია მინიშნებული, ყველა შემთხვევაში უნდა ახდენდეს გავლენას სასჯელის ზომაზე, ქმედობისა და დამნაშავის პიროვნების თავისებურებათა მიუხედავად. მაგალითად, დანაშაულის ჩადენა მძიმე პირადი ან ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო (მ. 38, პ. 2) ანდა დანაშაულის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნო-

ბით (მ. 39. პ. 4) ყოველთვის მიუთითებს დანაშაულისა და დამნაშავეს შემცირებულ ან გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, და ამდენად, მათ სწორად უკავიათ ადგილი კანონის ზოგად ჩამონათვალში.

აღნიშნული კრიტერიუმის მომარჩევა შესაძლებლობას გვაძლევს კრიტიკულად შევხედოთ კანონში მითითებულ ზოგ გარემოებას. მაგალითად, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ გარემოებად თვლის დანაშაულის ჩადენას მცირეწლოვანის, ღრმად მოხუცის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელიც ბრალეულზე მატერიალურ, სამსახურებრივად ან სხვაგვარად იყო დამოკიდებული. სინამდვილეში აღნიშნული გარემოება აუცილებელი შემოქმედებისთვის მხოლოდ მაშინ იქნეს, როცა დადგინდება აღნიშნული დამოკიდებულების გამოყენების ფაქტები. ამიტომ ამ ნაწილში უფრო ზუსტი და მომგებიანი გვეჩვენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რედაქცია, სადაც „გამოყენების“ მომენტი საგანგებოდაა მითითებული (მ. 39, პ. 11). ასეთნაირადაა გადაჭრილი ეს საკითხი აგრეთვე მოლდავეთის, უკრაინისა და ესტონეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც.

ახალი საფუძვლების პროექტით აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება წარმოდგენილია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის რედაქციით, რომლის უზუსტობაზეც უკვე მივუთითეთ. ვფიქრობთ, რომ ახალი კანონმდებლობის შემუშავებისას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ კანონმდებლობას, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი დადებითი გამოცდილება, რომელიც აღიარებულია საბჭოთა მეცნიერების მიერ და შემოწმებულია პრაქტიკით.

აუცილებელი შემოქმედების პირობას მჭიდროდ ემიჯნება კიდევ ერთი ნიშანი, რომლითაც უნდა ხასიათდებოდეს ესა თუ ის გარემოება, ეს არის შემოქმედების ზუსტად განსაზღვრული მიმართულება. იგი გულისხმობს, რომ ჩამონათვალში მოთავსებულმა გარემოებამ ან უნდა შეამსუბუქოს ან უნდა დაამძიმოს ქმედობისა და პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება და შესაბამისად იმოქმედოს სასჯელზე. დაუშვებელია, რომ კანონში მითითებულ გარემოებას ორგვარი შემოქმედების უნარი გააჩნდეს.

კანონში ჩამოთვლილ გარემოებათა ეს თვისება წინასწარ არის განსაზღვრული და დაპროგრამირებული, რაც ერთი გარემოების მეორისაგან გამიჯნის შესაძლებლობას იძლევა მისი თვისებრივი შემოქმედების თვალსაზრისით.

ამიტომ, როგორც წესი, კანონმდებელი ერიდება ჩამონათვალში ე. წ. „შერეული ბუნების“ გარემოებათა მოთავსებას, რომელთაც სხვადასხვანაირად შეუძლიათ პასუხისმგებლობაზე მოქმედება. მიზანშეუწონელია კანონის ზოგად ნორმაში მოხვდეს ისეთი გარემოება, როგორცაა, მაგალითად, ახლო ნათესაური კავშირი, რადგან, კერძოდ, განზრახვი მკვლელობის ჩადენისას მან შეიძლება დაამძიმოს პასუხისმგებლობა, ხოლო დანაშაულის განუცხადებლობისა ან დაფარვის შემთხვევაში, ახლო ნათესაური კავშირი მხოლოდ შემსუბუქების მიმართულებით იმოქმედებს⁶.

აღნიშნული ნიშანთვისების გათვალისწინების საფუძველზე ვფიქრობთ,

⁶ საფუძვლების პროექტით ახლო ნათესავეები საერთოდ არ აგებენ პასუხს სისხლის სამართლის წესით წინასწარ შეუპირებული დაფარვისათვის და განუცხადებლობისათვის (მ. მ. 18, 19).

რომ იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად დაისვა ისეთი დამამძიმებელი გარემოების ზოგად ჩამონათვალში მოთავსების საკითხი, როგორცაა დანაშაულის მთვრალ მდგომარეობაში ჩადენა (მ. 9; პ. 12).

საქმე ის არის, რომ სისხლის სამართლის თეორიაში საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ ცალკეულ შემთხვევაში სიმთვრალე შესაძლოა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებადაც ჩაითვალოს⁷.

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება მხარდაჭერის ღირსია. სიმთვრალე ყოველთვის ახდენს საგრძნობ ზემოქმედებას ქცევის ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტებზე, მაგრამ დამამძიმებლად ითვლება არა ის გარემოება, რომ ადამიანს მთვრალ მდგომარეობაში შეზღუდული აქვს რეალური სამყაროს აღქმისა და მისი სწორი შეფასების უნარი, არამედ ის, რომ იგი დათვრა, იმის მიუხედავად, რომ იცოდა სიმთვრალის შესაძლებელი რეაქცია და ზემოქმედება მის ფსიქიკაზე, რაც არაერთგზის გამოუცდია. ესე იგი, გასაკიცხაობის მომენტი აქ წინ უსწრებს ქცევას და მის შეფასებას.

მაგრამ თუ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება პირისათვის ერთეულ შემთხვევად აღმოჩნდა, რაც რაიმე განსაკუთრებულ ვითარებასთან იყო დაკავშირებული, მის მიერ ასეთ მდგომარეობაში საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენა არ მეტყველებს ბრალდებულის ანტისაზოგადოებრივ განწყობაზე და, ძირითადად მასზე ალკოჰოლის მავნე ზეგავლენით აიხსნება. მაშინ სიმთვრალე შეიძლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებადაც იყოს მიჩნეული. მაგალითად, ადამიანს სპეციალურად ათრობენ დანაშაულში ჩათრევის მიზნით, განსაკუთრებით კი როცა იგი არასრულწლოვანია.

დღევანდელ საკანონმდებლო მიწერილობათა პირობებში შესაძლებელია მხოლოდ ის, რომ სიმთვრალე ზოგ შემთხვევაში არ ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად (მ. 39, პ. 12), მაგრამ სასამართლოს არ გააჩნია უფლება დამნაშავის მთვრალი მდგომარეობა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ პირობად მიიჩნიოს.

ჩვენი აზრით, ეს საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს საქმის კონკრეტულ გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალიდან ამოღებული იქნება მე-19 მუხლის მე-12 პუნქტი.

ახლა, როცა ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მუშავდება, ამ საკითხებზე საგანგებო დაფიქრება გემართება.

⁷ Габнани А. А. Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения. Тбилиси, 1968, с. 92—109; Долиненко Л. А. Влияние смягчающих ответственность обстоятельств на индивидуализацию наказания и на освобождение уголовной ответственности с применением мер общественного или административного воздействия. Автореферат канд. дисс. Томск, 1980, с. 10; Бейсейнов Б. С. Алкоголизм: уголовно-правовые и криминологические проблемы. М., 1981, с. 131.

ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალი ამიერიდან პერიოდულად გამოაქვეყნებს ადვოკატების იმ დაცვით გამოსვლებს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიული დონით, საქმისადმი სიყვარულით, პრინციპულობითა და პატიოსნებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ გამოსვლებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს გამამართლებელი განაჩენის დადგენის საქმეში. მართალია, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ასეთი ფაქტები ამჟამად ბევრი როდია, მაგრამ განაჩენა და ვითარდება მისასალმებელი ტენდენცია, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ბოლო ელბა მაგნე სტერეოტიპს — გამამართლებელი განაჩენით გამოწვეულ „ბევრ უსიამოვნებას“, რასაც წლების მანძილზე ჯიუტად არიდებდნენ თავს ზოგიერთები...

ჭეშმარიტების დადგენაში თუ რა როლს ასრულებენ ადვოკატები, ეს ცხადია და ამაზე აქ ბევრს აღარაფერს ვიტყვით, მაგრამ ის კი აუცილებელ. ენდა აღინიშნოს, რომ საქმის ღრმად მცოდნე და პრინციპული ადვოკატები ყოველ დროსა და ყოველ ვითარებაში იჩენდნენ და იჩენენ შესაშურ ბრძოლისუნარიანობას და მიზანსაც აღწევენ...

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრის ვახტანგ კერესელიძის დაცვით სიტყვას (მცირეოდენი ცვლილებით), რომელიც წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1973 წლის 5 მარტის სამსჯავრო სხდომაზე.

ვახტანგ კერესელიძის დაცვითი სიტყვა

პატივცემულო მოსამართლენო! იმ მტკიცებების მეშვეობით, რომლებიც ამ საქმეშია წარმოდგენილი, თქვენ მოწოდებულნი ხართ გამოარკვიოთ სამართალში მიცემულის დამოკიდებულება იმ შემთხვევასთან, რაც მას ბრალად აქვს წარდგენილი. ამის საფუძველზე თქვენ უნდა შექმნათ უდიდესი მნიშვნელობის მართლმსაჯულების აქტი, რომელიც სავალდებულო ჭეშმარიტებად ჩათვლება, განაჩენი ეწოდება და კანონის ძალა აქვს მინიჭებული.

მექრთამეობა არა მარტო სისხლის სამართლებრივი ნორმების დარღვევაა, არამედ იმ ზნეობრივი კატეგორიების უგულვებელყოფაც არის, რაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური განვითარების უმაღლესი საფუძველია. მაგრამ, ამ დანაშაულის წინააღმდეგ კანონიერმა ბრძოლამ ხელი არ უნდა შეუშალოს მართლმსაჯულების უმაღლესი პრინციპის — სამართლის განხორციელებას, რომლისთვისაც სასამართლოა მოწოდებული და რომლის გარეშე მაღალი მორალური კატეგორიები მარტოდენ ფიქციად გადაიქცევა!

ამრიგად, ამა თუ იმ საქმის, კერძოდ, თქვენს მიერ განსასჯელი ადამიანის ბედი, რომლის უკან ოჯახი და ბავშვები დგანან, უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მარტოდენ კონკრეტული მტკიცებებიდან გამომდინარე ინდივიდუალური ბრალის საფუძველზე.

განვიხილოთ თუ რას წარმოადგენენ მტკიცებები, რომელთა მიხედვით თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ჩაიდინა თუ არა დანაშაული, აიღო თუ არა ქრთამი სამართალში მიცემულმა ნ. გ.-მ გ. კ.-საგან სამსახურში მიღებისათვის? (გასაგები მიზეზების გამო გვარებს არ ვასახელებთ. — რედ.).

ასეობენ თუ არა სამართალში მიცემულის დამნაშავედ ცნობისათვის შესაბამისი დამამტკიცებელი საბუთები და რა ძალა გააჩნიათ მათ საერთოდ და კერძოდ, რაიმეს სამტკიცებლად და შეუძლია თუ არა სასამართლოს მათზე

დაყრდნობით სწორად და შეუცდომლად შეიცნოს ფაქტები და მოვლენები, არ დარჩეს ეჭვი, რომ ამ განაჩენით აღსრულდა ჰუმანიტარული მართლმსაჯულება?

მოსამართლენო! ამ საქმეზე განაჩენის გამოტანისას ყურადღების ცენტრში უნდა იქონიოთ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ბრალდება — ნ. გ.-ს მიერ გ. კ.-ს მძლოლად მიღებისათვის 800 მანეთის ქრთამის აღება დამყარებულია მხოლოდ ისეთი პირის ჩვენებაზე, რომელიც სამართალში მიცემულმა ამ შემთხვევამდე ადრე სამსახურიდან მოხსნა, ხოლო უფრო ადრე, მისივე ხელმოწერილი ბრძანებით სასტიკი საყვედური აქვს გამოცხადებული. სამართალში მიცემულის ხელმოწერილი ბრძანებები ამ ორი ადმინისტრაციული სასჯელის შესახებ საქმეშია და ეს ფაქტი დავას არ იწვევს. ასევე დავას არ იწვევს მეორე ფაქტი, რომ გ. კ.-მ მხოლოდ ამის შემდეგ იჩივლა...

როგორც საქმიდან ნათლად ჩანს, „ავტომანქანის ნაწილების ხელყოფისათვის“ სამსახურიდან განთავისუფლებული გ. კ. მეტად უკმაყოფილო იყო, ცდილობდა სამსახურში აღდგენას, უგზავნიდა ნ. გ.-ს შუამავლებს, მაგრამ მან არ აღადგინა. ამან კი სავსებით ლოგიკური შესაბამისობით მის მიმართ მტრული განწყობილება გამოიწვია. ამრიგად, მთელი ბრალდება დამყარებულია მტრულად განწყობილი პირის ჩვენებებზე, პირისა, რომელმაც სამართალში მიცემულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული მოქმედებით მიიღო მატერიალური და მორალური ზიანი — დაკარგა სამსახური, როგორც შემოსავლის წყარო, ამასთან, ბრძანებით გაფორმებული ქურდბაცაცის სახელით...

სავსებით ცხადია ის გარემოება, რომ გ. კ. საქმის შედეგით სისხლხორცეულად დაინტერესებული პირია. ამ ფაქტორს სასამართლო გვერდს ვერ აუგლის სამი მცირეწლოვანი ბავშვის მამის, შეუბღალავი წარსულის მქონის, სამართალში მიცემული ნ. გ.-ს ბედის გადაწყვეტის დროს.

გ. კ.-ს ჩვენებების შეფასებისას, სასამართლო აღმოჩნდება რამდენიმე ღრმად დამაეჭვებელი პირობის წინაშე, როდესაც წარდგენილი ბრალდება არა მარტო წარსულს ეხება, არამედ არ არსებობს ნივთმტკიცება — ფული, დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი. არ არსებობს ამ ფაქტის არცერთი მოწმე, ხოლო ეს ჩვენებები ისეთ სახეცვლილებებს განიცდიან, რომ თქვენ ან უნდა მთლად უარყოთ ისინი, როგორც დამაჯერებლობას მოკლებულნი, ან რამდენიმე ვარიანტიდან ერთი აირჩიოთ და ეჭვის ქვეშ დააყენოთ თქვენივე განაჩენის დამაჯერებლობა და კანონიერება... ამასთან შეუძლებელია მხედველობაში არ ვიქონიოთ ისიც, რომ გ. კ.-ს მიერ შინაგან საქმეთა განყოფილებაში გაკეთებულია მხოლოდ სიტყვიერი განცხადება და ამის თაობაზე შედგენილი ოქმი მის მიერ ხელმოწერილი არ არის.

წინასწარი გამოძიების დროს დაპირისპირებისას გ. კ. აჩვენებს, რომ მან ბრალდებულს 800 მანეთი მისცა მძლოლად მიღებისათვის, რასაც ნ. გ. უარყოფს, ხოლო როდესაც სამსახურიდან მოხსნა მანქანის ნაწილების მითვისებისათვის, მან ფული უკან მოსთხოვა, რაც ნ. გ.-მ არ დაუბრუნა. ამის შემდეგ თოთხმეტ თვეზე მეტი გავიდა და გ. კ.-მ მხოლოდ მაშინ იჩივლა...

გ. კ.-ს ჩვენებების შემდგომი კრიტიკული შეფასებისა და მისი ჯვარედენი დაკითხვების შემდეგ მიღებული ჩვენებებიდან ირკვევა მრავალი საგულისხმო გარემოება. კერძოდ, სამართალში მიცემული ნ. გ. თავის დროზე მე-6, მე-7 და მე-8 კლასში გ. კ.-ს ფიზიკას ასწავლიდა, დედის მხრიდან მისი შორეული

ნათესავია და მეზობელიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამას თვით გ. კ. ადასტურებს.

სამსჯავრო სხდომაზე გ. კ.-მ განაცხადა, რომ ნ. გ. მას 800 მანეთს ესესხა და ეს მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გ. კ. აქ არ მუშაობდა, და არც აპირებდა აქ მუშაობის დაწყებას. აქედან კი სავსებით ცხადია, რომ ფულის სესხად მიცემის დროს სამსახურზე და ქრთამზე ლაპარაკიც არ იქნებოდა. იგი იმასაც ადასტურებს, რომ ფულის სესხების დროს მოწმე არ დასწრებია და არც ხელწერილი გამოურთმევია. ვერც იმას უარყოფს, რომ მოწმეების დასწრებით ფულის დაბრუნებაზე ლაპარაკს ადგილი არ ჰქონია. მან სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე აღიარა საკუთარი ცოდვა, რომ მისი სიტყვიერი განცხადების საფუძველზე შედგენილ ოქმში საქმის მე-2 ფურცელი სწორი არ არის წინადადება — „წინასწარ მანამ არ მივეცი ფული, სამსახურში არ მიმიღო“, რაზედაც მას ხელი არც მოუწერია. მაგრამ, არავინ იფიქროს თითქოს იგი ნ. გ.-ს დახმარებას ცდილობდეს, არა, იგი არ ლალატობს თავის თავს, და კვლავ ცდილობს დანაშაულში მის მხილებას, მაგრამ ამჟამად უკვე მისგან გამოგონილი სხვა ვარიანტი. მან თქვენ განგიცხადათ, რომ როდესაც ნ. გ.-ს „ვალი“ მოსთხოვა, მან არ დაუბრუნა და სამსახურში მისი მიღების საფასურში გამოუბარა. გ. კ.-ს ჩვენების ეს ახალი სახეცვლილება, რითაც იგი ნ. გ.-ს კვლავ დანაშაულში ამხელს, ერთხელ კიდევ ადასტურებს მისდამი მტრობის ფაქტს, ეს კი უფრო მეტად ფასეულია დაცვისათვის, ვიდრე მისი მამნილებელი ჩვენებების სრული უარყოფა იქნებოდა...

გავყვეთ ამ ახალ ვერსიას: სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე მოწმედ დაკითხულმა გ. კ.-ს მამამ ლ. კ.-მ აჩვენა, რომ შვილმა მას გამოართვა 800 მანეთი და უთხრა „ნ-ს უნდა ვასესხო“. ამრიგად, ვარიანტი, რაშიც ნ. გ.-ს საბრალდებო დასკვნით ბრალი ედება, იხსნება, რადგან ქრთამი კი არ ყოფილა, არამედ სესხი მიუცია, სამსახურში მიღებამდე გაცილებით ადრე.

მოწმედ დაკითხულმა გ. კ.-ს ნათესავმა, რომელიც მას პროტექტორობდა სამსახურში მოწყობისათვის, აჩვენა, რომ მან ქრთამისა ან სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით რაიმე ფულის შესახებ არაფერი არ იცის, თუმცა საქმის გარემოებათა გამო მას ეს ეცოდინებოდა, თუ კი ამას ადგილი ექნებოდა.

თვით ფულის სესხების ფაქტი არ მტკიცდება, რადგან არ არსებობს არც მოწმის ჩვენება და არც წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი. ხოლო, როდესაც რაიმე გარემოებას ორიდან მხოლოდ ერთი ადასტურებს, მეორე კი უარყოფს, ფაქტი დადასტურებულად არ ჩაითვლება. ფულის სესხება არაღმაჯერებელია იმიტომაც, რომ თუ სამსახურში მიღებისათვის პროტექტორი სჭირდებოდა ნათესავის სახით, ქრთამს როგორღა მისცემდა, რამდენადაც ნდობა არ ყოფილა, ხოლო თუ ფული მისცა, რაღად სჭირდებოდა სხვისი პროტექცია? აი, ის შეუსაბამობანი, რაც პროცესუალურად საქმის შედეგით დაინტერესებული პირის გ. კ.-ს ჩვენებებმა გამოიწვია და მას რომ ბოლომდე მიეყვებო, იგი ცდომილი გზით ობობას ქსელში გაგვხვევს და დაგვაკარგვინებს ჭეშმარიტების ვასალებს... ამდენად, გ. კ.-ს ჩვენებებს დაკარგული აქვთ დამაჯერებლობა და არ გააჩნიათ მტკიცების ძალა.

მოსამართლენო! ჩვენ ვიცით, რომ ქრთამის აღების ძირითადი პირობაა ქრთამის გადაცემის აქტის კავშირი ან ასეთის დაპირების კავშირი, ისეთი მოქმედების შესრულებასთან თუ შეუსრულებლობასთან, რომელიც თანამდე-

ბობის პირს უნდა შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (თუნდაც ეს მოქმედება ან უმოქმედობა კანონიერიც იყოს).

აქ ყველა შემთხვევაში იგულისხმება წინასწარ შეპირება, მოქმედების შესრულებისა ან ამ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება, ქრთამის მიცემის სასარგებლოდ. ანუ ქრთამის გაცემა-აღების დროს საჭიროა ორი მხარის შეთანხმება, რომ ქრთამი გაცემული იქნება თუ შესრულდა ან არ შესრულდა ესა თუ ის მოქმედება. ამრიგად, თანამდებობის პირის მოქმედება უნდა ხდებოდეს ქრთამის ზეგავლენით, რაც შესაბამისად ქმნის ურთიერთკავშირს ქრთამის გაცემასა და თანამდებობრივ მოქმედებას შორის. ჩვენს შემთხვევაში კი დგინდება, რომ ნ. გ.-მ გ. კ. სამსახურში მიიღო ნათესავის თხოვნით, ხოლო სესხი მართლაც რომ ჰქონდეს მიღებული, ეს არავითარ კავშირში არ შეიძლება ყოფილიყო მის სამსახურებრივ მოქმედებასთან და ცხადია, სამსახურში მისი მიღების დროს ანგარება არ ამოძრავებდა. ამდენად, ნ. გ. თავის მოქმედებასთან და ამ მოქმედების შედეგებთან დანაშაულებრივი ანუ ბრალეული არ იყო, რითაც სავსებით ნათელია მისი სრული უდანაშაულობის ფაქტი.


სამართალში მიცემულმა აქ განაცხადა, რომ გ. კ. მას მართლაც სთხოვდა ფულს, მაგრამ არა ქრთამად მიღებულს, არა ვალს, არამედ საკუთარი სახსრებიდან მანქანის ნაწილების შეძენისათვის დახარჯულ თანხას, მაგრამ, ცხადია ბულალტერიას ამის განაღდება არ შეეძლო.

არ შეუდგები ცალკეული მოწმის ჩვენების ციტირებას, ისინი თქვენ მოისმინეთ სამსჯავრო სხდომაზე. მე ხაზს უსვამ მოწმეთა ჩვენებების საერთო, ძირითად აზრს იმის შესახებ, რომ გ. კ. მანქანაზე დახარჯულ ფულს თხოვლობდა და ჩიოდა — „მანქანას ჩემი ნაყიდი 600 მანეთის ნაწილები უყენია და ყველას შევსხნი, თუ ფულს არ მომცემენო“.

სამართალში მიცემულის უდანაშაულობის კიდევ ერთხელ ნათელყოფისათვის, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ის მრავლისმეტყველი გარემოება, რომ მან გ. კ.-ს სასტიკი საყვედური გამოუტანა, შემდეგ სამსახურიდანაც მოხსნა და, მიუხედავად მრავალი თხოვნისა, არც აღადგინა. ეს მოქმედება რაღაცა არა ჰგავს ისეთი პირის მოქმედებას, რომელსაც ქრთამი აქვს მიღებული იმ პირის სამსახურში მიღებისათვის, რომელსაც იგი ხსნის და თან აპირებს პროკურატურას გადასცეს მისი პასუხისგების საქმე.

მოსამართლენო! მტრულად განწყობილი პირის ჩვენების სარწმუნოდ მიღების ასეთი პრაქტიკა რომ დაინერგოს, არცერთი თანამდებობის პირი დაზღვეული არ იქნება ნ. გ.-ს მსგავსი სამწუხარო ბედისაგან... არ იქნება გარანტირებული, რომ ვერც პირადი კეთილსინდისიერება, ვერც ავტორიტეტი და ვერც თანამდებობით ნაკარნახევი სწორი მოქმედება ვერ იხსნის მას, უკეთეს შემთხვევაში, თანამდებობიდან მოხსნისაგან და რომ, ასეთი შემთხვევა გამონაკლისი როდია... ამ საქმის მსგავსად, ეჭვი სამართალში მიცემულის არა სასარგებლოდ, როგორც ამას კანონი ითხოვს, არამედ მის საწინააღმდეგოდ რომ წყდებოდეს, მაშინ ძირი გამოეთხრება მართლმსაჯულებას...

საქმიდან ვიცით, რომ გ. კ.-მ, ამ ბრალდების გარდა, რაც დღეს წარდგენილი აქვს. ნ. გ.-ს თავისი სიტყვიერი განცხადებითა და ჩვენებით, მას ბრალი დასდო კიდევ სხვა ისეთ მძიმე დანაშაულობებში, როგორც არის სახელმწიფო ქონების მითვისება, სხვა პირისგან ქრთამის აღება... რამდენჯერმე ვადა გაუგრძელდა წინასწარ გამოძიებას, სამ ტომად იქცა საქმე, დაიკითხა ასზე



მეტი მოწმე, ჩატარდა ექსპერტიზა, შემოწმდა და გაიჩნრია მრავალი საბუთი, გარემოება და ფაქტი, საბოლოოდ კი დადგინდა, რომ ყველა ეს ბრალდებანი მხოლოდ მის მიერ არის შეკოწიწებული, და სინამდვილეს არ შეესაბამებოდნენ, ამიტომაც ისინი ნ. გ.-ს არ წარედგინა. შემდეგ კი ისიც გამოიჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ბრალდება, რაც მრავალ ბრალდებათაგან დარჩა, თურმე ისიც სწორი არ ყოფილა. მიხვდა თუ არა პირველი ვერსიის უსუსურობას, მან ავტომანქანის ნაწილებზე დახარჯული ფულის მოთხოვნის ფაქტს მისცა სხვა ინტერპრეტაცია, მოათავსა სხვა დროსა და სივრცეში. ყოველივე ამის შემდეგ, ვსვამ კითხვას, იმსახურებენ თუ არა ნდობას და გააჩნიათ თუ არა დამაჯერებლობა გ. კ.-ს ჩვენებებს საერთოდ და, კერძოდ, რაიმეს სამტკიცებლად? შეგიძლიათ თუ არა თქვენ, ამ შეთხზულ რომელიმე ბრალდებას დაუჯეროთ და გქონდეთ იმისი იმედი, რომ თქვენი განაჩენი სწორი იქნება, სწორად იქნება მასში ასახული გარემოებანი, ფაქტები და მოვლენები? მე ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენს განაჩენს საფუძვლად ვერ დაუდებთ გ. კ.-ს ინსინუაციებს, რამდენადაც მისი ჩვენებები შებლაღულნი არიან დაუდასტურებლობით და შინაგან წინააღმდეგობათა გამო. ამიტომ მის მიერვე უარყოფილი ჩვენებების საბოლოო ლოგიკური მსჯავრი თქვენს მიერ მათი უარყოფა იქნება.


მოსამართლენო! საკბროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაქციო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის დადგენილებას „სასამართლო განაჩენის შესახებ“, სადაც სხვა გარემოებათა გარდა, მითითებულია, რომ „გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება დამყარებული იყოს შესაძლებლობაზე, ეჭვზე, ვარაუდზე, არამედ დამყარებული უნდა იყოს უტყუარ დამამტკიცებელ საბუთებზე. პლენუმის ამავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ „განაჩენი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული“. დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ნ. გ.-სადმი გამოტანილი განაჩენი ვერ იქნება ვერც კანონიერი და ვერც დასაბუთებული, თუ კი მას საფუძვლად დაედება გ. კ.-ს არეული ჩვენებები, რადგან სასამართლოს არ გააჩნია მტკიცების საშუალებანი. რათა ეჭვმიტანილად, უტყუარად დაადგინოს მოვლენები, ფაქტები და გარემოებანი ისე, რომ არ დაებადოს ეჭვი მისივე დასკვნების ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის თაობაზე. თქვენ უნდა გამოიტანოთ განაჩენი დასაბუთებული, კანონიერი და სამართლიანი და ასეთი განაჩენი შეიძლება დადგეს მხოლოდ და მხოლოდ გ. კ.-ს მიერ წამოყენებული ბრალდებების უარყოფით.

„ფიატ იუსტიცია, პერიატ მენდუს!“ — „შესრულდეს მართლმსაჯულება თუგინდ ქვეყნიერებაც რომ დაიღუბოს!“ ცხადია, ამით ქვეყნიერება არ დაიღუბება, მაგრამ იმისათვის, რათა გარანტირებული იყოს კანონის ქედუხრობა; რათა ურყევი იყოს უდანაშაულობის პრეზუმპცია; ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდებოდეს; მართლმსაჯულება ხორციელდებოდეს ინდივიდუალური ბრალის საფუძველზე; რათა კანონს არ ჰქონდეს უკუქცევითი ძალა; რომ არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს დამნაშავედ, თუ არა მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

ცივილიზებული კაცობრიობის მონაპოვარია ეს არასრული ნუსხა, რომელთა გარანტიაში თქვენმა განაჩენმაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, როგორც მართლმსაჯულების ორგანომ.

მე გთხოვთ: სამართალში მიცემულ ნ. გ.-ს გამოუტანოთ გამამართლებელი განაჩენი.

P. S. სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.



სახელმწიფო და საგარეო, სოციალური წყობილება და კულტურა დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში

გიორგი ნადარეიშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეზუმეები სახელმწიფო წესწყობილების სფეროში

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტში კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა ყველაზე თვალნათლივ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობაში ჩანს. ივ. ჯავახიშვილმა კი ნ. ბერძენიშვილის ამ აზრს ისიც დაუმატა: ამ თანამდებობის სრულ ანალოგიას არცერთ მეზობელ ხალხთა სახელმწიფო წყობილებაში არ მქონია ადგილი-ო.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით მიმდინარე წოდებრივმა ბრძოლამ თავისი კვალი დაამჩნია ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობას. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი წარმოშობა და განვითარება განპირობებული იყო ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ქართული ვარიანტის თავისებურებით. სწორედ ამიტომ, ვასძლო მან საუკუნეთა მანძილზე, თუმცა კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლა, შინაკლასობრივი ბრძოლის პერიოდებში მუდამ განხვავებულ მიმართულებებს იღებდა. ძალიან ხშირად იცვლებოდა კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლის ძალთა თანაფარდობა, მაგრამ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა მაინც არსებობდა.


მწიგნობართუხუცესობის შემოღების დრო ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ არაპირდაპირი მონაცემებით, მკვლევართა ნაწილი ამ ინსტიტუტის წარმოშობას ბაგრატ მესამის სახელს უკავშირებს.

დავით აღმაშენებელმა მწიგნობართუხუცესის თანამდებობას დიდი ყურადღება მიაქცია, გაუდიდა მას ძალაუფლების არეალი და უპირველეს თანამდებობად აქცია სამეფო კარზე.

მწიგნობართუხუცესს, როგორც ბერს, როგორც სამღვდელთა წარმომადგენელს, მეფე თავის ერთგულ მოკავშირედ მიიჩნევდა იმიტომ, რომ არ არსებობდა პრეზუმპცია, რომ ხსენებული წარჩინებული მოხელე სამეფო ხელისუფლებას დაუპირისპირდებოდა და ძლიერი, გაერთიანებული საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს წინააღმდეგი იქნებოდა. უცოლ-შვილო პირს, ბერს, როგორც სახელმწიფო მოხელეს, სამეფოსა და საზოგადოების წინაშე მეტი ერთგულება უნდა გამოეჩინა, ვიდრე როგორც ერისთავს. თუ მსხვილი ფეოდალი თავისი სამკვიდრო ქონების გაზრდაზე და ზოგჯერ მეფობაზეც კი ოცნებობდა სახულიერო პირისაგან ეს გამოირიცხული იყო.

მეფისთვის ბერის დიდმოსხელეობა იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ მას, როგორც სახულიერო პირს და ამავე დროს სახელმწიფო თანამდებობის პირს, შეეძლო სახულიერო პირები, თვით ქართული ეკლესია, რეფორმატორულ მოღვაწეობაში ჩაერთო. ეკლესია კი, როგორც ცნობილია, იმ დროისათვის დიდ იდეოლოგიურ, სულიერ ძალას წარმოადგენდა. სამღვდელთა უპირველესი წიგნი ბიბლია მაშინდელ ეპოქაში არა მარტო სამართლის თეორიულ საფუძვლად ითვლებოდა, არამედ სამართლის წიგნის როლსაც ასრულებდა. ბიბლიიდან ამოკრეფილი ე. წ. „სამართალი მოხესი“ კრისტოიანობის დამკვიდრების შემდეგ საქართველოში მოკმედ სამართლად იქცა. გარდა ამისა, ეკლესიას დიდი ქონებაც გააჩნდა და მსხვილი მიწათმფლობელიც იყო.

პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩი-



ლება დოკუმტური ისტორიული აუცილებლობა იყო, რადგან ბიზანტიაში ამ მხრივ საქმე უკვე გადაწყვეტილია. თუმცა ბიზანტიური მეთოდები საქართველოსათვის არ გამოდგებოდა და დავითის პოლიტიკურმა გენიამ ეს საკითხი სხვაგვარად გადაწყვიტა: შეერთა ორი თანამდებობა ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესისა.

დავით აღმაშენებლის ავტორიტეტი, მისი სახელმწიფოებრივი ხელწერა იმდენად დიდი იყო, რომ მას შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში მწიგნობართუხუცესად ყოველთვის ჭყონდიდელი ინიშნებოდა.

ქართველ ისტორიკოსებს შენიშნული აქვთ, რომ ჭყონდიდლის დაწინაურება შემთხვევით არ მომხდარა. მეათე საუკუნეში დაარსებულმა ჭყონდიდის კათედრამ, როგორც ჩანს, თავი გამოიჩინა იმ დროისათვის უთუოდ პროგრესული, მოწინავე მიმართულებით — ხელი შეეწყო ქართული სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის, საქართველოს გაერთიანებისათვის. მეთერთმეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჭყონდიდის კათედრა დასავლეთ საქართველოში ყველაზე სახელგანთქმული კათედრა იყო.

მართებულია არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „...მეფის უფრთხულე-სი მოხელე მწიგნობართუხუცესი ამავე დროს საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის — ჭყონდიდლობის მატარებელიც გახდა. ამერიიდან მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსად უნდა უოფილიყო. ასე შეიქმნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომელიც ერთხა და იმავე დროს მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც. ამ ახალი „ხელის“ მეოხებით საქართველოს მეფეს საეკლესიო საქმეებში ფართო და აქტიურად ჩარევის ახპარეზი მიეცა. ეს თავის მხრივ, მეფის ცენტრალური ხელისუფლების ეკლესიაზე უშუალო გავლენას ნიშნავდა“.

მწიგნობართუხუცესის თანამდებობის ჭყონდიდლობასთან შეერთება დაახლოებით 1106 წელს უნდა მომხდარიყო საეკლესიო კრების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების პროცესში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მწიგნობართუხუცესის თანამდებობას წარმოშობის თვალსაზრისით რაღაც კავშირი ჰქონდა ეზოსმოდვრის ინსტიტუტთან. ანტიკური ხანის საქართველოში ეზოსმოდვრის აარსებობდა. იმ ხანად წარჩინებულების და მმართველი ფენების ვიწრო წრე არაბული და ბერძნული ენებით სარგებლობდა, ეს ენები ითვლებოდა მაშინ მსოფლიოში ერთა შორის ურთიერთობის ენებად. საფიქრებელია, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ეს ენები მისაწვდომი არ იყო და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიადა გამოცხადების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში აღზევდა ქართული მწიგნობრობა და დამწერლობა, ქართული იქცა სახელმწიფო ენად. ვიფიქრობთ, მწიგნობარის ჭვეშ უპირატესად მოხელე იგულისხმებოდა, ხოლო მწიგნობართუხუცესი, ძველი ჭურუმების „მემკვიდრე“, ის სასულიერო პირი უნდა უოფილიყო, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფოს მართვასთან. თვით „მწიგნობარნიც“, ერთხადიმავე დროს წიგნის მცოდნენი, „ბრძენნიც“ იყვნენ და სახელმწიფოს მართვაში მონაწილენიც.

წოდება „უხუცესისა“, რაც გავრცელებული იყო ქართულ სახელმწიფო მმართველობაში იმის შესახებ მიგვითითებს, რომ ინსტიტუტი ეროვნული შინაარსისა და თუ გვაროვნული წყობილების უმადლესი საფეხურიდან არა, შეიძლება ადრეკლასობრივი საზოგადოებრივი წიაღიდან მანაც მომდინარეობდეს.

დავით აღმაშენებლის დროს ხდება აგრეთვე მმართველობის ცენტრალიზაცია, მართვის ხერხების და მეთოდების დახვეწა, მართვის ძირითადი უწყებების სამხედრო, საფინანსო და საშინაო უწყებების ჩამოყალიბება.

ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესის თანამდებობა მანამ არსებობდა, ვიდრე გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სამეფო არსებობდა, როგორც ერთიანი სახელმწიფო. უნდა დავიანხმოთ ნ. ბერძენიშვილისა და სხვა მკვლევარების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მხოლოდ საქართველოს საბოლოო პოლიტიკური და საეკლესიო დაყოფის შემდეგ არის საფიქრებელი ამ შეტად რთული და თავისებური ინსტიტუტის, „ხელის“ დაშლა-დანაწილება და საბოლოოდ გადაგვარება.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დავით აღმაშენებელმა ეკლესიის დამორჩილებასთან ერთად მიაღწია მეფის ხელისუფლების სრულ შეუზღუდველობას. როდესაც მეფის მიერ ეკლესიის დამორჩილებაზე ვლადპარაკობთ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მეფე ეკლესიის წინააღმდეგი იყო და საერთოდ არ უწყევდა ანგარიშს ეკლესიის ინტერესებს; მეფეს, დავით აღ-

1 რ. მეტრეველი, „დავით IV აღმაშენებელი“, 1986, ვვ. 134-135.

მაშენებელს, უნდოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებისათვის შეეხამებინა ეკლესიისა და სასულიერო პირების მოღვაწეობა, ეს კი საეკლესიო პოლიტიკის გარკვეულ გარდაქმნასთან იყო დაკავშირებული, სამეფო კარზე საერო და სასულიერო პირთა ერთობლივი გადაწყვეტილებით ხდებოდა ეკლესია-მონასტრების მართვა-გამგეობა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოს ალნიშნული აქვს, რომ „მონასტრები და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიო განგებისასა დაბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონს უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწიერიებასა ლოცვისა და მარხვისასა“.

ქრისტიანი მეფე გონივრულად მოქმედებდა ეკლესიაში თავმოყრილი ანტისახელმწიფოებრივი ძალების დიდებული აწნაურების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ეყრდნობოდა შედარებით პროგრესულ ნაწილს, უმადლებსა წოდებისა და მოსახლეობის საშუალო, დაბალ ფენებს.

აკი წერს კიდევ დიდი ივანე ჯავახიშვილი „წოდებები საქართველოში არ შეადგენდნენ კახტებს: ერთი წოდებიდან უფრო მაღალ წოდებაში აღზევება არ წარმოადგენდა უჩვეულო მოვლენას. ასეთი შემთხვევები ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ დოკუმენტალურად. საკანონმდებლო ძეგლებითაც დასტურდება, რომ თუ ერთი წოდების წარმომადგენლები სამი თაობის მანძილზე ვერ შეხდებოდნენ მათ წოდებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ვალდებულებების შესრულებას, ისინი ჰპარგავდნენ თავიანთ წოდებრივ უფლებებს“².

ასე რომ, დავით აღმაშენებლის ბრძოლას შინაკლასობრივ მტრებთან, ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვაროვნებთან გარკვეული ტრადიციაც გააჩნდა. ასეთ პირობებში შეიძლებოდა თუ არა შეუზღუდველი მონარქი ყოფილიყო დავით აღმაშენებელი?

ფორმალურად, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ განა XII საუკუნის საქართველოში არსებობდა ე. წ. აბსოლუტური მონარქია? ვფიქრობთ, არა. იმეც არ იყოს, აბსოლუტური მონარქიის არსებობა არ შეიძლება გავიავივოთ მეფის ხელისუფლების ფორმალურ, შეუზღუდველობასთან, მას სათანადო სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი სჭირდება.

აბსოლუტური მონარქიის არსებობა გულისხმობს ფეოდალიზმის წიაღში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების ისეთ მაღალ დონეს, რომ ფეოდალთა წოდებასა და „მესამე წოდებას“ ანუ ბურჟუაზიას შორის მყარდება ძალთა წონასწორობა. სარკვებლობს რა ამ დაპირისპირებულ ძალთა წინააღმდეგობით, მეფის ხელისუფლება უკვე გვიანფეოდალურ სოციალურ-ეკონომიკურ წყობაზე დარყნობით იუენებს ამ წინააღმდეგობას თავის სასარგებლოდ. აბსოლუტური მონარქი, როგორც სახელმწიფოს მესვეური, ხან ერთ მებრძოლ მხარეს უჭერს მხარს, ხან მეორეს და აღწევს ფეოდალიზმის ხანაში მანამდე გაუგონარ სიძლიერესა და დამოუკიდებლობას.

ცხადია, დავით აღმაშენებელი ვერ იქნებოდა საქართველოში აბსოლუტური მონარქიის დამამყარებელი, რადგან საამისოდ ჭერ კიდევ არ იყო მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები. თუმცა, მეფის მოღვაწეობა, რაც გამოიხატა ეკლესიის დემოკრატიზაციაში საშუალო ფენების ხელისნობის, ვაჭრობის, მეცნიერებისა და განათლებისთვის ხელშეწყობაში, მართლმსაჯულების მოწესრიგებაში ხელს უწყობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ შეხვედებით იმის მტკიცებას, რომ დავით აღმაშენებელი თავისი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარებას „მოსახლეობის ექსპლუატაციის ხარჯზე ახერხებდა“, თუ ექსპლუატაციაში სახელმწიფო გადასახადები იგულისხმება, მაშინ ცხადია, რომ აქ პროპაგანდისტულ ზედმეტსიტყვაობასთან გვაქვს საქმე. სახელმწიფო და მით უფრო ძლიერი სახელმწიფო, მნიშვნელოვანი გადასახადების გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ იარსებებდა. დავით აღმაშენებელი და მისი თანამოსაგრენი რომ არა, საქართველოს სელჩუკთა ურდოები წალეკავდნენ და თუ ვინმე მათ გადაურჩებოდა, გაცილებით უფრო მძიმე გადასახადებითაც დაიბეგრებოდა, ხოლო ქვეყანა ბარბაროსობის წყვედადს დაუბრუნდებოდა.

დავით აღმაშენებელი იყო ადამიანი, რომლის მოქმედება და აზროვნება ყოველთვის ერთიმეორეს ერწყმოდა. ეს კი იშვიათია მხოფლიო ისტორიაში. გარდა ამისა, იგი იყო ეთიკური პრინციპების განმასხვრცილებელი, ეთიკური მონარქიზმის იდეის განსახიერება და არც თავის სიცოცხლეში არც შემდგომ, მომავალი თაობის წინაშე არახოდეს ყოფილა სამართლიანი გაიციხვის მიწევი.

² ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1983, გვ. 397.

მართალია, XII საუკუნის საქართველოში მეფის თვითმპყრობელობისა და ღვთაებრიობის, მეფის ღვთისწვრთნის იდეა იყო გავრცელებული, მაგრამ ამ გარემოებას მეფეები ტირანებად და ღვთისმტყუანებად არ უქცევია. ქრისტიანი მეფე უზღუდული იყო მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებით, ქართული ჰუმანური ტრადიციებით და იმით, რომ საქართველოში სახელმწიფო ვერ ბატონობდა საზოგადოებაზე. ძირითადად ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურად არ იყო ძლიერი და მას მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესებისათვის ანგარიში უნდა ჯაეწია. ეკონომიკური ტირანია კი პოლიტიკური ტირანიის უპირველესი პირობაა.

რეჟიმების სამართლებრივად განსაზღვრების სფეროში

დავით აღმაშენებელმა, როგორც დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე მართლმსაჯულების საქმის მოწესრიგებას.

ფეოდალური მონარქიის დროს უმაღლეს მსაჯულად მეფე ითვლებოდა, ხოლო უწინაესი რანგის მართლმსაჯულება ღვთაების საქმედ. ქრისტიანთათვის ქრისტეა სიმართლის და სამართლის მზე. ამქვეყნიურმა მსაჯულმა თავისი იმქვეყნიური მსაჯულის ქრისტეს სიყვარულით მისი მოწყალებით და მორალურ-სამართლებრივი პრინციპებით უნდა გააჩინოს „მართალი“ — სწორი, მართებული სამართალი. ცოდვისა და დანაშაულისათვის ყველა თანაბრად აგებს პასუხს, იდეალური მსაჯულის — ღმერთის წინაშე.

ბაგრატიონთა გვარის მეფე ოციცილიური ვერსიით დავით წინასწარმეტყველის ნათესავია და ამდენად ქრისტესაც ენათესავება. ის „ღვთისწვრია“ — და ორმაგად ერგება მას მსაჯულის ფუნქცია, როგორც მეფესა და ქრისტეს ნათესავს.

მემატანის თქმით, მეფე დავით „ვითარცა ღმერთი მართლსჯიდა სამწყსოთა თუხთა თვალუხუავითა მითბუობითა თუხითა, და არა სადათ მიდრეკებოდა „წამი სასწორისა...“

მართლმსაჯულების იდეა ვითარდებოდა უკვე გვარონული წყობილების განვითარების გვიან საფეხურზე, შემდეგ წინარეკლასობრივ, ადრეკლასობრივ და კლასობრივ საზოგადოების პირობებში. პოლიტიკური სტრუქტურის განმტკიცების შემდეგ კი რიგ ქვეყნებში მართლმსაჯულება სახელმწიფო მართვა-გამგებლობის შემადგენელ ნაწილად იქცა.

მართლმსაჯულების ფორმასა და შინაარსზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, სახელმწიფოებრივი წესწყობილება, სახელმწიფოსა და პიროვნებას, საზოგადოებასა და ინდივიდს შორის ტრადიციულად დამკვიდრებული ურთიერთობა. იქ, სადაც სახელმწიფო აშკარად ბატონობს საზოგადოებაზე, ცხადია, უმთავრეს ფასეულობად სახელმწიფო ითვლება და პიროვნების ხელშეუხებლობა, პიროვნების ქონება, პატივი და ღირსება ნაკლებად არის დაცული. სახელმწიფოს მხარეზეა პოლიტიკური და ზოგან ეკონომიკური ძალაუფლება. პიროვნების დაცვა აქ იმდენად ხდება, რამდენადაც იგი სახელმწიფოს ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. პიროვნების უფლება აქ თითქმის მოკლებულია ფასეულობას, რადგან იგი სახელმწიფოს წყალობაა. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მსოფლიოს ხალხთა უმთავრეს ენებში სამართალი და უფლება ერთი სიტყვით გამოიხატება, ისინი ერთმანეთისაგან ტერმინოლოგიურად გამიჯნული არ არის, ქართულ და ინგლისურ ენებს კი აქვთ საშუალება ერთმანეთისაგან განსხვავონ უფლება და სამართალი. ამაში უთოვად დიდი როლი ითამაშა საზოგადოებაში არსებულმა დემოკრატიულმა ტრადიციებმა. თავდაპირველად ხელმწიფოება ძალასაც ნიშნავდა, უფლებასაც და ძალაუფლებასაც; თანდათან „ქელმა“ მიიღო უფლების მნიშვნელობა, გაჩნდა მისი სინონიმური წყვილიც „უფლება“. სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში პიროვნებას უნდა ჰქონდეს უფლება მართლმსაჯულებაზე. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ტრადიციისამებრ მეფე მართლმსაჯულების უწინაესი უფლებებით იყო აღჭურვილი.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ საქართველოში თანდათან საერო სასამართლო ორგანოების გვერდით სასულიერო სასამართლოებიც ჩამოყალიბდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში საერო და სასულიერო სასამართლო ერთობლივადაც კი განიხილავდნენ ზოგიერთ საქმეს.

ბუნებრივია, ქრისტიანული საეკლესიო სამართლის ნორმები ეყრდნობოდა მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებს, მათში კი შედარებით განვითარებული სამართლის ნორმები იყო ასახული.

საერო მართლმსაჯულებას ფეოდალურ საქართველოში სხვადასხვა სახის სასამართლოები ახორციელებდნენ. მსხვილი, კერძო მესაკუთრეები დიდებულ აწნაურთა სახით ამავე დროს



გარკვეული კატეგორიის საქმეებზე მოსამართლეებიც იყვნენ. რაც უფრო სუსტი იქნებოდა ცენტრალური სამეფო ხელისუფლება, მით უფრო მეტი მნიშვნელობისა იყო მსხვილი ფეოდალის სასამართლო ფუნქციები. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის დროს სასამართლო და საჯამგებლო ფუნქციები მიწათმფლობელობის ატრიბუტებს შეადგენდნენ.

დავით აღმაშენებლის გამეფებამდე, დავითის ეპოქაში და მომდევნო პერიოდშიც საქართველოს მსხვილი ფეოდალები შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის იბრძოდნენ განკერძოებული სამოსამართლო უფლებამოსილების მოპოვება-გაფართოებისათვის. აქვე არსებობდა პარტიული სასამართლო შეუვალობის ანუ იმუნიტეტის ინსტიტუტი. დამოუკიდებელი სასამართლო უფლებამოსილება შეიძლებოდა ჰქონოდათ როგორც საერო ფეოდალებს, ასევე ეკლესიამონასტრებსაც.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართულ ეკლესიას სასამართლოს ხფეროშიც ჰქონდა უპირატესობა მინიჭებული და საეკლესიო ყმების თვითონვე გასამართლებისა და განსჯის უფლებით იყო აღჭურვილი. „ამ საკათალიკოზო სასამართლოს ქართული ეკლესიის ყველა დაწესებულებათა მსახურნი და ყმები ექვემდებარებოდნენ, მათ შორის სამონასტრო ყმებიც, ორიოდე სავანეებს გარდა, რომელთაც შოთღვიმის მონასტრის მსგავსად განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდათ მინიჭებული და თავიანთი ყმების ჭასამართლების უფლებით იყვნენ აღჭურვილნი“.

ზოგჯერ სახელმწიფო თავისი სამოსამართლო უფლებების ნაწილს ფეოდალს გადასცემდა, რათა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პროცესში დიდებულ აზნაურთა ინტერესები დაეცვა. ქართულ მატიაჩეებში მეფის დადებით თვისებათა შორის მისი სამართლიანობა და მისგან „სამართლის ქმნა“ განსაკუთრებულადაა აღნიშნული. „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი წერს: „ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე, წარემატა ყოველთა ქელმწიფეთა ყოვლითა განგებთა“, რომ „შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოველითაგონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათჳს“. ისტორიკოსს მხედველობაში ჰყავს ბაგრატ მესამე. „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აზრით მეფეს მოეთხოვება „მოჩივანთა მართალნი გამოძიებანი“.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით უმადლესი მოსამართლეობა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მეფის ხელში მხოლოდ მე-12 საუკუნემდე დარჩენილა: „ძველი წესი დავით აღმაშენებლის დრომდე მოქმედებდა, ხოლო დავითმა მართლმსაჯულებას ახალი გზა გაუკვლია“. უფრო მაღალი დონე მართლმსაჯულების ორგანიზაციისა იყო ახალი, განვითარების უწყნაღესი მართლმსაჯულების საჯანგებო ორგანოს დაარსება.

დავით აღმაშენებელამდე სასამართლო საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვით მეფეს უნდა გაერჩია. მეფე თვითონ იყო უმადლესი მსაჯული და ცხადია, უმადლესი მოსამართლის ფუნქცია მას ძალიან ბევრ დროს ართმევდა. ამასთან ერთად, თანდათან რთულდებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა და მართლმსაჯულებას სპეციალურად მოწოდებული მრჩეველები და იურისტები სჭირდებოდა. ამიტომ როცა მეფე უშუალოდ არჩევდა საქმეს, მას მრჩეველები და კანონმცოდნეები ეხმარებოდნენ. მართლაც, როდესაც მეფე ბაგრატ მეოთხემ ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრების სამიწათმფლობელო დავა გააჩნია, მას მოწვეული ჰყავდა „მეციერნი საბჭოთა საქმეთანი“, სახელმწიფო მრჩეველები და სწავლული იურისტები. უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც მეფე სასამართლო საქმეს არჩევდა, მას ყოველთვის ახლდნენ მრჩეველები და სამართალმცოდნეები. ამდენად ქვეყანაში საამისოდ გასული მეფე ამალითა და სპითურთ მოგზაურობდა და გზად შეხვედრილი მოსარჩლე-მოჩივანნი სამართლის გაჩენას ევედრებოდნენ.

დავით აღმაშენებელმა „სააჯო კარში“ სამეფული დასვა: მწიგნობართუხუცეები, საწოლის მწიგნობარი და ზარდახანის მწიგნობარი. ეს იყო უმადლესი სასამართლო, რომელსაც მწიგნობართუხუცეები ხელმძღვანელობდა.

„ამ ახალი დაწესებულების შექმნას, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა: იმის გარდა, რომ ამ გზით სასამართლოს წესიერ წარმოებას აღარავითარი გარეშე პირობები აღარ შეაფერხებდნენ, თვით მართლ ის გარემოება, რომ სასამართლო უწყნაღეს საფესურშიაც მართვა-გამგეობასთან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დაწესებულებად იქცა, ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირებულებად უნდა ჩაითვალოს“.

ყველა ჩაალკად შესაქლო პერსიის შემონებუის ორგანიზაცია

ვლადიმერ ხონელი

ფარულად ჩადენილი დანაშაულის გახსნა განპირობებულია კვალიფიციუ-რად ჩატარებული გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატი-ულ-სამძებრო ღონისძიებათა მიზანსწრაფული, კოორდინირებული კომპლექ-სით. როგორც წესი, გამოძიების თავდაპირველ ეტაპზე ჩატარებული საგამო-ძიებო მოქმედებების დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორება შემდგომ-ში ძალიან ძნელია, ხოლო ზოგჯერ საერთოდ შეუძლებელიც.

სწორედ ამიტომ გამოძიების წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა მისი დაწყებითი ეტაპია¹. ამ სტადიაზე იმიტომაც აუცილებელი საპრო-კურორო ზედამხედველობა, რომ გამოძიების სწორედ ამ ეტაპზე უნდა გა-დაწყდეს ფარულად ჩადენილი რთული დანაშაულის გახსნის საკითხი.

ფარული დანაშაულის გამოძიების დაწყებით ეტაპზე საპროკურორო ზე-დამხედველობის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს უპირველეს ყოვლისა, პროკურორის პირადი მონაწილეობა ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებაში ან უშუალოდ მისგან ჩატარებული გამოძიება კონკრეტულ საქმეზე (კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ამ დებულებით წინასწარი გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობის განხორციელებ-ისას პროკურორი „მონაწილეობს მოკვლევასა და წინასწარი გამოძიების წარ-მოებაში“. ეს კი განსაკუთრებით მაშინაც აუცილებელი, როცა საქმე ეხება ფარულად ჩადენილ დანაშაულს.

სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-14 მუხლით პროკურორი ვალდებულია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოძიები-სათვის, ხოლო სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონის 28-ე მუხლით იგი იმგვარად ახორციელებს ზედამხედველობას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებზე, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი.

ამის შესრულებას კი პროკურორი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს, თუ პირადად მიიღებს მონაწილეობას საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში.

ჩვენის აზრით, ფარულად ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პირველდაწყ-ებით ეტაპზე საპროკურორო ზედამხედველობას შემდეგი თავისებურებები გააჩნია: ა) ზედამხედველობა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩა-ტარების კანონიერებაზე; ბ) ზედამხედველობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე; გ) სპეციალური საგამოძიებო — ოპერატიული ჯგუფების შექმნა და ზედამხედველობა მათი საქმიანობის კანონიერებაზე; დ) ზედამხედველობა წამოყენებული ვერსიების საფუძვლიანობაზე და დანმარება მათი შემოწმების ორგანიზაციაში.

¹ გამოძიების დაწყებითი ეტაპი იწყება ან დანაშაულის გამოვლენის მომენტიდან ან მაშინ, როცა გამოძიების ორგანოები გაიგებენ ჩადენილი დანაშაულის შესახებ და მთავრდება საქმეზე ექვმიტანლისა ან ბრალდებულის დადგენით ან როდესაც დასრულდება გადაუდებელი საგამო-ძიებო მოქმედება. ყველა ეს პერიოდი მოიცავს 10-15 დღე-ღამეს. ა. მიხაილოვი, ა. სოლო-ვიოვი, მ. ტოკარევა, გამოძიება „ცხელ კვალზე“, „სოციალისტი“, 1985, № 10, გვ. 227.

ამ თავისებურებათაგან განვიხილავთ წამოყენებული ვერსიების საფუძვლიანობაზე ზედამხედველობასა და მათი შემოწმების ორგანიზაციაში პროკურორის დახმარებას.

საპროკურორო ზედამხედველობის მიზანი ის არის, რომ მომხდარი დანაშაულის გამოძიების დროს განუხრელად იყოს დაცული კანონის ყველა მოთხოვნა, საქმის ყველა გარემოება, სრულად და ობიექტურად ჩატარდეს გამოკვლევა. საქმის ყველა გარემოების გამოკვლევაში იგულისხმება დასამტკიცებელი ფაქტების წარმოშობის, ხასიათისა და მათი ურთიერთკავშირის ყველა რეალურად შესაძლო ვერსიის გამოკვლევა.

საქმის გამოსაკვლევ გარემოებათა მტკიცების დროს შესაძლოა წამოიჭრას სხვადასხვა ვარაუდი, მოსაზრება. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას მიჩნეული ვერსიად, როცა ისინი დაფუძნებულია მათ მბაზირებელ, უკვე დადგენილ ფაქტიურ გარემოებებზე. სწორედ ამაში პოულობს თავის გამოხატულებას ვერსიის ისეთი ნიშანი, როგორცაა მისი საფუძვლიანობა. გამომძიებლის სწორი მიმართულება იმაზეა დამოკიდებული, რამდენადაა დასაბუთებული წამოყენებული ვერსია. ზოლო ფაქტიური მონაცემების უქმარისობა გამოძიების საწყის ეტაპზე, როცა არსებობს მათი დაუსაბუთებლობა, ცხადია, თავდაპირველად სხვადასხვაგვარი განმარტების საბაზს იძლევა და სწორედ ეს განპირობებს კიდევ რამდენიმე ვერსიის წამოყენების აუცილებლობას. გამომდინარე აქედან, საპროკურორო ზედამხედველობის ამოცანა, ვერსიების წამოყენების დროს იმაში მდგომარეობს, რომ შემოწმდეს, რამდენად საფუძვლიანია ესა თუ ის ვერსია, ზოლო საჭიროების შემთხვევაში თვითონვე დაეხმაროს გამოძიებას ახალ-ახალი ვერსიების წამოყენებაში.

სადგურ სოხუმის სატრანსპორტო შინაგან საქმეთა განყოფილებაში შემოვიდა შეტყობინება, რომ ტამიშ — აძიუბუკას გადასარბენზე, ლიანდაგზე დადებული იყო რკინა-ბეტონის შპალი, რასაც ლამის მატარებლის კატასტროფა მოჰყვა. ამ ფაქტის გამოსარკვევად შეიქმნა საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სოხუმის ტრანსპორტის პროკურატურის, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სადგურ სოხუმის სატრანსპორტო შინაგან საქმეთა და საგზაო განყოფილების მუშაკები.

შემთხვევის ადგილისა და იქ აღმოჩენილი საგნების დეტალურმა დათვალიერებამ ელმავლის მემანქანეთა დაკითხვამ და სიჩქარისმზომი ლენტის გაშიფვრამ ჯგუფის წევრებს საშუალება მისცა წამოეყენებინათ რამდენიმე ვერსია მომხდარი დანაშაულის შესახებ, ზოლო მათი შემოწმების შემდეგ იმ პირებზე ვინც იგი ჩაიდინა. რადგან მიმოსვლის გზათა დაზიანება განზრახი დანაშაულია, წამოიჭრა კიდევ კითხვა, ხომ არ იყო ეს მოქმედება მავნებლობა ან დივერსია? აქვე, რა თქმა უნდა, არსებობდა ასეთი ვერსიებიც: ხელმძღვანელობაზე შურისძიების მიზნით ლიანდაგებზე უცხო საგნები შეიძლება დაედოთ რკინიგზის ამ უბნის ყოფილ მუშაკებს, რომლებიც შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დაითხოვეს სამუშაოდან; ასეთივე მიზანი შეიძლება გასჩენოდეთ ახლომდებარე სოფლების იმ მაცხოვრებლებს, რომელთა პირუტყვიც გაიტანა მოძრავმა შემადგენლობამ, დანაშაულის ჩადენა შეეძლოთ აგრეთვე ფსიქიკურად დაავადებულებს ან არასრულწლოვანებს ხულიგნური ქვენაგრძნობით. ყველაზე სარწმუნოდ გამოძიებამ მაინც ეს უკანასკნელი ვერსია მიიჩნია, რადგან გამოიჩინა: ბოროტმოქმედნი ხშირად იმეორებდნენ თავიანთ

მოქმედებას და ლიანდაგებზე ჯიუტად აწყობდნენ სულ უფრო და უფრო მძიმე საგნებს, რომ შედეგი აუცილებლად დამდგარიყო.

ამ ვერსიათა შესამოწმებლად მოიწვიეს აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსი გამომძიებელი, სადგურ სოხუმის სატრანსპორტო შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელი და სოხუმის ტრანსპორტის პროკურორი. ჩატარდა აუცილებელი ოპერატიული მუშაობა, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრიობამ. სულ მალე ყველა ვერსია გამოირიცხა ერთის გარდა, რაც გულისხმობდა, რომ დანაშაული ჩადენილი იყო მოზარდების მიერ მხოლოდ და მხოლოდ სიანციტ, შედეგის გაუთვალისწინებლად. ამ აზრმა დადასტურება ჰპოვა შემდგომი გამოძიების დროსაც.

ამა თუ იმ ვერსიის შესამოწმებლად შეკრებილი ფაქტიური მონაცემების ანალიზთან ერთად ხშირად საჭირო ხდება ანალოგის გამოყენება, რაც შესაძლოა საფუძველი გახდეს მომხდარი დანაშაულის კონკრეტულ სუბიექტზე ახალი ვერსიის წამოსაყენებლად.

ამის დამახასიათებელი მაგალითია გორის რაიონში ჩადენილი გახმაურებული მკვლელობა. უცნობმა ბოროტმოქმედებმა ქვახვრელის კოლმეურნეობის ზერებიდან სცადეს ყურძნის მოპარვა, მაგრამ სოფლის თავკაცებს გადაეყარნენ და შეტაკების შემდეგ ადგილზე მოკლეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გაბინაშვილი და მიწათმოქმედები ზ. ჯანუაშვილი. აქვე მათ მძიმედ დაჭრეს მასწავლებელი ს. სირანაშვილი და დარაჯი ა. გაბინაშვილი. თავდამსხმელებმა ამ დანაშაულის დროს გამოიყენეს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღები. მიმალვის მიზნით ისინი საჩქაროდ ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ, მაგრამ დანაშაულის ადგილას დარჩათ წინსაფრები, ყურძნით სავსე ტომრები, დანები და ერთი გადაჭრილი თოფი.

ამ მძიმე და შემზარავი დანაშაულის გასახსნელად შეიქმნა სპეციალური საგამომძიებო-ოპერატიული ჯგუფი, საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ლ. ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით. მათ გულმოდგინედ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, ამოიღეს და გამოიკვლიეს ნივთიერი მტკიცებები, დაკითხეს მოწმეები, მაგრამ ვერ დადასტურეს ვერსია, რომ მკვლელობა ჩადენილი ჰქონდათ მონადირე-ბრაკონიერებს ან მწყემსებს, რომლებიც უკანონოდ ინახავდნენ იარაღს. დანაშაულის ხასიათიდან და მისი ჩადენის თავისებურებიდან, დამახასიათებელი ხელწერილიდან, რაც გამოიხატებოდა თავხედობაში, ცინიზმში, ადამიანთა სიცოცხლისა და სოციალისტური საკუთრებისადმი უცერემონიოდ ხელყოფაში, გაჩნდა ვარუდი, რომ დანაშაულის ჩადენა შეეძლოთ იმ პირებს, რომლებიც ადრე უკვე იყვნენ მიცემულნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში. არქივებში მყოფ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლამ, ოპერატიული ჯგუფის წევრები მიიყვანა 1973 წელს გორის რაიონის ერთ-ერთი საკოლმეურნეო ბაღიდან ვაშლის დატაცების ფაქტთან, რომელიც სახალხო სასამართლომ განიხილა. ეს დანაშაულიც იმავე ხერხით იყო ჩადენილი და ბოროტმოქმედებიც ისევე თავხედურად იქცეოდნენ, როგორც ქვახვრელში. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ დამნაშავეებმა მაშინაც დატოვეს შემთხვევის ადგილზე ასეთივე ტომრები და წინსაფრები. გაირკვა ისიც, რომ 1973 წელს მსჯავრდებულთაგან ერთმა, სახელდობრ, ო. ღვინიაშვილმა მოიხადა კიდევ სასჯელი და გორის რაიონში ცხოვრობდა. დანაშაულის ხერხისა და ნივთიერი მტკიცებების (ტომრები წინსაფრები, ხილის საკრეფი იარაღი და ა. შ.) მსგავსებამ, აგრეთვე

ღვინიაშვილის სახელზე ავტომანქანის ყოლამ, წარმოშვა ვარაუდი, რომ იგი ქვახვრელში მომხდარი დანაშაულის თანამონაწილე უნდა ყოფილიყო.

ამ ვერსიის საგულდაგულო და ყოველმხრივმა შემოწმებამ შედეგი გამოიღო, ღვინიაშვილი და მისი თანამონაწილეები მხილებულნი და დასჯილნი არიან.

გაიხილა
საქმის
ნომრი
საქმის
ნომრი
საქმის
ნომრი

დავიხვამთ კანონის მოთხოვნები შრომა- განსორკების დაწესებულებაში

გიორგი ვაშაძე, კორესპონდენტი

საქართველოს ხსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იურიდიულ
მეცნიერებათა კანდიდატი

ძირითადი გარდაქმნის, დემოკრატიის, საჯაროობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში პროკურატურის ორგანოები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ შრომა-განსორკების დაწესებულებებში კანონების დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებასა და სრულყოფას, გატარებული ღონისძიებების ეფექტურობისა და შედეგიანობის ამოღებას, რათა უფრო ქმედითი გახადონ შრომა-განსორკების დაწესებულებებში დამნაშავეობისა და სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზების ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრა, წესრიგი დაამყარონ მსჯავრდებულთა შრომითი აღზრდის და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით ვადამდე განთავისუფლების საქმეში.

სამწუხაროდ, ამ კუთხით გაწეული საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს პარტიისა და მთავრობის დღევანდელ მოთხოვნებს. რესპუბლიკაში მუშახელის მწვავე დეფიციტის პირობებში სერიოზული ნაკლოვანებებია მსჯავრდებულთა შრომით დასაქმებაში, ისევ ვხვდებით მათ მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, ზშირია შინაგანაწესით დადგენილი რეჟიმის დარღვევები, არ არის აღკვეთილი აკრძალული ნივთების, ფულის და კვების პროდუქტების მსჯავრდებულთათვის არალეგალურად შეტანა, ჯერ კიდევ დაბალია დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ფორმალურ ხასიათს ატარებს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, სათანადო სიმაღლეზე არ დგას მათი ცხოვრებისა და შრომის პირობები.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამყამად მოქმედ რესპუბლიკის შრომა-განსორკების კოდექსში არასათანადოდაა ასახული ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის თანამედროვე მოთხოვნები, არ არის დახვეწილი მსჯავრდებულთა აღზრდის სისტემა სოციალისტური ჰუმანიზმისა და ადამიანის უფლებების ამოღების პირობებში.

მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლის სასჯელი არის არა მარტო პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მსჯავრდებულთა გა-

მოსწორების ერთ-ერთი ძირითადი პირობაც. ამასთან, სასჯელის აღსრულება მიზნად არ ისახავს ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანის ღირსების შელახვას. სასჯელი ხელახლა უნდა ზრდიდეს დამნაშავეს შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ხელს უწყობდეს დამნაშავეობის აღმოფხვრას. ამ საქმეში დიდი როლი ეკისრებათ სასამართლოებს, მათ კომპეტენტურობაზე, სამართლიანობასა და კაცთმოყვარეობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ, სასამართლომ ზედმიწევნით სწორად უნდა განსაზღვროს, თუ ვის და რა ვადით შეუფარდოს თავისუფლების აღკვეთა, სადა და რა პირობებში უნდა იმყოფებოდეს მსჯავრდებული. მოსამართლეებს სამწუხაროდ ხშირად ავიწყდებათ, რომ სასამართლოში ისინი მიდიან არა მხოლოდ სასჯელის გამოსატანად, არამედ სამართლის დასადგენად. ეს აუცილებელი პრინციპი თითქმის დავიწყებული იყო უძრავობის პერიოდში, რის გამოც პრაქტიკაში საერთოდ არ გვხვდებოდა გამამართლებელი განაჩენები. უფრო მეტიც, ზოგიერთი თავსაც კი იწონებდა განაჩენების სტაბილურობით და ადამიანთა ბედობას პროცენტომანიას ანაცვალებდა.

ასეთმა დამოკიდებულებამ, მსჯავრდებულთა რაოდენობის ხელოვნური ზრდა გამოიწვია. თუმცა, მათი გარკვეული ნაწილი თავს ბოლომდე არ გრძობდა დამნაშავედ. ასეთ პირობებში რაიმე აღმზრდელით მუშაობაზე შრომაგასწორების დაწესებულებებში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

სწორედ ამიტომაც XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუციაში პირდაპირაა მითითებული, რომ გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასამართლოს როლის გაძლიერება, საჯაროობა, უდნაშაულობის პრეზუმპციის განუხრელი დაცვა, დაუშვებლობა, როგორც ბრალდების გადახრისა, ისე შემწყყნარებლობისა იმათ მიმართ, ვინც ხელყო საბჭოთა კანონი.

თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეფარდოს პირს, რომლის გამოსწორებაც სხვა სასჯელით შეუძლებელია და რომელიც საზოგადოებისათვის საშიშია. ამ საკითხის გადაწყვეტაში აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ პროკურორმა და სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებმა.

სასჯელის ეფექტურობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასჯელის ვადის ზუსტად განსაზღვრა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსება არ იძლევა მსჯავრდებულთა აღზრდა-გამოსწორების სასურველ ეფექტს. უფრო მეტიც, რაც უფრო დიდხანს იმყოფება ადამიანი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მით უფრო მეტია შანსი განმეორებით მოხვდეს საბრალდებო სკამზე. ზოგიერთი მათგანი ისე ეჩვენება იქ ყოფნას, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ უჭირს კიდევ თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრება.

მსჯავრდებულთა აღზრდა-გამოსწორების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასჯელის მოხდის ადგილებში კანონიერების ზუსტად დაცვა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის შესაბამისად, ის პირნი, რომელთაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა და დაპატიმრებამდე ცხოვრობდნენ ან მსჯავრდებულნი იყვნენ საქართველოს სს რესპუბლიკაში, სასჯელს, როგორც წესი, იხდიან საქართველოში. ასეთი პირები სასჯელის მოსახდელად

მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა გაიგზავნონ სხვა რესპუბლიკის შრომა-გასწორების დაწესებულებაში.

სამწუხაროდ, ეს „განსაკუთრებული შემთხვევები“ ამ ბოლო დროს მასიური ვახდა. მსჯავრდებულთა კონტიგენტის უმრავლესობა, მასობრივად იგზავნება სასჯელის მოსახდელად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ეს კი ცხადია, იწვევს მსჯავრდებულთა და მათი ახლობლების განაწყენებას, სამართლიან აღშფოთებას, რადგან საგრძნობლად ილახება მოქალაქეთა კანონიერი უფლებები ნახვის, პაემანის, ამანათის გადაცემის და ზოგიერთი სხვა შედეგების შესახებ. აქვე თავს იჩენს მსჯავრდებულთა ენობრივი შეზღუდვა, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ დიდი ზიანი ადგება რესპუბლიკის ეკონომიკას, ჩვენს სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებს. იმასთან ერთად, რომ რესპუბლიკას დიდი რაოდენობით აკლდება მუშახელი. უხეშად ირღვევა აგრეთვე კანონის, კონკრეტულად კი საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნა. ამ მუხლით პირმა, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, მთელი სასჯელი, როგორც წესი, უნდა მოიხადოს ერთ შრომა-გასწორების კოლონიაში, საპყრობილეში ან შრომა-აღმზრდელით კოლონიაში.

ვხვდებით სხვა სახის დარღვევებსაც. მაგალითად: გასულ წელს პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებებით გამოვლინდა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ შრომა-გასწორების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა გარკვეული კატეგორია პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა: ამ ფაქტს მკაცრი შეფასება მისცეს საქართველოს სსრ პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რის შედეგადაც განხორციელდა ქმედითი ღონისძიებები აღნიშნულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

გადასაწყვეტია აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებებში დამკვიდრებული ერთი მეტად რთული პრობლემა, ეგრეთწოდებული „ორხელისუფლებიანობა“. საქმე იმაშია, რომ როგორც წესი, აქ დაცვისა და საკონტროლო სამსახურს ახორციელებენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების წარმომადგენლები, რომლებიც არ ექვემდებარებიან კოლონიის უფროსს. ამ მიზეზით იგი მოკლებულია უფლებამოსილებას კონტროლი გაუწიოს მათ მოქმედებას. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ აკრძალული ნივთების უმრავლესობა სწორედ ამ ჯარების ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მუშაკის უშუალო ხელშეწყობით ხვდება შრომა-გასწორების დაწესებულებებში. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში ისინი დანაშაულის ჩადენის ამკარა ორგანიზატორებიც კი არიან.

მსჯავრდებული ნ. ბ., რომელიც ბანდიტიზმისათვის იყო გასამართლებული და მისჯილი ჰქონდა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის იხდიდა რუსთავის ერთ-ერთ შრომა-გასწორების დაწესებულებაში. როგორც გამოძიებაში დაადგინა, ამავე კოლონიის სამხედრო დაცვის უფროს ლეიტენანტ ს-ს ხშირად გაჰყავდა მსჯავრდებული არალეგარულად კოლონიის ფარგლებს გარეთ. გასული წლის 5 აპრილსაც, ღამით მან ნ. ბ. კვლავ წაიყვანა ქ. თბილისში, საიდანაც მსჯავრდებულმა მოახერხა კიდევ გაქცევა და იგი მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დააკავეს ქ. სვერდლოვსკში.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის და მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად საქართველოს სსრ პროკურატურამ მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურასთან, შეა-

მოწმა შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამხედრო დაცვის მუშაობა და გამოვლენილ დარღვევებს მკაცრი რეაგირება გაუკეთა. ასეთი კონტაქტები სამხედრო პროკურატურასთან კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს და ეფექტური გახდეს, მაგრამ პრობლემის გადასაწყვეტად მაინც ის მიგვაჩნია სწორად, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შრომა-გასწორების დაწესებულებათა დაცვის სამხედრო კონტიგენტი უშუალოდ დაექვემდებაროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსებს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროფილაქტიკურ მუშაობას ამ დაწესებულებებში.

მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის საქმეში ძირითადი ფიგურაა რაზმეულის უფროსი. მას უშუალოდ უხდება ყოველდღიური ურთიერთობა მსჯავრდებულთან; ახლოს იცნობს რაზმეულში გაერთიანებულ ყველა პირს და თითოეული მათგანის ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით ატარებს პოლიტადმზრდელი მუშაობას. რაზმეულის უფროსი უნდა იყოს ზნეობრივად ამალღებული და თეორიულად მომზადებული პიროვნება, რათა წარმატებით გადაჭრას თავისზე დაკისრებული მოვალეობა. სამწუხაროდ, ასეთი რაზმეულის მეთაურები ჩვენ თითზე ჩამოსათვლელეები გვყავს. მას ისიც უწყობს ხელს, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს არა აქვს სპეციალური სასწავლებელი რაზმეულის უფროსების მოსამზადებლად. ჩვენის აზრით, აუცილებელია ასეთი სასწავლებელი გაიხსნას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის ბაზაზე.

ადამიანის უფლებების გაფართოების, გარდაქმნის, დემოკრატიზაციის და საჯაროობის დღევანდელ პირობებში აუცილებელია მკვეთრად გაუმჯობესდეს თავისუფლებაღკვეთილ პირთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები, მათი სამედიცინო მომსახურება. საჭიროა გადაისინჯოს აგრეთვე მსჯავრდებულთა დღევანდელი კვების ნორმები, რაც ალბათ მკვეთრად შეამცირებს ამ დაწესებულებებში დაავადებულთა რიცხვს. ასევე აუცილებელია დაიხვეწოს შრომა-გასწორების დაწესებულებებში მყოფი ალკოპოლიკებისა და ნარკომანებისათვის დამკვიდრებული იძულებითი მკურნალობის ფორმები და მეთოდები, რასაც როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს.

როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობით მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ ის სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას. სამწუხაროდ, კანონის ეს მოთხოვნები ხშირად ირღვეოდა რესპუბლიკის მთელ რიგ შრომა-გასწორების დაწესებულებებში, რაც მნიშვნელოვნად ლახავდა მსჯავრდებულთა კანონიერ უფლებებს, დიდ ზიანს აყენებდა შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციის ავტორიტეტს, უარყოფით გავლენას ახდენდა თავისუფლებაღკვეთილთა აღზრდისა და გამოსწორების საქმეზე.

საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ყველა ასეთ ფაქტზე მოახდინა მკაცრი რეაგირება. ამჟამად შემუშავებულია მთელი რიგი სათანადო ღონისძიებები, რომელთა შესრულებაზე მკაცრი კონტროლია დაწესებული. საქართველოს სსრ პროკურორი, მისი მოადგილეები და შესაბამისი განყოფილებები დადგენილი გრაფიკის მი-

ხედვით რეგულარულად ატარებენ მსჯავრდებულთა მიღებას შრომა-გასწორების დაწესებულებებში. ქვეყნის ზოგიერთ შრომა-გასწორების დაწესებულებაში მიმდინარეობს ექსპერიმენტი, რომ მსჯავრდებულებს შრომითი ღირებულება ჩაეთვალოთ სასჯელის ღირებულად. ასეთი პრაქტიკა ადრეც არსებობდა, მაგრამ შემდეგ, რატომღაც გაუქმდა. ჩვენი აზრით, ამ წესის აღდგენა ხელს შეუწყობს შრომის როლის გაზრდას მსჯავრდებულთა აღზრდა-გამოსწორების საქმეში და დიდ ეკონომიურ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას.

პრობლემა

ჩვენ, ისინი და „არაფორმალური უსამართლო“

რამდენიმე თვის წინ საბელავიციო გადაცემაში „საღამო მზი-დოვისა, მოსკოვი!“ წარმოდგენილი იყო ვლადიმერ ფომინი — „არა-ფორმალური სპარტაკისტული ბაქტიონარი“ ხელმძღვანელი. უკვე უფრო სიტყვათუფროსაა. უკვე უფრო თვით ბაქტიონარაც. თუმცა, როგორც „არაფორმალური სპარტაკისტული ბაქტიონარის“ ლიდერმა ჩვენი კორესპონდენტის საუბრისას გამოიკვამა, თვით „არა-ფორმალურს“ მიაჩნიათ, რომ მათი საქმიანობა ბელავიციამ ცალმხრივად წარმოაჩინა — როგორც დაჯგუფება, რომელიც თვითბანს-მართლებას ახორციელებს.

მეორე მხრივ კი, ნუთუ ისე დაჰკარგეთ სპარტაკისტული ინსტიტუტის რწმენა, რომ ერთგვარ „თავდაცვით ჯგუფს“ ვაჩინო? სწორედ ეს იყო პირველი კითხვა, რომელიც „არაფორმალური სპარტაკისტული ბაქტიონარი“ ხელმძღვანელთან ორს — ვლადიმერ ფომინსა და სერგეი ფედოუკინს დავუსვი.


3. ფომინი: ჩვენი ძირითადი ამოცანა ის არის, რომ იდეათა ბრძოლა სპარტაკისტულად მოქმედებაში არ გადაიზარდოს. რას ნიშნავს ეს? ამაში მიტინგებისა და მანიფესტაციების დროს მხოლოდ რაიმე უწყისრიგობა კი არ იგულისხმება. ვცდილობთ, ჩვენი ცოდნის შესაბამისად, ვურჩიოთ სხვა არაფორმალურ გაერთიანებებს, თუ როგორ სჯობს შეუხამონ თავიანთი გამოსვლა დღეს მოქმედ კანონებს.

„არაფორმალური სპარტაკისტული ბაქტიონარი“

ერთიანება“¹ შეიქმნა მოსკოვის ოქტომბრის რაიონის ნორჩ ძეგურინსკელთა რაზმების, კომკავშირელთა ოპერატიული რაზმების ოქტომბრის შტაბთან არსებული იდეოლოგიურ დივერსიებთან ბრძოლის განყოფილების ბაზაზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდნენ. ახლა ეს გაერთიანება ქალაქის სულ სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლებით ივსება. ჩვენ ეს გაერთიანება სპეციალურად არ შეგვიკმნია. ის სიტუაციის შესაბამისად აღმოცენდა, იმის გამო, რომ ალკ რაიკომი თანდათან კარგავდა ჩვენზე კონტროლს და ჩვენ ბოლოს და ბოლოს, დამოუკიდებელ ორგანიზაციად ვიქცით.

— ესე იგი, ეს გაერთიანება ერთგვარი არა-ფორმალური საკონსულტაციო იურიდიული სამსახურია?

¹ როდესაც ეს მახალა ახაწყობად იგზავნებოდა, კიდევ ერთხელ შევხვდი ვ. ფომინს. ეს-ლა ამ ორგანიზაციას, რომელიც კვლავ არა-ფორმალურია, „ახალგაზრდული სპარტაკისტული ბაქტიონარი“ ეწოდება.
4. „საბჭოთა სპარტაკი“ № 3



3. ფომინი: მთლად ასე არ არის. გაერთიანებას თავისი სპორტული ფორმირებანი, თავისი ინფორმაციის სამსახური აქვს და ჩვენ იმდენად კონსულტაციებით როდი ვართ დაკავებული, რამდენადაც, ასე ვთქვათ, ფორმალურ სინამდვილესა და როგორც მიღებულია ეწოდოს, არაფორმალურ სინამდვილეს შორის კავშირით.

— და რას აკუთვნებთ თქვენ „ფორმალური სინამდვილის“ ცნებას?

3. ფომინი: ვთქვათ, რაიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს. ხოლო რას ნიშნავს არაფორმალური სინამდვილე, ვფიქრობ, ყველა სათვის ცნობილია.

მიმაჩნია, რომ უნდა არსებობდეს რაიმე ბუფერული ორგანიზაცია, ან, ასე ვთქვათ, დამაკავშირებელი ორგანო ჩვენი საზოგადოების ფორმალურ და არაფორმალურ ორგანიზაციებს შორის.

არაფორმალური სინამდვილე ძალზე რთულია. დღეს მისკენ მიიღვს მასა ავანტურისტების, ექსტრემისტებისა, რომლებიც ცდილობენ არაფორმალური მოძრაობა პირადი მიზნებისათვის გამოიყენონ.

— შეიძლება ერთი-ორი მაგალითი?

3. ფომინი: ვთქვათ, არსებობს ურთიერთკავშირი „დემოკრატიული კავშირის“ ჯგუფსა და სომხური ექსტრემისტული დაჯგუფებების ლიდერთა შორის, „დემოკრატიული კავშირის“ სააგიტაციო მუშაობა ლიუბერეცკელ ხულოგნებთან, რომლებიც მოსკოვში არეულობებს აწყობენ. დავუშვათ, ჯგუფ „ნდობის“ იგივე საქმიანობა, რომელიც აგროვებს ცნობებს ცხოვრების ნეგატიური ფაქტების შესახებ, მაგრამ არა მდგომარეობის გამოსაწორებლად, არამედ დასავლეთში გასაგზავნად.

— ფორს-კლუბი „საჭარობა“?

3. ფომინი: პრინციპში, ჩვენ ვიცით, რომ ის არსებობს, წარმოდგენა გვაქვს მის საქმიანობაზე, ხელმძღვანელებზე, მაგრამ მათთან კონტაქტი არ გავვაჩნია.

— თქვენ „დემოკრატიული კავშირისაგანაც“ განსხვავებული პოზიცია გაქვთ?

3. ფომინი: დიახ.

— „დემოკრატიული კავშირი“, როგორც მისი პროგრამიდან გამომდინარეობს, ფაქტობრივად ქვეყანაში არსებული წყობილების შეცვლისაკენ მოგვიწოდებს. კანონი არავის გაუუქმებია. როგორ განიხილავთ თქვენ ზოგიერთი არაფორმალური, ან როგორც მიღებულია ეწოდოს, თვითმოქმედი გაერთიანების საქმიანობას კანონიერების დაცვის ან დაუცველობის შუქზე? გავამარტივებ: რას თვლით თქვენ ანტისაბჭოურად და რას არა?

3. ფომინი: საქმე იმაშია, რომ ჩვენ არ ვცდი-

ლობთ რაიმე ზღვარის გავლებას. ნებისმიერ საქმიანობა დემოკრატიისა და საჭარობის ფარგლებში სასარგებლოა, თუ ის უპასუხისმგებლო არ არის, ე. ი. თუ კონფრონტაციის, ხოცა-ყლეტისაკენ რაიმე მოწოდებას არ შეიცავს. და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ არაფორმალური გაერთიანებები სოციალიზმის გასაუმჯობესებლად? ამასთან, ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია საკითხის ისე დაყენება, რომ ჩვენთვის მხოლოდ დასავლური მოდელია მისაღები და სხვა არაფერი. „დემოკრატიული კავშირი“ პრობლემებს აყენებს და ეს სასარგებლოა, რადგანაც მხოლოდ საკუთარი აზრი კი არ უნდა იცოდეს, არამედ ოპონენტებისაც. სწორედ ასეთ პირობებში შემუშავდება კომპრომისული ხაზი და სწორედ ალბათ ის იქნება. ასე რომ, ჩვენ არ ვსაზღვრავთ, რა არის კანონიერი და რა უკანონო. ამავე დროს, მდგომარეობის დესტაბილიზაციის, წყობილების შეცვლის, საბოლოო ჯამში, სამოქალაქო ომისაკენ ნებისმიერი უპასუხისმგებლო მოწოდება ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ექსტრემიზმის, ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ. თუმცა არაფორმალურ სინამდვილეში ისეთი ჯგუფებიც არიან, რომლებიც თავიანთი პოზიციის საფუძვლად ექსტრემიზმს, წყობილების შეცვლას მიიჩნევენ.

— „დემოკრატიული კავშირი“ აცხადებს, რომ ამის გაკეთებას ძალადობის გამოუყენებლად აპირებენ...

3. ფომინი: უპასუხისმგებლო დემაგოგიაა. არაფორმალურ სინამდვილეში უკვე ბევრი ხუმრობს, რომ მიეცეო „დემკავშირს“ ტყვიამფრქვევები და ისინი სროლას დაიწყებენ. და ამ ხუმრობას რეალური საფუძველი აქვს. ვთქვათ, თუ წაიკითხავთ მათი დამფუძნებელი ყრინობის სტენოგრაფიას, იქ არის საკითხი არმიასთან დაკავშირებით. „დემოკრატიული კავშირის“ მიმაჩნია, რომ არმიამ უნდა შემოვიღოთ სახალხო დემუტატა ინსტიტუტი, რათა არმია ხელისუფლებასა და მთავრობას არ უქერდეს მხარს. მათი პროგრამა, თუ მას ხორცშენახმის საშუალებას მივცემთ, შინაომებამდე მიგვიყვანს, მსხვერპლს გამოიწვევს.

— ჩვენ ცოტა გადაუხვებით. და მაინც: ვინ ხართ თქვენ?

3. ფომინი: ჩვენი გაერთიანება არც ორგანიზაციაა და არც ჯგუფი, ის გაერთიანებაა. ყველას შეუძლია აქედან გავიდეს, ყველას შეუძლია ჩვენთან მოვიდეს.

— ე. ი. თანამოაზრეთა კავშირია?

3. ფომინი: დიახ, ინტერესების მიხედვით, რადაც კლუბის მსგავსი. კიდევ ჩვენს შესახებ? ჩვენი ამოცანაა მოვამზადოთ მოზარდები საბჭოთა არმიის როგებში სამსახურისათვის. ეს

სასარგებლოცაა და აუცილებელიც, სხვა ამოცანები? ახალგაზრდობის სამართლებრივი სწავლება, მათი მიზიდვა სამართალდამცველ საქმიანობაში მონაწილეობისათვის. მოქალაქეებმა თავისი პრობლემები რომ გადაჭრან, მათ სრულყოფილად უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები და მოვალეობები. ახლავე უნდა მოვემზადოთ ახალგაზრდობის მასობრივი სამართლებრივი სწავლებისათვის. საერთოდ, პროგრამა ფართოა.

— მაშასადამე, მოსკოვის პროგრამის მოკლე ტექსტიუფუთში კონცენტრირებული იყო თქვენი საქმიანობის მხოლოდ ერთ-ერთი მხარე?

პ. ფომინი: უდავოდ.

— თქვენ უფრო მეტხანს გამოდიოდით?

პ. ფომინი: დაახლოებით 40-45 წუთი.

— თქვენ იცოდით თუ რომელი პროგრამისათვის სხებოდა ამის ჩაწერა?

პ. ფომინი: პრინციპში, ჩვენ ამით არ დავინტერესებულვართ.

— თქვენ მშვენივრად გესმით, რომ თუ თქვენ გიწვევთ „ხალამო მშვიდობისა, მოსკოვო!“ მაშინ იქ სიუჟეტი, ალბათ დაახლოებით ხამი წუთია.

პ. ფომინი: საქმე იმაშია, რომ გადაცემის დრო გარკვევით არ იყო დადგენილი. გამოვიდიოდით ორი მოსაზრებიდან: ან პატარა სიუჟეტი ერთ-ერთ გადაცემაში, ან მონაწილეობა პროგრამაში „მოქმედი პირნი“, რომელსაც, პრაქტიკულად ჩვენ მოგვიძღვნიდნენ, რა თქმა უნდა, თუ ეს გადაცემა როდესმე გავიღოდა ეთერში. სწორედ ამიტომ ვილაპარაკეთ ბევრი. სხვა საქმეა, რაც „სალამო მშვიდობისა, მოსკოვო!“-ში უჩვენეს. ხოლო კომენტატორი საერთოდ არასერიოზულად მოგვეპყრო. ვთქვათ, ის ამბობს: აი, ზის ამხანაგი სამხრეებით. სინამდვილეში მე ამავე პერანგით ვიყავი. რითაც დღეს ვარ.

— მაშინ რატომ „სამხრეებით“?

პ. ფომინი: კომენტატორმა პერანგზე ეს ზოლები დაინახა და ისინი სამხრეებად ჩათვალა.

— თქვენს გამოხვლას კომენტარებას, მე მაგონი ყურაშვილი უწევდა...

პ. ფომინი: რა განსხვავებაა? როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ — თეორეტიკოსები სამართლიდან, რომელნიც მოწყვეტილი არიან ცხოვრებას. მათი აზრი ჩვენ საერთოდ არ გვაინტერესებსო ვერ ვიტყვით, მაგრამ ნაკლებად გავლევებს.

— როდესაც თქვენი მუშაობის მიმართულებებზე ლაპარაკობდით, ერთ-ერთად იდუალო-გიური დასახელებით. რას ნიშნავს ეს?

პ. ფომინი: ჩვენთან არსებობს სამსახური, რომელიც რამოდენიმე ფუნქციას ასრულებს. პირველი — ეს არის ინფორმაციის შეგროვება.

ბა. საიდან? ჯერ ერთი, პრესა, რადიო, ტელევიზია არაფორმალური მოძრაობის შესახებ მოსკოვში.

— რომელ პრესას იყენებთ?

პ. ფომინი: ჩვენ ვეცნობით პრაქტიკულად უმრავლეს ცენტრალურ და მოსკოვურ გამოცემებს. ასევე, კონტაქტები გვაქვს არაფორმალური მოძრაობებთან, ვაგროვებთ მათ წესდებებს, პროგრამებს, დეკლარაციებს, მათ თვითგამოცემულ ჟურნალებს. შეძლებისდაგვარად, ყველაფერს ვკითხულობთ.

— და ასეთები თქვენთან ბევრი ხვდება?

პ. ფომინი: ყველაფერი არა. მაგრამ ჩვენ ცდილობთ მათი სემინარების ფონოგრამათა მიღებას.

— ამას ისინი სიამოვნებით გაძლევენ?

პ. ფომინი: ვინ როგორ. ისინი, ვინც აშკარად და ბოლომდე პატიოსნად გამოდიან, სიამოვნებით. სხვები — არა. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც ცდილობთ მივიღოთ მეტ-ნაკლებად სარწმუნო ინფორმაცია.

— მხოლოდ მოსკოვის ფარგლებში?

პ. ფომინი: რატომ... ჩვენ ვაგზავნით წარმომადგენლებს სხვადასხვა ქალაქებში, სადაც, ჩვენი აზრით, სპეციფიური სიტუაცია შეიქმნა... ვთქვათ, ყაზანი. ბევრი მასალა გვაქვს ყაზანის შესახებ. მიგვაჩნია, რომ იქ, სათანადო სურვილის არსებობისას, შეიძლებოდა ბევრი პრობლემა აგვეცილებინა, ხოლო მოზარდთა შეტაკება არ დაგვეშვა.

— როგორ?

პ. ფომინი: მათ ჰქონდათ ძლიერი ალტერნატივა მოზარდახალგაზრდული კლუბის „კასკადის“ სახით. მაგრამ, როგორც ჩანს, კომპაგშირი შეაშინა ამ ორგანიზაციის მასობრიობამ. შედეგი ცნობილია.


— დიდი ხანია მინდა გკითხოთ სამართალდამცველ ორგანიზებთან თქვენი დამოკიდებულების შესახებ.

პ. ფომინი: მათთან ჩვენ კარგი დამოკიდებულება გვაქვს. თუმცა ისინი ყოველთვის სწორად ვერ აღიქვამენ ჩვენს საქმიანობას, ყოველთვის არ გვიპყრენ მხარს, მაგრამ ორივეს კარგად გვესმის, რომ მხოლოდ ერთობლივ მოქმედებაში, მჭიდრო კონტაქტშია დადებითი შედეგების საწინდარი.

— თქვენი კონტაქტები, ასე ვთქვათ, ადამიანურ ან ოფიციალურ დონეზე?

პ. ფომინი: მოდით იქიდან გამოვიდეთ, რომ მე მოსკოვის ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში ვმუშაობ და საზოგადოებრიობასთან კავშირზე ვაგებ პასუხს.

— და თქვენი გაერთიანების აქტივში შინაგან საქმეთა ორგანიზების სხვა წარმომადგენლებიც შედიან?



ვ. ფომინი: არა, ბირთვი — ეს საზოგადოებრობაა, თუმცა თანამშრომლებიც გვყავს.

— ამ ტელეგადაცემის შემდეგ ბევრს ისეთი შთაბეჭდილება შეეჭმნა, რომ თქვენ იმიტომ შეუღლებით სამართალდამცველ საქმიანობას, რადგან მიგაჩნიათ: მილიცია ამას ვერ ართმევს თავს.

ვ. ფომინი: არა. ჩვენ იქიდან გამოვდივართ, რომ საერთო-სახალხო პრობლემები მთელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და არა მისმა რომელიმე წარმომადგენლობითმა ორგანომ. ე. ი. თუ რაიმე უწყსრივობაა, ეს მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოების კი არა, საერთო-სახალხო პრობლემაა.

— ე. ი. უზუნდ რომ ვთქვათ, თქვენ ხართ ფართო მახების ამოძრავების ერთგვარი შექმნისში?

ვ. ფომინი: დიახ.

ბ. ფედოუკინი: ამასთან, რა თქმა უნდა, მილიცია ყოველთვის მართლაც ვერ ართმევს თავს. იმავე გორკის პარკში დღესასწაულებზე ლიუბერეცკის რაიონიდან ზოგჯერ 800-მდე ადამიანი ჩამოდის. პირველ რიგში, სახელმწიფოს ძალზე ძვირი დაუჯდებოდა მილიციის მხოლოდ ერთ — 59-ე განყოფილებაში კოლოსალური შტატის ყოლა. ამასთან, რთულია წინასწარ განკვირვით მათი გამოჩენა. დავუმატებთ: მილიცია ეს სახელმწიფო ორგანოა. მან წინდაწინ უნდა იმოქმედოს, ე. ი. მინიმუმ ერთი დღით ადრე უნდა იცოდეს როდის, სად და რა მოხდება. „ლიუბერების“ უწყსრივობანი რომ აიცილონ, ერთი დღე-ღამით ადრე უნდა იცოდნენ თუ სად გაივლიან, რათა მოასწრონ იმ ადგილას მილიციის შემადგენლობის კონცენტრირება. სხვანაირად... სანამ დაუკავშირდებიან მილიციის სხვა განყოფილებებს, გამოიძახებენ რეზერვს, დიდი დრო გავა და დანხარებას დააგვიანდება. ჩვენ სპორტული ფორმირებები გვაქვს, რომელთა შეკრება ძალზე ადვილია. საქმარისია ერთი ზარი და პირდაპირ ვარჯიშიდან მოდიან...

— მაპატიეთ, რომელი სექციიდან?

ბ. ფედოუკინი: სექციებში ვსწავლობთ საბრძოლო სამბოს, ხელჩართულ ბრძოლას — იმას, რაც წესით ოპერატიული რაზმის წევრებმა უნდა იცოდნენ.

ქ. მაკრამ ხაიდან იღებთ ინფორმაციას „ლიუბერების“ შესახებ? იქნებ მათთანაც კარგი კონტაქტები გაქვთ?

ვ. ფომინი: საქმე იმაშია, რომ ლიუბერებში ყველა „ლიუბერი“ როდია. ყველა არ უჭერს მხარს „მოსკოვის ხელში ჩაგდებისა“ და სხვა არანაკლებ სულელურ მოწოდებებს. არიან ახალგაზრდები, რომლებიც მოვლენებს საღად აფასებენ, ესმით, რომ მათი თანამემამულეების

სული მახინჯდება. ისინი ამის წინააღმდეგი არიან, მათ სურთ უშველონ თავიანთ აზნანგებს.

— ე. ი. ისინი გატყობინებენ მომავალი აქციების შესახებ?

ვ. ფომინი: რა თქმა უნდა. ისინი ხომ საქმის კურსში არიან. ორი-სამი დღით ადრე ჩვენ, როგორც წესი, ვიცით მათი მარშრუტი და რაოდენობა. ესლა „ლიუბერებთან“ პატარა სირთულეა: ძალიან ბევრი მოსკოველი ყმაწვილი „მუშაობს“ „ლიუბერების“ მსგავსად. ეს საქმეს ართულებს. კიდევ გეტყვი: თუ „ლიუბერ-1“ და „ლიუბერ-2“ ჩავუფები „რწევიდან“ გადადიან სპორტის რომელიმე აღმოსავლურ სახეობაზე, მოსკოვი, პირიქით, სპორტის აღმოსავლური სახეობიდან გადადის „რწევაზე“. „რწევა“, ფიზიკური ძალის კულტი თომავს ინტელექტს. ამან ფიზიკური ძალადობის აფეთქებადმე, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა რაოდენობის გაზრდამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

— თქვენ უზიარებთ ინფორმაციებს სამართალდამცველ ორგანოებს?

ვ. ფომინი: თუ მე სამართალდამცველი გაერთიანების ინფორმაციის სამსახურის რაიმე ცნობა მივიღე, მაშინ, ასეა თუ ისე, მე ხომ უკვე ვიცი...

— მაშინ, აქედან გამომდინარე, სხვა არაფორმალური გაერთიანებები თქვენ როგორ გენდობიან?

ვ. ფომინი: პრინციპში, სამართალდამცველ ორგანოებს ის ანტერესებთ, რაც მართლსაწინააღმდეგო საქმიანობასთანაა დაკავშირებული. როცა ასეთი მოქმედება მზადდება, ჩვენ კოორდინაციას ვუწევებ გაერთიანების, კომკავშირული სამართალდამცველი ფორმირებების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და მილიციის ორგანოების საქმიანობას იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ შეტაკებები. სწორედ ეს „თავიდან ავიცილოთ“ გვიხსნის უფრო მეტად „ნდობის კრედიტს“ არაფორმალურებთან: ისე, რომ ჩვენ მიზნად არ ვისახავთ „გავფანტოთ“, ხოლო როდესაც საქმე ეხება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა დაუშვებლობას...

— ვისი მხრიდან? თქვენ სამართალდამცველი გაერთიანების წარმომადგენლები ხართ, მილიციის თანამშრომლებიც გამოჩნდნენ. ამგვარად, უკვე სამი ჩავუფო: თქვენ, მილიცია და „არაფორმალური“.

ვ. ფომინი: აქ ძალაში შედის კანონი. ის სამივე მხარისათვის ერთიანი მსაჯულია. ყველა მას უნდა დაემორჩილოს.

— მე მაინც მინდოდა უფრო ერთაზროვანი პასუხი მიმეღო: თქვენი გამოჩენა ამჟამინდელი სიტუაციის შემამოფოთებლობითაა გამოწვეული? როგორია თქვენი პროგნოზი უახლოეს მომავალზე?

3. ფომინი: ჩვენ გვიყვარს თქმა, რომ დროებითი მოვლენა ვართ. ამასთან, ჩვენი არსებობის ვადასაც ვასახელებთ — ორი-სამი წელი. საიდან გამოვდევართ? ჩვენი ანალიზიდან. მიგვაჩნია, რომ ეს პერიოდი ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, კიდევ ორ-სამ წელიწადს გაგრძელდება.

— აღმოცენდება ახალი სიტუაციები, ახალი მოძრაობები, არა?

3. ფომინი: ნამდვილად სწორია, მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ მასობრივ მოვლენებზე. ყველაფერი გადაიზრდება ერთგვარ მცირერიცხოვან, ერთეულ აქციებში. და ეს ბევრად უფრო სახიფათოა, იმიტომ რომ მისი პროგნოზირება გაძნელებულია. ესეა თავისი აქციების ჩასატარებლად, „ლიუბერებს“ ხალხია დიდი მასა სჭირდებათ. როდესაც დაჯგუფებათა ინტელექტი ამოღდება, ისინი უფრო დაქუცმაცდებიან.

— მაშინ კიდევ ერთი კითხვა: თქვენი აზრით, რითაა გამოწვეული ახალგაზრდული დაჯგუფებების ეს აგრესიულობა და კრიმინოგენულობა?

3. ფომინი: პირველი მიზეზი: არის პირთა ჯგუფი, რომელსაც ჩვენ ესეა ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებს ვუწოდებთ, და რომელიც დაინტერესებულია ამ დაჯგუფებათა არსებობით. რატომ? იმიტომ, რომ „ლიუბერთა“ ნებისმიერი მოქმედება, როდესაც ისინი გროვად იკრიბებიან, დიდი რაოდენობით მილიციის ყურადღებას იმყრობს. შესაბამისად იგებს დამნაშავეთა სამყარო: მილიცია ზედმეტად იძაბება, ხარისხიანად ვერ მუშაობს. სხვადასხვა დაჯგუფებათა ზურგს უკან „საქმოსნები“ დგანან.

მეორე ძალა, რომელიც „ლიუბერების“ მსგავსი ჯგუფებითაა დაინტერესებული, გარდაქმნის აშკარა მოწინააღმდეგეი არიან. ისინი ვინც ამბობს: „გახსოვთ, რა კარგად ვცხოვრობდით, დღეს კი რა არის?“

— და თვით ამ დაჯგუფებებს რა უნდათ?

3. ფომინი: ხშირად მათ არაფერი არ უნდათ. ეს ჩვენი სახალურია ახალგაზრდობასთან მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის. ჩვენი მოუნდომებლობისათვის, რათა ჩაეწვდეთ ახალგაზრდობის პრობლემებს; ამასთან მათ მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება.

— ე.ი. ისინი განაწყენებული არიან, რომ მათ სერიოზულად არ მოეკიდეთ, და ამისათვის უნდათ, როგორც თვითონ ამბობენ, ვინმეს სიხვათი დაუნჯარიონ?

3. ფომინი: არა, ისინი ამაზე არც ფიქრობენ. ისინი უბრალოდ თვითდინებაზე არიან მიშვებული. საიდან ასეთი შეუწყნარებლობა? სულ

ლიერი იდეალებისა და კულტურის უქონლობისაგან. მხოლოდ აქედან.

— ახალგაზრდობის დანაშაულის ამერიკული სოციოლოგიური გამოკვლევის შესახებ წიგნში შეცნირები ასკენიან: ახალგაზრდებს სურთ გაიჭიანურონ მოწიფულ ცხოვრებაში გადასვლის მომენტი, ამავე დროს, 15-16 წლიანები ახლოვლურად დარწმუნებული არიან, რომ იმავე უფლებებით უნდა იხარებოდნენ, რითაც უფროსები.

3. ფომინი: ეს პრობლემაც არის.
— მაინც რით აიხსნება ეს აშკარა აგრესიულობა?

3. ფომინი: პრაქტიკულად ჩვენი მოზარდთა უმრავლესობა უმატრონოდაა მიტოვებული. ოჯახი მუშაობს, ბავშვისათვის არავის სცალია. ის „მიათრიეს“ მე-8 კლასამდე — და საით? სასწავლებელში, პროფტექნიკურში. ასეთი, სკოლისთვის „არასაკირო“ მოსწავლეებისგან პროფტექნიკურ სასწავლებელში ყალიბდება კრიმინოგენული გარემო, რომელიც თავისი ინტელექტით ბევრად ჩამორჩება სკოლის დონეს. სერიოზული აღმზრდლობითი მუშაობა მათთან პრაქტიკულად არ ტარდება... შემდეგ: რას ნიშნავს დღეს მიეცეს მოზარდი სამართლის პასუხისმგებლობაში?

— ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

3. ფომინი: დიან. ჩნდება დაუსჯელობის ფაქტორი, რომელიც დაუფრთხლებლად წარმოშობს უპასუხისმგებლობის ფაქტორს. ერთი ემატება მეორეს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ სიტუაცია გააუარესდება?

3. ფომინი: უახლოეს ერთ-ერთნახევარ წელიწადში — დიან. შემდეგ „გუნდურობა“ დაეცემა. ვთქვით ესეა, ჩვენი ინფორმაციის სამსახურის მონაცემებით, არსებობენ სამი მიმართულების რასისტული ჯგუფები. საერთო ჯამში. მათ შემადგენლობაში მოსკოვში დაახლოებით 850 კაცია. 14-15 მაისს, მაღალგაკასთან მათ შეკრება მოაწყეს. სადაც შეიმუშავეს თავისი სიმბოლიკა და ჩამოაყალიბეს პლატფორმა.

— ვინ არის მათი მტრობის ობიექტი?

3. ფომინი: ძირითადად ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. პირველ რიგში „სამხრეთელები“. მეორე რიგში, ჩვენთან მყოფი აფრიკული ქვეყნების წარმომადგენლები.

— ხომ არ უცდია არაფორმალურ სამართალდაცველ გაერთიანებას სხვანაირადაც გამოიყენოს ინფორმაცია „არაფორმალურზე“, რომელსაც ის, ხშირად ძნელად მოიპოვებს?

3. ფომინი: ამა წლის იანვარში ჩვენ გამოვეცით ბიულეტენი „მოსკოველი არაფორმალური“. 1988 წლის პროგნოზი“, სადაც ყურადღება



გავამახვილეთ ახალგაზრდობის პრობლემებზე ლეცს“, „არგუმენტი ი ფაქტს“, „მოსკოვსკიე და ჩვენი პროგნოზი გამომოქცით. ბიულეტენ-ნოვოსტს“, პროგრამა „იზგლიდას“. ნები გავუგზავნეთ „მოსკოვსკიე კომსომო-

საუბარს კვლევებოდა მ. ვიქტოროვი.

ჩვენი საუბარი ძალიან დიდხანს გაგრძელდა. და ამდენივე ხანს ვცდილობდი პასუხის მიღებას კითხვაზე: სინამდვილეში რამ გამოიწვია ასეთი გაერთიანების წარმოქმნა? „ფომინელე-ბი“, როგორც ისინი თავის თავს უწოდებენ, „არაფორმალეზი“ სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ხდებიან. აქედან არავითარი მოგება არა აქვთ. ძალის კულტი? ისინი ამის დემონსტრირებას არ ახდენენ, და მოსაუბრეთა შორის მე არც ერთი „დატუმბული“ არ მინახავს. ამავე დროს, ისინი ხომ ცდილობენ მანქანაზე გადაბჟდონ და სხვადასხვა რედაქციებს გაუგზავნონ თავიანთი პროგნოზი და არხებული სიტუაციის ანალიზი.

ე. ი. „არაფორმალეზის“ ჭრელ მასებს შორის „დაპირისპირების“ მკვეთრმა გამწვავებამ შვა არაფორმალური სამართალდამცველი გაერთიანება?

დიახ, ამას ფომინი და მისი კოლეგები არ უარყოფენ.

იქნებ ისინი ცდილობენ იმათ შერიგებას, ვისაც ჩვენ „ზღურბლზე“ უარყოფთ? „პან-კებს“ და „პიპებს“, „ლიბერებს“ და „მეტალიტებს“... როგორც აშშ-ს გამოცდილება გვიჩვენებს, ზოგიერთი მათგანის თანაარხებობა სავსებით შესაძლებელია. ზოგიერთის, მაგრამ არა ყველასი. ამასთან, ღირს კი მოფაშისტო ორგანიზაციების ვინმესთან „შერიგება“, როცა ჩვენი კონსტიტუციით რასობრივი სიძულვილის პროპაგანდა და გავლენა აკრძალულია?

ვფიქრობთ, მათი მთავარი ამოცანაა ერთმანეთის მოთმინება იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია. ამ მოთმინების გარეშე ჩვენს შორის ურთიერთგაგება არ იქნება. თუ კანონს არ დაარღვევენ, „მეტალიტები“, „პანკები“ იარხებებენ, თუნდაც თავიანთი სულიერი განვითარების საზიანოდ. და ამ მოთმინების გარეშე „არაფორმალეზი“ ვერ გაიგებენ, რომ ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში „ფორმალეზის“ დადანაშაულება მხოლოდ სიტუაციის გამწვავებამდე მიგვიყვანს.

„ქურნალისტი“ 1988, № 12.

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

საზოგადოებრივობის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში

ბადრი ბიწაძე

საზოგადოებრივობის მონაწილეობა სისხლის სამართალწარმოებაში — ეს ისეთი საკითხია, რომელიც ყოველთვის იყო, და იქნება საბჭოთა სწავლული იურისტებისა და პრაქტიკული მუშაკების ყურადღების ცენტრში.

სკკპ XXVII ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: „უნდა გავზარდოთ მშრომელების, ყველას და თითოეულის აქტიუ-

რობა აღმშენებლობით მუშაობაში ნაკლოვანებების, ბოროტმოქმედების, ყვე-
ლანაირი ავადმყოფური გამოვლინების, ჩვენი უფლებებისა და მორალის წარ-
მებრუნად გადახრების დაძლევაში. დემოკრატია იყო და კვლავ იქნება სოცია-
ლისტური კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ხოლო
მტკიცე კანონიერება — ჩვენი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი“¹.

XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ პრინციპული მნიშვნელობის
ამოცანად დასახა სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება,
მასების აქტიურობის ზრდა სოციალისტური კანონიერებისა და სამართლი-
ანობის განმტკიცებისათვის.

როგორც ცნობილია, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი იმგვარად
დაა აგებული, რომ მის ყველა სტადიაზე დამნაშავეობასთან ბრძოლაში უდი-
დეს როლს ასრულებს საზოგადოებრიობა. ამჯერად, ჩვენ შევჩერდებით მხო-
ლოდ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობაზე წინასწარი გამო-
ძიების დროს, რაც დღენისათვის მეტად აქტუალურ პრობლემად გვესახება.

დანაშაულის გახსნა, გამოძიება, მისი თავიდან აცილება და საერთოდ
ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგს დაცვა, ისეთი ორმხრივი პროცესია, სა-
დაც ერთის მხრივ, სახელმწიფო ახდენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის
თანდათანობით გადაცემას საზოგადოებრიობისათვის, ხოლო მეორეს მხრივ ში-
ნაგან საქმეთა ორგანოებმა პროკურატურა და სასამართლო დამნაშავეობასთან
ბრძოლის მიზნით თვითონ იწვევენ დასახმარებლად საზოგადოების აქტიურ
წევრებს.

როგორია ამ მიმართულებათა ტენდენციები?

ა) საზოგადოებრივი ზემოქმედების გაძლიერებით საგრძნობლად მცირდება
სისხლის სამართლებრივი და სისხლის საპროცესო სამართლებრივი რეგული-
რების სფერო; ბ) საზოგადოებრიობა უკვე თვითონვე ახდენს რეაგირებას კა-
ნონის დარღვევაზე, რაც ადრე მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების საშუალებით
ხორციელდებოდა; გ) ფართოვდება და ძლიერდება საზოგადოებრიობის
მონაწილეობის მნიშვნელობა იმ ურთიერთობებში, რომელთა მოგვარებაც
მხოლოდ მილიციის, პროკურატურის და სასამართლოს საქმეა; დ) საზოგადო-
ებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა ძლიერი ხელშემწყობი პირობაა
დანაშაულის გამოამჟღავნებისა და გამოძიების ხარისხის ასამაღლებლად, რაც
უზრუნველყოფს ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის გარდუვალობას.

გამომძიებელს ძალიან გაუჭირდება, თუ იგი არ გამოიყენებს საზოგადო-
ებრიობას, არ ეცდება მიიღოს პატიოსანი და პრინციპული ადამიანების აქ-
ტიური დახმარება; ცხრვრებამ დიდიხანია დადასტურა, რომ საზოგადოებრი-
ობასთან, შრომით კოლექტივებთან კავშირით მცირდება დამნაშავეობა, მტკიც-
დება კანონიერება და მართლწესრიგი.

წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწი-
ლეობა არა მარტო დახმარებაა საგამომძიებო ორგანოებისადმი, არამედ იგი
არის სახელმწიფო მმართველობაში მასების ფართო მონაწილეობის მეთოდიც.
ამასთან, იგი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ საზოგადოებრიობის მონაწილე-
ობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში წარმოადგენს მშრომელთა პოლიტიკური
აღზრდის ერთ-ერთ ქმედით ფორმას.

წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილე-

¹ მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა
კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 103-104.

ობა დროებითი ან შემთხვევითი ელემენტი კი არ არის სისხლის სამართალ-წარმოების ამ სტადიაზე, არამედ მისი ორგანული და შემადგენელი ნაწილია, მისი პროგრესული მეთოდია, რომელიც ყველაზე ეფექტურ შედეგებს იძლევა. მისი თავისებურება ისაა, რომ ეს საქმიანობა დეტალურად არის რეგლამენტირებული კანონში.

გამოძიებას საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია: ა) რაც არ უნდა ეფექტური ხერხები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები გამოიყენოს გამოძიებელმა, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება იმას, რასაც საზოგადოებრიობის წარმომადგენლები აუწყებენ მას, რადგან მათ ბევრად უფრო ადრე მეტი შეიძლება იცოდნენ ცალკეული პირების ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების შესახებ, იმ ამბების შესახებ, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ჩადენილ დანაშაულთან; ბ) საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ცალკეულ პირთა ცხოვრებას, მათ ურთიერთობებს, ადგილობრივ პირობებს, ჩვევებსა და თავისებურებებს. რაც არ უნდა კარგად დადგინდეს ყველაფერი გამოძიების გზით, მაინც ვერ შეძლებს გამომძიებელი, რომ იცოდეს იმდენი, რამდენიც მომხდარი შემთხვევის შესახებ იცის საზოგადოებრიობამ; გ) ძალიან დიდია შრომითი კოლექტივის გავლენა მათზე, ვისაც კავშირი აქვს დანაშაულთან. კანონის დამრღვევთ იგი იმის სურვილს აღუძრავს, რომ აღიარონ და მოინანიონ ჩადენილი დანაშაული, გამომძიებელს მისცენ მართალი და ამომწურავი ჩვენებები. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის დროული, სრული და ყოველმხრივი გამოძიებისათვის².

წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის საკანონმდებლო რეგლამენტაციამ თავისი განვითარება პოვა მოქმედ საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. 128-ე მუხლში სპეციალურადაა მითითებული, რომ საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის განსნასა და გამოძიებაში წარმოადგენს გამომძიებლის პროცესუალურ ვალდებულებას.

სისხლის სამართლის პროცესუალური კანონი არ იძლევა და ვერც მოგვცემს წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის კონკრეტულ ფორმათა ნუსხას, რადგან ისინი მუშაობის პროცესში წარმოიშვებიან, მოწმდებიან და იხვეწებიან საგამოძიებო ორგანოთა გამოცდილებით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, როცა საბჭოთა პროცესუალისტიები დიდ ყურადღებას უთმობენ წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის ფორმებს.

მართალია ზოგიერთი პროცესუალისტი ამ საკითხის დასკვნის საფუძვლად იყენებს საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადებას, მაგრამ იქვე იძლევა ფორმათა საკუთარ ნუსხას. ეს არაა გასაკვირი, რამდენადაც წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები (სასამართლო განხილვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმებისაგან განსხვავებით) კანონით არ არის რეგლამენტირებული, მათ წარმოქმნის პრაქტიკა, ცხოვრება. სისხლის სამართალწარმოების ამ სტადიაზე, სავსებით დასაშვებია როგორც თვით მშრომელების, ასევე გამომძიებლის ფართო ინიციატივა. რა თქმა უნდა, ამასთან

² А. Н. Васильев, Участие общественности в раскрытии преступлений, М., изд-во «Знание», 1960; с. 5.

მკაცრად უნდა იქნეს დაცული კანონის მოთხოვნები, წინასწარი გამოძიების მონაწილეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

პროფ. ი. პერლოვი თვლის, რომ არსებობს დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის ოთხი ფორმა: 1) დანაშაულის თავიდან აცილება, გამოვლენა და აღკვეთა; 2) დამნაშავე პირთა აღმოჩენა, ძებნა და დაკავება; 3) დაზარალებულთა და ბრალდებულთა გამოვლენა; 4) დატაცებული ქონება, დანაშაულის ჩადენის იარაღები, სხვა ნივთიერი მტკიცებულებები და ძებნა³.

პროფ. ა. ვასილიევმა წინასწარ გამოძიებაში საზოგადოების მონაწილეობის შვიდი ფორმა⁴ გამოყო, პროფ. ვ. სტრემოვსკიმ კი ცხრა⁵.

მეცნიერ-პროცესუალისტთა დღეისათვის შემოთავაზებული ნუსხა, რომელიც დანაშაულის გახსნაში, გამოძიებასა და თავიდან აცილებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმებს შეეხება, მყარი არ არის. ცხადია, ეს ფორმები კვლავაც განვითარდება და დაიხვეწება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოებრიობის დახმარების ფართო გამოყენება სრულიადც არ ნიშნავს ე. წ. „ღია გამოძიებას“, საერთო კრებებზე ბრალდებულთა და მოწმეთა კოლექტიურ დაკითხვას.

პროფ. გ. მინკოვსკის ვარაუდით, წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის ფორმა შეიძლება განვითარდეს ორი მიმართულებით:

1) შტატგარეშე საზოგადოებრივი გამოძიებლების (და არა თანაშემწეების) ინსტიტუტის შექმნა: ისინი გამოძიებლის სრული უფლებით არიან მოსილნი და დამოუკიდებლად აწარმოებენ გამოძიებას;

2) გამოძიებლის საზოგადოებრივ თანაშემწეთა ინსტიტუტის შექმნა. ისინი არც ერთ საგამოძიებო მოქმედებას არ აწარმოებენ დამოუკიდებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი თანაშემწეების უფლებებისა და მოვალეობების საკანონმდებლო რეგლამენტაციის შესახებ მრავალ მეცნიერ-პროცესუალისტს აქვს გამოთქმული თავისი აზრი.

წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობისათვის გადამწყვეტი სიტყვა თქვა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1962 წლის 18 დეკემბრის მითითებამ: „პროკურატურის ორგანოების საზოგადოებრიობასთან კავშირის ფორმების შესახებ“, ამ მითითებაში აღნიშნულია, რომ პროკურორები და გამოძიებლები ადგილებზევე სრულყოფენ და ავითარებენ საზოგადოებრიობასთან კავშირს კანონიერების დარღვევისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში⁶.

³ И. Д. Перлов, Задачи и формы участия общественности в борьбе с преступностью и иными нарушениями социалистического правопорядка в свете решений XXI съезда КПСС. В сб. Материалы научно-теоретической конференции, М., изд-во Высшей школы МВД СССР, 1959, с. 56.

⁴ А. Н. Васильев, Участие общественности в раскрытии преступлений, М., изд-во «Знание», с. 10.

⁵ В. А. Стрёмовский, О формах участия общественности в расследовании преступлений, «Советское государство и право», 1961, № 7, с. 112.

⁶ Сборник руководящих приказов и инструкций Генерального прокурора СССР, М., 1976, т. I, с. 171.

ყოველნაირად გაამართლა საზოგადოებრიობასთან კავშირის იმგვარმა ფორმამ, როგორცაა პროკურორებისა და გამომძიებლების გამოსვლა შრომითი კოლექტივების წინაშე კონკრეტულ საქმეთა გამო. ხელმძღვანელობენ რა საქართველოს სსრ სსსკ-ის 128-ე მუხლით, რესპუბლიკის პროკურორები და გამომძიებლები ფართოდ იყენებენ საზოგადოებრიობის დახმარებას დანაშაულის გამოსავლინებლად, დანაშაულის ჩამდენ პირთა დასაძებნად, დანაშაულის მიზეზებისა და პირობების თავიდან ასაცილებლად. კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობენ როგორც საზოგადოებრივი ბრალდებლები, ასევე საზოგადოებრივი დამცველები.

კანონრღიონებისა და ქალაქების ზოგიერთ პროკურორატურაში არიან საზოგადოებრივი საწყისზე მომუშავე პროკურორისა და გამომძიებლის თანაშემწეები. ისინი ასრულებენ სხვადასხვა დავალებებს, სწავლობენ მოქალაქეთა საჩივრებს, განიხილავენ განცხადებებსა და სიგნალებს კანონიერების დარღვევის ფაქტების შესახებ. შემოწმების მასალათა მიხედვით პროკურორები იღებენ შესაბამის ზომებს.

პროკურორატურის გამომძიებელთა საზოგადოებრივი თანაშემწეები, მონაწილეობენ ცალკეულ საგამომძიებო მოქმედებებში რეაქციაში, ამოღებაში, აგროვებენ ცნობებს ბრალდებულის პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესახებ, ავლენენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მიზეზებს და ა. შ.

საქართველოს სსრ პროკურორატურის ორგანოებში არსებული პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ წარმოიშვა დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმის შემდეგი მეთოდები:

ა) გამომძიებლის საუბრები პროფკავშირულ-კომკავშირულ აქტივთან მომხდარი დანაშაულის შესახებ;

ბ) შრომითი კოლექტივების კრებებზე გამომძიებლის გამოსვლა კონკრეტული დანაშაულის გამოძიების შედეგების შესახებ, თხოვნით მიმართვა დახმარება გაუწიონ კონკრეტული ზომების მიღებაში მოცემულ წარმოებაში თუ დაწესებულებაში ჩადენილი დანაშაულის მიზეზებისა და პირობების თავიდან ასაცილებლად;

გ) გამომძიებელთა მიმართვა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით დასახლებული რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის მოსახლეობისადმი, რათა მათ დანაშაულის აღმოჩენისთანავე შეატყობინონ დაზარალებულის, საქმის ვითარების, დანაშაულის ჩამდენი პირებისა და სხვა ცნობების შესახებ;

დ) ლექციები, საუბრები და მოხსენებები შრომით კოლექტივებში, გამოსვლები რადიოთი და ტელევიზიით, რომლებიც გულისხმობენ მოწოდებას ნებისმიერი დანაშაულის მიმართ შეურიგებლობისაკენ, დანაშაულის გახსნაში საგამომძიებო ორგანოებისათვის დახმარებისაკენ;

ე) ცნობების, შენიშვნებისა და სტატიების გამოქვეყნება ადგილობრივ გაზეთში, განცხადებების გამოკვრა დასახლებული პუნქტის საზოგადოებრივი თავმჯდომარის ადგილებში ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რითაც მიმართავენ მოსახლეობას, რომ შეატყობინონ დანაშაულის ჩადენაში ეკვიტანოდ პირთა შესახებ, საქმისათვის საჭირო გარემოებებზე;

ვ) შეხვედრები ქუჩისა და სახლის კომიტეტების წარმომადგენლებთან, სახალხო რაზმელებთან, კომკავშირელებთან, აქტიურ პენსიონერებთან, რომლებსაც გამომძიებელი ინფორმაციას მისცემს გამომძიებაში მყოფი საქმის შე-

სახებ და სთხოვს მათ მონაწილეობა მიიღონ დანაშაულის გახსნასა და გამოძიებაში;

ზ) საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება იმ წარმოებასა და დაწესებულებაში, სადაც მოხდა დანაშაული. ეს ხელს უწყობს ახალი მოწმეების გამოჩენას და მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივის გააქტიურებას გამომძიებლის დასახმარებლად.

არსებობს აგრეთვე გამომძიებლისა და საზოგადოებრიობის ურთიერთობის სხვა ფორმებიც.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში ამ ბოლო დროს ჩამოყალიბდა საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის ახალი ფორმა. ესაა გამართლების რიტუალი, უდანაშაულო პიროვნების რეაბილიტაციის რეალიზაციის ფორმა, სოციალური სამართლიანობის პრინციპის კონკრეტული განხორციელება. 1988 წლის 1 ივნისს საქართველოს სსრ პროკურატურის ყველა რგოლს მიეცა რეკომენდაცია პრაქტიკულად დაენერგა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მიერ სახალხოდ ბოდიშის მოხდა იმ მოქალაქეთა მიმართ (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და შრომით კოლექტივებში, სადაც ისინი მუშაობდნენ), რომლებიც არაკანონიერად იყვნენ პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებულნი.

ცხადია, უდანაშაულო პირთა რეაბილიტაციის ამგვარ პროცედურას დიდი პოლიტიკური და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს⁷.

თუ შევაჯამებთ ნათქვამს, დასკვნა ასეთია: წინასწარი გამოძიების ორგანოების დახმარების ფორმები და მეთოდები მრავალნაირია. ისინი დამოკიდებულია გამომძიებლის მუშაობის კონკრეტულ პირობებზე, მის ინიციატივასა და აქტივობაზე, რაიონის სპეციფიკაზე, დანაშაულის ხასიათზე და მრავალ სხვა ფაქტორზე. სწორედ ამიტომ საზოგადოებრიობასთან გამომძიებლის ურთიერთობის ჩამოთვლილი ფორმები და მეთოდები არ შეიძლება ამომწურავი იყოს.

წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის დროს როგორც არ უნდა იყოს ამ ფორმათა წრე, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მკაცრად იყოს დაცული წინასწარი გამოძიების მონაწილეთა ის უფლებები და კანონიერი ინტერესები, რომლებიც სისხლის სამართლის სამართალწარმოების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების გარანტიას იძლევიან.

ასეთია წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული პრობლემა.



⁷ В. Размадзе, «Оправдание», «Известия», № 273, 1988 г.

ვაჭრობის წესების დარღვევის ობიექტური მხარე

მამსიმა მოსესოვი,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი

ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამბლების, მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების, ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების პირობებში აუცილებელია ფართოდ გაიშალოს ვაჭრობა, რომელიც მოწოდებულია სახალხო მოხმარების საქონლის მუდმივად მზარდი მასა შეუფერხებლად, გეგმიური წესით მიაწოდოს მომხმარებელს.

გარდაქმნის პირობებში ვაჭრობის წინაშე დასახული ამოცანები კონკრეტულად არის გათვალისწინებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 5 აგვისტოს დადგენილებით „სახელმწიფო ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“¹.

ამასთან, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ვაჭრობაში არსებულ სხვადასხვა სახის დარღვევასთან.

საქართველოს სსრ სსკ 169³ მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა სავაჭრო საწარმოების (ორგანიზაციების) ან საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნაგებობებიდან საქონლის გაყიდვა ან მყიდველისათვის საქონლის დამალვა, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი დაინტერესებით.

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებისა, რომელიც მოცემულია 1983 წლის 17 მარტის № 3 სახელმძღვანელო დადგენილებაში „სასამართლოების მიერ ვაჭრობის წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“², სსკ 169³ მუხლში მითითებულ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის და აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები, რომლებსაც სავაჭრო ქსელი გააჩნიათ (მე-2 პუნქტი)².

ამგვარად, საქონლის ან მასალების უკანონო გაყიდვა სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საწყობებიდან ან სხვა სათავსოებიდან არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ვაჭრობის წესების დარღვევა, რადგან ეს მოქმედებები ჩადენილია არა სავაჭრო ორგანიზაციებში და ამასთან, ხელყოფენ სულ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სავაჭრო წესების დარღვევის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს როგორც გაყიდვაში, ასევე მყიდველისათვის საქონლის დამალვაშიც. ვაჭრობის წესების დარღვევას, გამოხატულს გაყიდვაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც საბითუმო, ისე საცალო სავაჭრო ქსელში. მაგალითად,

¹ „პრავდა“, 1986 წლის 5 აგვისტო.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1983, № 2, გვ. 16.

ა. გუსაელიანი მუშაობდა რა მეკუტუნავედ, 1985 წლის 12 თებერვალს ელექტროსაქონლის საწყობიდან, საიდანაც ნაღდ ფულზე ვაჭრობის უფლება არ ჰქონდა, ანგარებითი დაინტერესებით გაყიდა მაცივარი „მინსკ-15“, რაშიც ზედმეტად გადაახდევინა 170 მანეთი. ასევე სავაჭრო წესების დარღვევით მან გაყიდა 3398 მანეთისა და 80 კაპიკის სხვადასხვა საქონელი.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1985 წლის 8 მაისის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლის მე-2 ნაწილით იგი მსჯავრდებული იქნა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, რაც გამოიხატა უკანონო გაყიდვაში.

საქართველოს სსრ სსკ 169^ა-ე მუხლში მითითებულ დამხმარე ნაგებობებს უნდა მივაკუთვნოთ საწარმოო სათავსოები, საწყობები, სამზარეულოები, სამსახურებრივი კაბინეტები, გასასვლელები, დერეფნები, საქონლის დაფასოებისა და კომპლექტაციისათვის განკუთვნილი ადგილები და ა. შ., გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც სავაჭრო საწარმოს სამუშაო საათებში სპეციალურად განკუთვნილია მყიდველთა მომსახურებისათვის. ასეთებია ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების სავაჭრო დარბაზები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაღაზიის სავაჭრო დარბაზში ცალკეულ მოქალაქეთათვის დახლის ქვევიდან საქონლის მიყიდვაც შეიძლება დანაშაულებრივი იყოს. მაგალითად, „თბილქალაქსააგენტოს“, „სოიუზბეჩატის“ კოსკის გამყიდველმა კარამანოვმა გაყიდა დახლის ქვეშ გადამალული ოთხი მოდების ყურნალი და ოთხი კოლოფი სიგარეტი „კოსმოსი“. დათვალიერების დროს მას დახლის ქვეშ აღმოაჩნდა კიდევ ორმოცი კოლოფი სიგარეტი „კოსმოსი“ და შვიდი ცალი მოდების ყურნალი. სასამართლომ სწორად შეაფასა კარამანოვის ეს მოქმედებები, როგორც ვაჭრობის წესების დარღვევა, გამოხატული საქონლის გადამალვასა და უკანონო გაყიდვაში და დააკვალიფიცირა ისინი საქართველოს სსრ სსკ 169^ა-ე მუხლის 1 ნაწილით.

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ სავაჭრო დარბაზში დახლის ქვევიდან საქონლის გაყიდვა კვალიფიცირდება როგორც დანაშაულებრივი გაყიდვა, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლით. ასეთი კვალიფიკაცია ჩვენ სწორად მიგვაჩნია, რადგან ამ შემთხვევაშიც ირღვევა ვაჭრობის წესები, რომელთა თანახმად, საქონელი უნდა გაიყიდოს ღია ვაჭრობის გზით, საერთო წესით.

მაღაზიის მუშაობის ძირითადი წესების თანახმად, აკრძალულია საქონლის გაყიდვა ვაჭრობის საწარმოს არასამუშაო საათებში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ცალკეულ მოქალაქეებისათვის საქონლის მიყიდვა, აგრეთვე უნდა იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლის თანახმად, სხვა დამხმარე ნაგებობებიდან უკანონო გაყიდვის მსგავსად. მაღაზიის მუშაობის ძირითადი წესების 43-ე პუნქტის თანახმად, მოცემული მაღაზიის მუშაკებისათვის საქონლის მიყიდვა ყველა შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციის ნებართვითა და მისი კონტროლის ქვეშ. ამიტომ, ამ მოთხოვნის დარღვევით საქონლის მიყიდვამ უშუალოდ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებისათვის, აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობა გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლით.

სსრ კავშირის უმადლესი სასამართლოს პლენუმმა 1983 წლის 17 მარტის № 3 დადგენილებაში „სასამართლოების მიერ ვაჭრობის წესების დარღვევი-

სათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ³ მიუთითა, რომ რუსთა სსკ 156³ მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლების თანახმად, ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს არა მხოლოდ მაშინ, როცა საქონელი იყიდება საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე სათავსოებიდან, არამედ საწყობიდან (ბაზიდან), ვაჭრობის ან საზოგადოებრივი კვების საწარმოში მათი მიწოდებისას³.

ა. ბონდარენკო ადასტურებს, რომ ლიტერატურასა და პრაქტიკაში ასეთი მოქმედებები (საქონლის გაყიდვა მათი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მიწოდების დროს) კვალიფიცირდება როგორც ვაჭრობის წესების დარღვევა, ამასთან, მიიჩნევა, რომ ამ შემთხვევაში არსებითად ხდება კანონის გამოყენება ანალოგიით და ამის ასაცილებლად გვთავაზობს ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სსკ მუხლს დაემატოს მითითება ვაჭრობის მუშაკთა პასუხისმგებლობის შესახებ საქონლის გაყიდვისათვის მათი მიწოდების დროს⁴.

მიგვაჩნია, რომ კანონში ასეთი დამატება არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც, ჩვენ ჩაზრით, არც საჭიროა და შეუძლებელიც არის ყველა იმ ადგილის განსაზღვრა, საიდანაც შეიძლება მოხდეს დანაშაულებრივი გაყიდვა. პრაქტიკულად ხომ ასობით ადგილი შეიძლება იქნეს გამოყენებული საქონლის უკანონოდ გაყიდვისათვის, რომელთა გათვალისწინება და ჩამოთვლა შეუძლებელია და თუ 169³ მუხლს სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, ასეთი ქმედობები არ ჩაითვლებიან სისხლის სამართლის წესით ვაჭრობის წესების დასჯად დარღვევად, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც ზიანი ადგება ვაჭრობის, ასევე მყიდველის ინტერესებს (მაგალითად, საქონლის გაყიდვა მაღაზიაში მიღების დროს, საქონლის დაფასოების დროს, ბინაზე, ქუჩაში, სავაჭრო დარბაზებში დაუდგენელ დროს და ა. შ.). მაგალითად, სოფლის მაღაზიის გამყიდველმა მ. შ., მიიღო რა სოფლის კოოპერატივის საწყობში 100 აგტოსაბურავი, მიიტანა ისინი სახლში და იქ მიჰყიდა ნაცნობებს, ფული კი შეიტანა მაღაზიის სალაროში. სომხეთის სსრ არტაშატის რაიონის სახალხო სასამართლომ მას მსჯავრი დასდო ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ამასთან, საქონლის დანაშაულებრივი გაყიდვის ყველა შესაძლებელი ადგილის ჩამოთვლის ცდა მიგვიყვანდა განსახილველი ნორმის დისპოზიციის უზომო და გაუმართლებელ გაბერვამდე და შექმნიდა ვაჭრობის არაკეთილსინდისიერი მუშაკებისათვის შესაძლებლობას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად, კანონით გათვალისწინებულ ადგილებში საქონლის დანაშაულებრივი გაყიდვის დროს.

გარდა ამისა, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საქონლის დანაშაულებრივი გაყიდვა შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ საწყობებში, ბაზებში, დამხმარე სათავსოებში და ა. შ., არამედ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების სავაჭრო დარბაზებშიც. მაღაზიის მუშაობის ძირითადი წესების თანახმად, საქონლის გაყიდვა მაღაზიაში წარმოებს ყველა მოქალაქისათვის საერთო წესით. სწორედ ამ წესის დარღვევით განპირობებულია განსახილველი ნორმის უშუალო ობიექტისათვის (ვაჭრობის და მყიდველთა ინტე-

³ იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“. 1983, № 2, გვ. 17.

⁴ იხ. ა. ბონდარენკო, სისხლის სამართლებრივი ბრძოლა ვაჭრობის წესების დარღვევასთან, კიევი, 1985, გვ. 15-16.

რესებისათვის მოსახლეობის მომარაგებაში საერთო წესით და სრული ასორტიმენტით) ზიანის მიყენება; მისი საზოგადოებრივი საშიშროება და მართლსაწინააღმდეგობა. ამიტომ საქონლის გაყიდვა შეიძლება კვალიფიცირებული იქნეს საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლის თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ირღვევა ყველა მყიდველისათვის საერთო წესით ღია მიყიდვის პრინციპი. აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლის თანახმად, დანაშაულებრივი არ იქნება საქონლის გაყიდვა თუნდაც არასათანადო ადგილიდან თუ ამ დროს არ ირღვევა ზემოთ ხსენებული პრინციპი.

ამასთან, ასეთი ვაჭრობა, როგორც წესი, განპირობებულია საწარმოო ინტერესებით. მაგალითად, საქონლის გაყიდვა დამხმარე ნაგებობებიდან სხვა განყოფილებების განტვირთვისა და მყიდველთათვის მალაზიაში თავისუფლად შეღწევის უზრუნველყოფის მიზნით, ან როცა მალფუჭადი საქონელი იყიდება მანქანიდან, საბითუმო ბაზიდან ტრანსპორტირების დროს, რათა გაფუჭება აიცილონ თავიდან, ან მყიდველთა უფრო მეტად მიზიდვის მიზნით იმ საქონლის ნაწილის გაყიდვა ქუჩაში, მალაზიის ეზოში ან სხვა ადგილებში, რომელიც საკმაო რაოდენობითა და ასორტიმენტით არის სავაჭრო დარბაზში. ასეთი შემთხვევები არა თუ არ ხელყოფენ ვაჭრობისა და მომხმარებლის ინტერესებს, არამედ, პირიქით, მიმართული არიან მათი უფრო სრული დაკმაყოფილებისაკენ, რადგან უზრუნველყოფენ საქონლის ფართო ხელმისაწვდომობას მომხმარებლისათვის. ამასთან, ჰქმნიან შედარებით ფართო შესაძლებლობას საქონლის შეძენისა საერთო საფუძველზე სრული მოცულობითა და ასორტიმენტით. რიგ შემთხვევაში კი ისინი თავიდან გვაცილებენ საქონლის დაღუპვას, გაფუჭებას, მაშასადამე, ასევე სასარგებლო არიან ვაჭრობისა და მყიდველის ინტერესებისათვის.

ჩვენი აზრით, ასევე დანაშაულებრივი არ შეიძლება იყოს ცალკეულ მოქალაქეთათვის არა სათანადო ადგილებში იმ საქონლის მიყიდვა, რომელიც ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების სავაჭრო დარბაზებში საკმაო რაოდენობითა და ასორტიმენტით არის თავისუფალ გაყიდვაში. აქ არ შეიძლება იყოს ლაპარაკი საქონლის საერთო წესით გაყიდვის პრინციპის დარღვევაზე, რადგან აქ არ ილახება როგორც ვაჭრობის, აგრეთვე მომხმარებელთა ინტერესები, რადგან ამ შემთხვევაში სხვა მოქალაქენი არ არიან მოკლებული შესაძლებლობას საჭირო საქონლის შეძენისა საერთო წესით.

ამრიგად, საქონლის გაყიდვის დანაშაულებრივად ცნობისას მნიშვნელოვანია არა მისი განხორციელების ადგილი, არამედ მისი სისხლის სამართლებრივი მართლსაწინააღმდეგობა და საზოგადოებრივი საშიშროება, ასეთი კი განისაზღვრება ვაჭრობის წესების დანაშაულებრივი დარღვევის უშუალო ობიექტისათვის ზიანის მიყენებით და განპირობებულია დადგენილი ნორმების საწინააღმდეგოდ საქონლის რეალიზაციით, არა საერთო წესით ღია ვაჭრობის გზით და სრული ასორტიმენტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დანაშაულებრივი ვაჭრობის განსაზღვრის კრიტერიუმში უნდა იყოს არა ადგილი, საიდანაც იყიდება საქონელი, არამედ გაყიდვის ხერხი. ამასთან, ჩვენი აზრით, დანაშაულებრივი გაყიდვა უნდა განისაზღვროს, როგორც საქონლის გაყიდვა დადგენილი ნორმების საწინააღმდეგოდ არა საერთო წესით ყველა მოქალაქისათვის.

ვაჭრობის წესების დარღვევა, თანახმად საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლისა, შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ გაყიდვაში, არამედ მყიდველისათვის საქონლის დამალვაშიც, რომელიც ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი დაინტერესებით.

ჩვენის აზრით, საქონლის დამალვა შეიძლება გამოიხატოს ორი ფორმით, ერთი, როცა პირი, რომლის გამგებლობაშიც არის საქონელი, ჩადენს აქტიურ მოქმედებას, პოტენციური მყიდველისაგან მისი გადაამალვის მიზნით და მეორე, უმოქმედობით, როცა პირი არ ასრულებს ვაჭრობის წესების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამის მოვალეობას, რაც ითვალისწინებს მაღაზიის სავაჭრო დარბაზში, საცალო ქსელში სარეალიზაციოდ შემოსული ყველა საქონლის სრული ასორტიმენტით უწყვეტად მიწოდებას. ასეთ შემთხვევაში მყიდველს ერთმევა შესაძლებლობა შეიძლოს მისთვის საჭირო საქონელი. მაგალითად, აქტიური ქმედობით საქონელი გადაამალული იყო შემდეგ შემთხვევაში: რაიკვებვაჭრობის № 19 მაღაზიის გამგეს ა. ნ. იორდანიშვილს შემოწმების დროს გამოუვლინდა დახლზე ქაღალდის პარკში გადაამალული 1 კგ და 600 გრ. მარცვლოვანი ყავა, რაც ღია ვაჭრობაში არ იყო გამოტანილი. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1982 წლის 18 აგვისტოს განაჩენით ა. ნ. იორდანიშვილი მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლის I ნაწილით.

სადაოდ მიგვაჩნია ნ. ა. გარაყას და ვ. გ. კუჩერის თვალსაზრისი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ უმოქმედობით საქონლის გადაამალვა შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ თანამდებობის პირის მიერ⁵.

მაღაზიის მუშაობის ძირითად წესებში და არც რაიმე სხვა ნორმატიულ აქტში არ არის ნათქვამი, რომ სავაჭრო დარბაზში სრული მოცულობითა და ასორტიმენტით საქონლის მიწოდება მხოლოდ და მხოლოდ დირექტორის, მაღაზიის სექციის გამგის ან სხვა რომელიმე თანამდებობის პირის მოვალეობაა. მაღაზიის მუშაობის ძირითადი წესების 105-ე პუნქტში კი პირდაპირ არის ნათქვამი, რომ გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მაღაზიაში საქონლის გაყიდვაში მუდამ არსებობა და სამუშაო დღის განმავლობაში საქონლის მარაგის დროულად შევსება.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, გამყიდველს კონკრეტულად ეკისრება აქტიური მოქმედებების შესრულება, მაღაზიაში არსებული საქონლის სრული ასორტიმენტის სავაჭრო დარბაზში მუდმივად არსებობის უზრუნველსაყოფად. ამ მოქმედებების შეუსრულებლობა კი, დანაშაულის შემადგენლობის სხვა ნიშნებთან ერთად, არის საქონლის გადაამალვა უმოქმედობის ფორმით. სასამართლო პრაქტიკაში ვაჭრობის რიგითი მუშაკების მიერ უმოქმედობის ფორმით საქონლის გადაამალვა სწორად კვალიფიცირდება როგორც ვაჭრობის წესების დარღვევა. მაგალითად, შემოწმების დროს ქ. თბილისის № 38 სასურსათო მაღაზიის გამყიდველს მ. ი. კობტაშვილს მაღაზიაში უბოვებს ანგარებითი დაინტერესებით გადაამალული 2045 ქილა მწვანე ლობიოს კონსერვი. ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლომ 1986 წლის 16 იანვრის განაჩენში სწორად დააკვალიფიცირა მის მიერ ჩადენილი ქმედება და გაასამართლეს საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლის I ნაწილით

⁵ ნ. ა. გარაყა; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, მოსკოვი, 1988, გვ. 13; ვ. გ. კუჩერი, ვაჭრობის წესების დარღვევი დანაშაულობანი, მოსკოვი, 1987, გვ. 17.

თუმცა, არ უნდა უარყოთ ის ფაქტი, რომ თანამდებობის პირებს საქონლის გადამალვის უფრო ფართო შესაძლებლობები აქვთ, მათ შორის საქონლის ღია გაყიდვაში გაშვების შეჩერების გზით. მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონის საზღვების № 129 გაერთიანების უფროსმა ე. მინდოლაურმა ანგარებითი მიზნით არ გამოიტანა გასაყიდად 7182 მანეთის სხვადასხვა საქონელი. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1985 წლის 16 ივლისის განაჩენით იგი მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 169³ მუხლის I ნაწილით.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, თანამდებობის პირების მიერ უმოქმედობის ფორმით ჩადენილი საქონლის გადამალვა, როგორც წესი, საზოგადოებრივად უფრო საშიში ხასიათისაა, რადგან ხშირად დაკავშირებულია დიდი რაოდენობით დეფიციტური საქონლის გადამალვასთან. მსგავს შემთხვევაში ასეთი მოქმედებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი, ასევე მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესებისათვის არსებითი ზიანის მიყენებისას უნდა დაისვას საკითხი თანამდებობრივი დანაშაულისათვის მათი პასუხისმგებში მიცემის შესახებაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის გადამალვის ხერხები და ადგილები შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი იყოს. ერთ შემთხვევაში, სავაჭრო საწარმოების მუშაკები უბრალოდ აჩერებენ საქონელს საწყობებში ან მალაზიის დამხმარე სათავსოებში; სხვა შემთხვევაში საქონლის გადამალვის ხერხია, როცა ვითომ გაყიდულ საქონელზე შეადგენენ შენახვის ქვითრებს და გამოკიდებენ წარწერას „გაყიდულია“, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ავეჯის მალაზიებში დიდი ნივთებისათვის, აგრეთვე მაცივრების, პიანინოების და სხვ.

ხშირად გამყიდველები უარს ეუბნებიან მომხმარებელს საქონლის მიყიდვაზე, იტყუებიან საქონელი უვარგისია ან იმიზეზებენ საქონლის ფასის შესახებ მონაცემების დაუზუსტებლობას. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს საქონლის დანაშაულებრივ გადამალვას.

თუ საქონელი შემოვიდა სავაჭრო დარბაზში, ხოლო გამყიდველები განმარტავენ, რომ თვითონ სურთ მისი შექმნა, მაგრამ არ აქვთ ადმინისტრაციის სათანადო ნებართვა, ასეთ შემთხვევაშიც სახეზეა საქონლის გადამალვა, რადგან მალაზიის მუშაობის ხსენებული წესების თანახმად, მალაზიის მუშაკებისათვის საქონლის მიყიდვა ყველა შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციის ნებართვითა და კონტროლით. მაშასადამე, ამ წესის დარღვევა უნდა განვიხილოთ როგორც მყიდველებისათვის საქონლის გადამალვის მოქმედებად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1983 წლის 17 მარტის № 3 დადგენილებაში მიუთითა, რომ მყიდველისათვის საქონლის გადამალვის ადგილი შეიძლება იყოს არა მარტო ვაჭრობის ან საზოგადოებრივი კვების საწარმოს (ორგანიზაციის) სასაწყობო ნაგებობები, სადაც საქონელს ინახავენ სავაჭრო დარბაზში მიწოდებამდე, არამედ სხვა ნაგებობებიც და აგრეთვე, სათავსოებიც, რომლებსაც იყენებენ საქონლის დასამალავად (სავაჭრო დარბაზების სხვადასხვა მოწყობილობა, საწარმოო და დამხმარე ნაგებობები, სამსახურებრივი კაბინეტები, დერეფნები, სამეურნეო ეზოები, მინაშე-
5. „საბჭოთა სამართალი“ № 5

ნები და ა. შ.)⁶. აქვე უნდა ითქვას, რომ საქონლის გადამალვა შეიძლება სულ სხვადასხვა ადგილას, მაგალითად, დახლის ქვეშ, ხალათის ჯიბეში, სხვა საქონლის უკან, სხვა საქონლის შიგნით, ვიტრინის უკან და ა. შ. როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, სახალხო სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში სწორად აკვალიფიცირებენ ყველა ასეთ მოქმედებას, როგორც მომხმარებლისათვის საქონლის დამალვას, მაგალითად, ნ. ა. ქავთარაძემ, რომელიც ქ. თბილისის № 3 უნივერსიტეტში მუშაობდა საკონდიტრო ნაწარმთა გამყიდველად, ვიტრინის უკან გადამალა 971 მანეთის სხვადასხვა საქონელი. სასამართლომ ნ. ა. ქავთარაძის მოქმედება შეაფასა, როგორც საქონლის დანაშაულებრივი გადამალვა.

ვაჭრობის წესების დარღვევისას საქონელი შეიძლება გადაიმალოს არა მარტო მოცემული სავაჭრო საწარმოს კუთვნილ ტერიტორიაზე, არამედ სხვა ადგილებშიც, სავაჭრო საწარმოს გარეთ, მაგალითად, იმ სათავსოებსა და მიწაშენებში, რომლებიც მალაზიასთან ახლოა, ან ვაჭრობის სხვა საწარმოებში, სახლში, ავტომანქანაში და ა. შ. მაგალითად, უკრაინის სსრ ერთ-ერთმა სახალხო სასამართლომ მომხმარებლისათვის საქონლის დამალვის გამო მსჯავრი დაადო მალაზიის დირექტორს, რომელიც საქონელს მალავდა მალაზიის უკან მდებარე სარდაფში, რკინის ყუთში წარწერით „ფრთხილად, ძაბვას!“⁷.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს სსრ სსკ 169^ა მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს სად და როგორ არის დამალული საქონელი, მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი ქმედობის შედეგად მომხმარებელი მოკლებულია საჭირო საქონლის შეძენის საშუალებას.



⁶ იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული“, 1986, გვ. 650.

⁷ „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1984, № 4, გვ. 37.



ინფორმაცია

„სამართლებრივი კულტურა“

ასე ეწოდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის „კულტურული ინიციატივის“ ფონდში შექმნილ ახალ კომისიას. შეგახსენებთ, რომ იგი შექმნილია კულტურის, მშენებლობის საბჭოთა ფონდებისა და ამერიკელი მილიარდების, გამოჩენილი ეკონომისტის ჯორჯ სოროსის ფონდის მიერ კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საბჭოთა საზოგადოებრიობის ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსებისათვის.

ახალი კომისიის შემადგენლობაში 18 ექსპერტი შედის. აქ არიან მწერლები, იურისტები, უურნალისტები, მეცნიერები. ისინი შეაფასებენ პროექტებს და რეკომენდაციას გაუწევენ ფონდის გამგეობის წინაშე, რათა ისინი დააფინანსონ. ექსპერტთა შორის არიან ა. პრისტავკინი, ნ. ბელიაევა, ა. იაკოვლევი, ა. ვაკსბერგი, ი. შჩეკოჩინი, ბ. ყურაშვილი.

ჩვენი მიზანია, — თქვა კომისიის თავმჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ერნესტ ამეტისტოვმა — ხელი შევუწყოთ ადამიანის პიროვნების დამოუკიდებელი ღირებულებებისადმი საზოგადოების აღზრდას ჭეშმარიტი პატივისცემის სულისკვეთებით. საზოგადოებაში ისეთი სიტუაცია უნდა შევქმნათ, რომ ადამიანებმა იცოდნენ თავიანთი უფლებები, მჭიდრეთ მათი გამოყენების სურვილი და ამ სურვილის განხორციელების რეალური შესაძლებლობანი. ეს, ჩემი აზრით, არის სწორედ სამართლებრივი კულტურის შინაარსი.

მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება ადამიანის უფლებების პროპაგანდის დაფინანსება. ამას წინათ, კომისიის რეკომენდაციით ფონდმა დააკმაყოფილა პირვე-

ლი ასეთი განაცხადი: გამომცემლობა „მეუღუნარდნიე ოტნოშენიემ“ წინადადება შემოიტანა ადამიანის უფლებების შესახებ ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების მასობრივი ტირაჟით გამომცემის თაობაზე.

მეორე მიმართულებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირში სამართალდაცვითი საქმიანობისადმი ხელის შეწყობა. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დააფინანსოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ადამიანის უფლებების საზოგადოებრივ კომისიასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს მოქალაქეთა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევის გამო შემოსულ საჩივრებს.

ახალი კომისიის მუშაობის შემდეგი მიმართულებაა დაენშაროს ადამიანებს სამართლიანობის აღდგენაში. ფონდს განზრახული აქვს მატერიალური დახმარება გაუწიოს „მემორიალს“, ასევე დააფინანსოს ეგრეთ წოდებულ დისიდენტთა საქმეების გადასინჯვა, რომლებიც დაზარალებულნი 60-70-იან წლებში იმ იდეალებისათვის ახლა გარდაქმნა რომ ახორციელებს.

შემდგომში კომისია „სამართლებრივი კულტურა“ აპირებს განიხილოს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების შესახებ ალტერნატიული კანონპროექტების დაფინანსების შესაძლებლობის საკითხი. მაგალითად, იმ კანონებისა, რომლებიც ახლა მზადდება, კერძოდ, კანონი სინდისის თავისუფლების, პრესის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“. № 16.

პროფკავშირული აქტივი და სამართლებრივი სწავლება

საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე მოეწყო პროფკავშირების სისტემის მუშაკთა გადამზადება.

პროფკავშირების სისტემის მუშაკთა გადამ-

ზადებაში აქტიურად მონაწილეობდა თვით საქართველოს პროფსაბჭო. რესპუბლიკურ კურსებზე ლექციები წაიკითხეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ტ. როსტიაშვილმა და პროფსაბჭოს სამართლებრივი მუშაობის განყოფილების გამგემ ბ. აბაშიძემ.

იმ მსმენელთა მიმართ, რომლებიც სისტე-



მატურად არღვევდნენ დისციპლინას, არ ეწე-
რებოდნენ ლექცია-მოსხენებებს და წარმაცობ-
დნენ, გატარდა მთელი რიგი ადმინისტრაცი-
ული ღონისძიებები. ზოგიერთი გამოუსწორე-
ბელი მსმენელი გაირიცხა კიდევ კურსებიდან,
ხოლო შემდგომი რეაგირებისათვის ბრძანების
ასლები გაეგზავნა საქართველოს პროფსაბჭოს,
რაც მკაცრი მსჯელობის საგნად იქცა საქარ-
თველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმზე. აქვე მოწი-
ნავე და აქტიური მსმენელები წახალისებულნი
იქნენ სხვადასხვა ფორმით.

აღინიშნა რა საქართველოს სსრ იუსტიციის

სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგა-
ნოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების
მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების
კარგი მუშაობა, მისი დირექტორი მამია ხა-
რიტონის ძე კომუნისტური პარტიის ცენტრის
საკითხებზე პროფკავშირული აქტივის სწავ-
ლების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის
დაჯილდოვდნენ საქართველოს პროფსაბჭოს
პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ბ. ბახტაძე

პრაქტიკოსი იურისტები მოსწავლეებთან

იდეურ აღმზრდელობით მუშაობას დიდი
პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვე-
ნი ქვეყნის მომავალსა და საზოგადოებას მხო-
ლოდ სულიერად ჯანსაღი ახალგაზრდობა სჭირ-
დება. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო დიდი
როლი ენიჭება სამართლებრივი ცოდნის გა-
უჭიკბინება-განმტკიცებას. ადამიანები რაც
შეიძლება უკეთესად უნდა ერკვეოდნენ თავი-
ანთ უფლება-მოვალეობებში, იცოდნენ რა
არის დანაშაული, რა ისჯება სისხლის სამართ-
ლის წესით და ა. შ. საამისოდ კი სამართალ-
დამცავ მუშაკებს მხარში უნდა ედგეს სკოლა,
ოჯახი, საზოგადოება.

ამასწინათ ხაჩხერის რაიონის კულტურის
ხანლში ადმინისტრაციული ორგანოების ხელ-
მძღვანელი მუშაკები შეხვდნენ რაიონის სა-
შუალო სკოლების უფროს კლასელებს, პედა-

გოგებს, ხადაც საინტერესო სჯა-ბაასი გაიმარ-
თა სამართლებრივ საკითხებზე. ამ ღონისძიე-
ბაში მონაწილეობდნენ რაიონის პროკურორი
ბ. შიშინი, სახალხო მოსამართლე ნ. ზამ-
ბახიძე, შინაგან საქმეთა განყოფილების უფ-
როსის მოადგილე რ. პაპუნაძე, შინაგან საქ-
მეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა
ინსპექციის ინსპექტორი ბ. დავაძე. ლექციის
თემა იყო „არასრულწლოვანი და მისი სამართ-
ლებრივი აღზრდა“, რასთან დაკავშირებით შე-
მოსულ კითხვებსაც ამომწურავად უპასუხეს
პრაქტიკოსმა იურისტებმა. ამგვარი პროფილაქ-
ტიკური მუშაობის მსგავსი ღონისძიებები კვლა-
ვაც გაგრძელდება.

თ. შიშინი

ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„ხოვ არ შევცდით, ვატივცემოლო მოსამართლენო!“

უფრნალ „საბჭოთა სამართლის“ 1988 წლის მეექვსე ნომერში რუბრიკით — „რა ვუთ-
ხრათ ასეთ სამართალს?!“, დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც შეეხებოდა თბილისის
ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ 1988 წლის 25 აპრილს განხილულ სა-
მოქალაქო სამართლის საქმეს. როგორც წერილიდან ჩანდა, ამ საქმესთან დაკავშირებით აღძრულ
და-ძმა ვოსკანოვების ხარჩელს თბილისის ოქტომბრის რაიონული საბჭოს აღმასკომთან, საც-
ხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების დადგენის შესახებ, სახალხო სასამართლომ უსაფუძ-
ვლოდ უთხრა უარი.

უფრნალში გამოქვეყნებული წერილის საფუძველზე შესაბამისმა ზემდგომმა ინსტანციებმა
ზედამხედველობის წესით ოპერატიულად შეისწავლეს აღნიშნული საქმე და გაიზიარეს რე-
დაქციის აზრი. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ბ. კვიციანიამ რედაქციას
აცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტის საფუძველზე თბი-

ლისის საქალაქო სახამართლოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 14 აპრილის დადგენილებით გააუქმა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სახამართლოს 1988 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება და თბილისის საქალაქო სახამართლოს სამოქალაქო საქმეთა სახამართლო კოლეგიის იმავე წლის 26 მაისის განჩინება ამ საქმეებთან დაკავშირებით. ამავე დადგენილებით საქმე ხელახალი განხილვისათვის დაექვემდებარა ოქტომბრის რაიონის სახალხო სახამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელიც, ცხადია, ახლა მინც იტყვის თავის კანონიერ, შეუვალ და დასაბუთებულ სიტყვას.

კრიტიკული განცხადების შესახებ

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

თავდასხმა გლაზგო-ლონდონის საზოგადოებრივი მატარებელზე

პოლ ბაკი

როცა ფული არასასურველია...

1988 წლის 7 აგვისტოს 18 საათსა და 50 წუთზე ფოსტის მოსამსახურეებმა დაიკავეს ადგილები გლაზგოდან (შოტლანდია) ლონდონისაკენ მიმავალ საფოსტო ვაგონებში. ხუთი მათგანი ჩაიკეტა ერთ-ერთ ვაგონში, რომელშიც გამგზავრებისას ჩაბარებული ფასეული ნივთები და საბანკო ბილეთებით სავსე ჩანთები იყვნენ. ეს ვაგონი პირდაპირ ელმავალზე იყო მიბმული.

ზუსტად 19 საათზე აბერდინიდან მოსული მატარებელი გასცილდა გლაზგოს ცენტრალური ვაგონის № 2 ბაჟანს. 35 კილომეტრის შემდეგ კერსტერსში, ასევე კერლაისლეში მატარებელს ახალი ვაგონები მიაბეს. მალე შემადგენლობამ გადაკვეთა შოტლანდიის საზღვარი და შევიდა ინგლისის ტერიტორიაზე. სულ 12 ვაგონში 72 ფოსტის მოსამსახურე იყო.


7 აგვისტოს, ოთხშაბათის იმ საღამოს საფოსტო ჩანთებში არაჩვეულებრივად ბევრი ფული იყო. დღესასწაულთან დაკავშირებით ხუთშაბათიდან კვირის ჩათვლით უკვე დღეები იყო, ამიტომ სამხრეთში მთელი ის ფული გა-

აზღავნეს, რაც ინგლისელმა ტურისტებმა დახარჯეს. შოტლანდია უშვებს თავის საკუთარ ფულს, ხოლო ბანკები, მართალია, ლებულობენ ინგლისურ ბანკოტებს, მაგრამ მათ არ ანაღლებენ. ამიტომ მთელი ინგლისური ფული ლონდონის ფოსტის მეშვეობით იგზავნება დედაქალაქის სხვადასხვა საბანკო დაწესებულებებში, სადაც ან ბრუნვავი უშვებენ, ან ანაღაურებენ.

640 კილომეტრიანი გრძელი მარშრუტის დროს ამანათები და დაზღვეული გზავნილები, ასევე საბანკო ბილეთებით სავსე მწვანე ჩანთები გამოაცალკევეს ჩვეულებრივი კორესპონდენტებიდან და თანდათან გადაიტანეს შემადგენლობის დასაწყისში, ამისათვის გათვალისწინებულ ვაგონში. მთავარი დაშხარისხებული ფრენკ დიურსტი რეგისტრაციაში ატარებდა ტვირთს და აძლევდა თავის თანამშრომლებს, რომლებიც გადაარჩევდნენ მათ და ალაგებდნენ დიდ თეთრ ჩანთებში. შემდეგ ამ ჩანთებს ვაგონის ბოლოში მოთავსებულ ნის ყუთებში აწყობდნენ და კეტავდნენ ბოქლომებით. იმ საღამოს იმდენი ჩანთა იყო, რომ ყუთები პირთამდე გაიტენა. ამიტომ პრისტონში, უარინ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. უფრო. „საბჭოთა №№ 1-6, 1989 წლის №№ 1, 2.

სამართალი“, 1987 წლის №№ 2-6, 1988 წლის



გტონში, კრევში, თემუორტში და რეგბიში ჩვეულებრივი გაჩერების შემდეგ 60 დამატებითი ჩანთა პირდაპირ საფოსტო ვაგონის იატაკზე ეყარა და ფეხებში ედებოდნენ მოსამსახურეებს.

უკეთესი შუქი

კრევის სადგურზე ჯეკ მილსმა თავის ცეცხლფარეშ დევიდ უაიტისთან ერთად ჩაიხარა 1 B 2000 დიწელის თომავალი. მატარებელმა კრევი ჩამოიტოვა 0 საათსა და 30 წუთზე. დგებოდა 8 აგვისტო. თემუორტში და რეგბიში შეჩერების შემდეგ მატარებელი გაჩერებების გარეშე გაემართა პირდაპირ ლონდონისაკენ. საბოლოო პუნქტამდე ერთი საათით ადრე მატარებელმა ჯიარა სადგური ლიდაიტონ ბიუზარი. სადგურების ბაქნებზე მიმაგრებული ბადურები ლემულობდნენ მატარებლიდან გადმოყრილ საფოსტო ჩანთების ასხმულას, ხოლო სპეციალური საკიდებიდან ხსნიდნენ საფოსტო ჩანთებს და ვაგონებში შეჭმონდათ. ფოსტის მსახურნი ხშირად სადგურებზე სტოვებდნენ არა მარტო ამა თუ იმ კონკრეტული სადგურის, არამედ სხვა პუნქტების მისამართით გაგზავნილ ჩანთებს. თანამშრომლები ასე მოქმედებდნენ მთელი მარშრუტის მანძილზე: დანავებულები წერილების გადაჩრევას და გადახარისხებას ბევრი დრო მიჰქონდა. იმ ვაგონში, რომლითაც ფული მიჰქონდათ, ფრენკ დიურსტი ამთავრებდა საბოლოო შემოწმებას.

იმ დროს, როცა მატარებელი საათში 120 კილომეტრი სიჩქარით უახლოვდებოდა სეარსს, მილსმა შორს შენიშნა ყვითელი შუქნიშანი. სიგნალი კი მწვანე უნდა ყოფილიყო. ყვითელი შუქი იმას ნიშნავდა, რომ შემანქანეს თანდათან უნდა დაემუხრუჭებინა, რათა მატარებელი გაეჩერებინა მომდევნო შუქნიშნამდე, რომელიც უქვევალად წითელი უნდა ყოფილიყო. სწორედ ასეც მოხდა. მილსმა მატარებელი გააჩერა პირდაპირ წითელ შუქნიშანთან. მან აბა, რა იცოდა, რომ ხელთათმანითა და შავი ქაღალდით იყო დაფარული მწვანე სინათლე, ხოლო შუქნიშნებზე სახელდახელოდ დაყენებული ფანრები აჩვენებდნენ ყვითელ და წითელ სიგნალებს.

შუალამის გადასულის მ საათი და 30 წუთი იყო.

მილსმა უთხრა უაიტის:

— ისართან ტელეფონი უნდა იყოს. დარეკა და გაიგე, რამდენ ხანს უნდა ვიდგეთ.

„ოკეი!“

უაიტბი ჩამოხტა თომავლიდან და ფრივოლური მელოდის სტეფით ისრისაკენ გაემართა. წესების მიხედვით ტელეფონით უნდა გაერკვია გზა მართლა დაკავებული იყო თუ სიგნალიზაცია გამოვიდა წყობიდან, მაგრამ აიღო თუ არა უფრმილი, უაიტბი მიხვდა, რომ ტელეფონი არ მუშაობდა.

შებრუნდა და თომავლისკენ გახწია. უცებ მეორე ვაგონის ახლოს ვიღაც შენიშნა, რომელიც ფოსტის მოსამსახურესა თუ რკინიგზელს ჰგავდა. ხელში სასიგნალო აღმები ეჭირა.

— ძველო, მანდ რას აკეთებ? — დაუძახა უაიტბიმ და მისკენ გაეშურა.

პასუხი არ იყო. უცნობმა ანიშნა თან გამომყვირო და მიწაყრილზე აცოცდა. უაიტბი კი არაფერში დაეკვებულა, რადგან უკანასკნელ თვეებში დამამოებით რკინიგზაზე ხშირად ხედავდა ადამიანებს, რომლებიც სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ.

ვიდრე უცნობს გაჰყვებოდა, უაიტბიმ მილსონს ანიშნა, რომ ტელეფონით ვერ დარეკა. სწორედ ამ მომენტში უცნობის თავზე კაპიუშონი შენიშნა. უაიტბიმ გაკვირვებაც ვერ მოახწრო, რომ მიწაყრილიდან ძირს ჩააგდეს. იქ ორმა ტიპმა შეიძყრო, ერთ-ერთმა მათგანმა კი ხელი პირზე დააფარა უაიტბის.

— მცირე ჩქამი და გაგათავებთ! — გააფრთხილეს მუჭარის ტონით.

შენიშნა თუ არა, რომ ორივე ხელკეტებით იყო შეიარაღებული, უაიტბიმ მოგუდული ხმით ამოიკვნესა:

— ოკეი, ძველო. მე თქვენთანა ვარ.

მეორემ გაიცინა, მაღლობა უთხრა უაიტბის და მისამართი სთხოვა, მოგვიანებით, როცა თავდასხმა წარმატებით დასრულდება, ფულს გამოგიგზავნიო.

თომავლის კაბინაში მილსს კიბეზე ფეხის ხმა შემოესმა. შემობრუნდა და დაინახა კაპიუშონიანი კაცი, რომელსაც თეთრ ნაქერში გახვეული რკინის მილი ეჭირა ხელში. მილსი თავის დაცვას ეცადა და მოწინააღმდეგე კუთხეშიც კი მოიქცია, მაგრამ უკნიდან თავში ჩახტხეს, მუხლები მოეკვეთა და იატაკზე მოადინა ზღართან.

უაიტბი კაბინაში მიიყვანეს. მან დაინახა, რომ გახისხლიანებული მილსი კუთხეში იტარუნჩებოდა. აქვე იყო რვა თუ ცხრა კაცი, რომლებსაც სპეციალური ტანსაცმელი ეცვათ, სახეებზე კაპიუშონები ჩამოეფარებინათ და მხოლოდ თვალები და უჩანდათ. უაიტბი და მილსი კაბინასა და სამანქანო განყოფილებას შორის გახსხველში შეაგდეს, იატაკზე დაჰყა-



რეს და ერთმანეთზე ხელბორკილით გადააბეს. რომელიღაც თავდაშისმელს შეეცოდა მილსი და სახეზე სისხლი მოსწმინდა.

**„მე შენ ცოტაოდენ ნადავლს
გამოგვიგზავნი“**

ერთ რკინიგზელს, რომელიც ამ თავდასხმამაში მონაწილეობდა, მატარებელი უნდა წიყყვანა, მაგრამ როცა მართვის პულტს მიუჯდა, ვერ შეძლო მანქანის დაძვრა. ცხადია, ნერვიულობისაგან თავს ვეღარ ფლობდა და ვერ მიხვდა, რომ ექსტერნული მუხრუჭის სახელური მოძრუნებული იყო და მთელი საშუაარსები სისტემაში შეიჭრა და ცლილია. მოიყვანეს მილსი და უბრძანეს თბომავლის ძრავის ამოშავება. მატარებელი ადგილიდან დაიძრა. მძარცველები შემანქანეს შემოეხვივნენ და ასეთ ბრძანებებს აძლევდნენ:

— თავი დახარე! მალა არ აიხედო! იყურე მხოლოდ შენ წინ!

— როცა გეტყვი სდექ, მატარებელს, გააჩერებ, — დაუმატა მძარცველთა მეთაურმა ჰელმა.

ვიდრე უაიტბი და მილსი ხელბორკილებით გასასვლელში იყვნენ, მეორე ვაგონი მესამეს ჩამოხსნეს. თბომავალი და ორი წინა ვაგონი წელა მიდიოდა ბრიდგო ბრიჯის სადგურიდან 800 მეტრზე არსებულ თეთრ ბოძამდე, სადაც მათ ბრიუს რეინოლდსი და ბანდის სხვა წევრები ელოდნენ. მილსმა ბრძანებისაგან გააჩერა მატარებელი. ამის შემდეგ მილსი და უაიტბი აიძულეს გადმოსულიყვნენ თბომავლიდან, რკინიგზის ახლოს პირველ დააწინეს მიწაზე და ყარაულად რონად ბიჯი დაუყენეს. მან შეხედა მილსს და მშვიდად უთხრა:

— მეგობარო, შენივე ინტერესებისათვის იყავი წყნარად. აქ არიან ისეთი ტიპები, რომლებიც არ ხუმრობენ!

ერთი წუთის შემდეგ დაუმატა:

— შენი ვინაობა და მისამართი მითხარი. როცა ყველაფერი დამთავრდება, ცოტაოდენ ნადავლს გამოგოგზავნი.

მოვიდა ერთ-ერთი თავდასხმელთაგანი.

— თუ გსურს, შეგიძლიათ მოსწიოთ, — თქვა მან.

უაიტბიმ ისარგებლა შემთხვევით და სიგარეტით გააბოლდა.

— მომცემ ერთ ცალს? — ჰკითხა მეორე მძარცველმა.

უაიტბიმ კოლოფი და ხანთებელა გაუწოდა.

იმ ვაგონის მოსამსახურებს, სადაც ფული ინახებოდა, გარეთ რა ხდებოდა, ფაქტობრივად არაფერი შეუძინევიათ, რადგან ხელ ცოტახნის წინ რკინიგზაზე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა და ხშირ შეჩერებებს მიჩვეულები იყ-

ნენ. ფოსტის მუშაკთა უმრავლესობა მუშაობია ასეთ პირობებს იმდენად შეეჩვია, რომ ხშირად იმხანაც კი ვერ ამჩნევდნენ, მატარებელი იდგათუ მიდიოდა. ამ ღამეს ერთადერთ უჩვეულო ამბად მიჩინეს მსუბუქი ბიძგი ვაგონზე, რაც ვაგონის ჩამოხსნისას საპაერო მუხრუჭების შლანგმა გამოიწვია. რადგან მთავარ დახმარების ხელს მემანქანესთან სხვა კავშირი არ ჰქონდა, განვაშის სიგნალი ჩართო. ამის შედეგად მატარებელმა სვლა განაგრძო, მაგრამ ცოტახნის შემდეგ ისევ გაჩერდა.

როგორც კი მატარებელი გაჩერდა, ვაგონის ფანჯრები ჩაიხსნება.

— თავდასხმა! — დაიყვირა ერთ-ერთმა მოსამსახურემ.

დიურსტის ცდილობდა ერთი ფანჯარა საფოსტო ტომრით ამოეყოლა, თან სხვებს მოუწოდებდა ცენტრალური ნაკვეთის კარებებისათვის ურდულეები გაეყარათ. გვერდითი კარები უკვე გასაღებით იყო დაკეტილი. გარედან უხეში ხმა მოისმა:


— ამ სალახანათაგან ერთ-ერთი კარების ურდულით გადაკეტვას ცდილობს. გახსენით ცეცხლი!

ნიღბიანი მალაღი მამაკაცი ნაჯახს ატრიალებდა თავს ზემოთ და ისე მიიკვლევდა გზას. დიურსტი თავის დაცვას ცდილობდა, მაგრამ ვიღაცამ უკნიდან ჩაარტყა.

**ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ
აუცილებელ შემთხვევაში**

ჰუდის მეთაურობით მძარცველები ვაგონში შეცვიდნენ. ხელკეტების მუქარით მოსამსახურეთა ნეიტრალიზებას რამდენიმე წამი დასჭირდა. ცეცხლსასროლ იარაღს არ იყენებდნენ. გეგმის შემუშავების დროს ეს ერთ-ერთი მთავარი აკრძალვა იყო: გამოვიყენოთ ყველა საშუალება, მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში. ვაგონის ხელში ჩაგდებისათვის გათვალისწინებული იყო წერაქვები, ქსოვილებშემოხვეული რკინის კეტები და ნაჯახები.

საფოსტო მოსამსახურეები გათოკეს, პირში ჩვრები ჩაჩარეს და კუთხეში მიჰყარეს. შემტევ ჩვეულები შედიოდნენ ბრიუს რეინოლდსი, გორდონ ჰუდი, ბასტერ ედვარდსი, ჩიმი უაიტბი, თომას ვისბეი და კიდევ ოთხი ადამიანი, რომლებიც ვერ დააკავეს და უცნობები დარჩნენ. ეს ჩვეულები სწრაფად შეუდგა საქმეს, დამტვირის უწყობის საკეტები, ამოიღეს ჩანთები და იქვე მიწყაილთან მომდგარ სატვირთო მანქანაში ჩაყარეს. მთელი ამ ხნის მანძილზე როჭერ კორდრი შემართული იდგა გზაზე.



ათ წუთში ყველაფერი დამთავრდა. უაიტბი და მილსი თბომავლის კაბინაში მიიყვანეს. მილსი ისე იყო დაუძლურებული, რომ განგსტერები იძულებული გახდნენ ხელით შეეთრიათ იგი. ორივე გააფრთხილეს:

— ნახევარი საათის მანძილზე არაფერი იღონეთ. ყარაულს ვტოვებთ. თუ გაინძრევით, ლიკვიდირებული იქნებით!

ფოსტის სხვა მოსამსახურეებმაც ანალოგიური გაფრთხილება მიიღეს.

როი ჭეში პასუხს აგებდა ავტორანსპორტისათვის და ამიტომ მთელი ოპერაციის მანძილზე მანქანები ჩართული და მზადყოფნაში ჰქონდა. მაგრამ ყველაფერი გართულეების გარეშე მოხდა, ბანდიტებმა დატვირთეს 120 საფოსტო ჩანთა და წავიდნენ. სოფელში ჩვეულებრივმა სიჩუმემ დაიხადგურა, რაც განთიადზე ჩიტების გაღვიძებას მოასწავებდა.

დამხარისხებლები ბანაბროკანი ტაბიანთ საქმეს

როცა სეარსში სამუხრუჭე შლანგი ჩახსნეს, მატარებლის უფროსმა ტომ მილერმა, რომელიც უკანასკნელ ვაგონში იმყოფებოდა, შეინიშნა, რომ მანომეტრი ნულს უჩვენებდა. იგი ჭეშზე ჩამოვიდა, რათა გაეგო თუ რაში იყო საქმე. გაოცდა, როცა დაინახა, რომ ორი წინა ვაგონი საღვალე გამჭრალიყო! მაშინვე იგრძნო საფრთხე, რასაც ექსპრესის ათი უძრავი ვაგონი ქმნიდა გზაზე. და სწრაფად იკეპანა ისრისაკენ, რათა ტელეფონით დაერეკა. მაგრამ როგორც უაიტბიმ, მატარებლის უფროსმაც დაინახა, რომ ტელეფონის ხაზი გადაჭრილია და დარეკვა შეუძლებელი იყო. მაშინ, მსგავსი სიტუაციებისათვის წესების თანახმად, მან აიღო პეტარდები, წითელი მასუქები და რკინიგზის პირს გაჰყვა ლიპიტონ ბიუზარის მიმართულეებით და დადგენილ მანძილზე დააწყო მასუქები, რომლებიც იუწყებოდნენ საფრთხის არსებობას. 1500 მეტრზე გადაღობა გზა, რათა მომავალ მატარებელს გაჩერების დრო ჰქონოდა და არ დაჯახებოდა რკინიგზაზე მდგარ ვაგონებს.

მძარცველების წასვლის თუხთმეტი წუთის შემდეგ დოურსტმა გადაწყვიტა ბედი ეცადა. ჭებდა და ფრთხილად გამოიხედა ვაგონიდან, დარწმუნდა, რომ არავითარი ყარაული იქ არ იყო. მაშინ მან ორი მოსამსახურე რკინიგზის ორივე მხარეს გაგზავნა რომელიმე ფერმის საძებნელად. ერთი მოსამსახურე მეპატრონე ხესილ რედინგის ველსიბიენს გადააჯდა და ლენსლიდისაკენ გაემართა.

მას შემდეგ, რაც მილერმა სასიგნალო მასუქები დააყენა, ვაგონებისაკენ გამოხარუნდა,


სადაც დამხარისხებლები თავიანთ საქმეს აგრძელებდნენ, თითქოს არაფერი მომხდარაო. მან განგაში ატება და ყველანი ერთად თბომავლისა და ორი ვაგონის საძებნელად გაეშურნენ. დაინახა თუ არა ისინი, მაშინვე მიხვდა რაც მოხდა და ჩედინგტონისაკენ გასწია. მეორე ლიანდაგზე ნახა მატარებელი, რომელმაც იგი სადგურ ჩედინგტონის სამართავ პოსტთან მიიყვანა. აქედან ესტონში დარეკა და აცნობა თავდასხმის თაობაზე.

ერთი ადამიანის საქმე?

საფოსტო მატარებელზე თავდასხმა, მრავალი მიზეზის გამო, ცნობილ საქმედ დარჩება დანაშაულობათა ანალებში. ამ არაჩვეულებრივ ძარცვას ინგლისში მოჰყვა დანაშაულობათა ახალი სერია, რომლებიც ჰკვიანურად და ტექნიკურად, საქმის ცოდნით იყო მომზადებული. ეს დანაშაული შესრულდა არაჩვეულებრივი მოხერხებულობითა და შესანიშნავი სიზუსტით. ის ფაქტი, რომ ფულის გარდა ვერაფერს მიაგნეს, იმაზე მიუთითებს, რომ ეს დანაშაული მზადდებოდა ხანგრძლივი გეგმის მიხედვით. ამასვე ადასტურებს საიდუმლოების დაცვაც, რაც მოცემული საქმისათვის უჭრუნველყვეს დანაშაულებრივმა წრეებმა. თავდასხმის დასრულებამდე არავითარი ხმა არ გამოსულა; მძარცველებს შორის, როცა ისინი დააპატიმრეს, არ ყოფილა არავითარი მოტყუება და ლალატი. ამას ისიც უნდა დემატოს, რომ ეს იყო მატარებლის მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ძარცვა.

თავდასხმის იდეა იშვა დაახლოებით 1955 წელს. ამ საქმეზე ყველა ნათქვამისა და დაწერილის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი წარმოუდგენლად გაბედული თავდასხმის ორიგინალური გეგმა შეადგინა ერთმა ადამიანმა თუმცაღა იგი მას არ განუხორციელებია. ამ ჰკვიანი ადამიანის სახელი, რომელმაც დიდი თანხა მიიღო და არავითარი სურვილი არ ჰქონია ძარცვაში მონაწილეობის მიღებისა, საიდუმლოებით არის მოცული. კერძოდ, როგორც ჩანს, იგი არც კი იყო დანიტრენებული ამ ოპერაციიდან რაიმე თანხის მიღებით; მისი ერთადერთი სურვილი იყო, რომ საქმე ბრწყინვალედ შესრულებულიყო.

თავდაპირველად ეს გეგმა შესთავაზა მსხვილ ბანდას, მაგრამ უარი თქვეს, რადგან შეძრწუნდნენ ოპერაციის ასეთი გაქანებით. შემდეგ გეგმა დანაშაულებრივ სამყაროში ტრიალებდა რამდენიმე წლის მანძილზე, მაგრამ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომელიც გაბედვდა პრაქტიკულად მის განხორციელებას. ყველაფერი



მით დასრულდა, რომ თვით ავტორსაც კი დაეკარგა გეგმისადმი ინტერესი.

კურსხეული უბრალოების შესახებ

ბრიუს რიჩარდ რეინოლდსმა პირველად ამ პროექტის თაობაზე შეიტყო ციხეში, ალბათ, ერთ-ერთი იმ ბანდის წევრისაგან, რომელსაც თავდაპირველად უნდოდა ამ საქმის გაჩარხვა. ეს იდეა მას ძალიან მოეწონა თავისი უბრალოებით და გადაწყვიტა დაწვრილებით შეესწავლა ციხიდან განთავისუფლებისთანავე.

ბრიუს რეინოლდსი 31 წლის იყო (მთავარ შემხრლებელთა ასაკი მოცემულია თავდასხმის მომენტისათვის). მამამისი პროფკავშირულ ხელმძღვანელად მუშაობდა. ბავშვობაში ძალიან უყვარდა თავისი ძაღლი. მთელი მისი ფსიქოლოგია შეიცვალა მას შემდეგ, როცა მშობლებმა ეს ძაღლი მოუკლეს. ამ დროიდან იგი დაავადდა ფსიქიკური მოშლილობით და მალე გამანწორებელი სახლში მოხვდა, საიდანაც გაიქცა. იგი იყო გამხდარი, საინტერესო ადამიანი, ლაპარაკობდა რბილი ხმით ლონდონელი კოკნების მსუბუქი აქცენტით. მისი მთავარი თვისება ინტელიგენტობა და მომხიბვლელობა იყო. ჰყავდა მშვენიერი ცოლი ფრენსი და საუცხოო ვაჟიშვილი ნიკი, რომლებსაც აღმერთებდა. ცალკე მოქმედებას ერჩია ბანდაში ყოფნა. თავის ორგანიზატორული უნარის წყალობით ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ბანდის მეთაურობას მიღწია. ანტიკვარული მაღაზია ჰქონდა და ამას იყო ამოფარებული. ისწრაფვოდა დანაშაულებრივი ცხოვრებისაკენ, მაგრამ ამასთანავე სძულდა ეს სამყარო და ოცნებობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დასახლდებოდა სამხრეთ საფრანგეთში, სადაც ბევრი მზე და კაზინო იყო!

როცა ციხიდან გამოვიდა, რეინოლდსმა დაამყარა კონტაქტი ერთ თავის ძველ მეგობართან — დუგლას გორდონ ჰულთან.

33 წლის გორდონ ჰულმა თავისი ბავშვობა ლონდონის მჭიდროდ დასახლებულ ისტ-ენდის რაიონში გაატარა. დანაშაულებრივ კიბეზე წელა აღიოდა — სულ უბრალოდ უმძიმეს დანაშაულამდე. თავდაპირველად სწირად იჭერდნენ და თავსაც დამნაშავედ აღიარებდა ხოლმე, მაგრამ თანდათან გამოცდილება შეიძინა და აღიბის ოსტატი გახდა, რამაც ჰულს, მრავალბნელ საქმეში გარეულს, სასამართლო დევნის თავიდან აცილების საშუალება მისცა. მოსიყვარულე დედამ და სიღარიბემ შეუწყო ხელი მის პატივმოყვარე დაუნდობელ და მკვებარა ადამიანად ჩამოყალიბებას. ის იყო ტიპური მარტოდ მოქმედი დამნაშავე იმ დრომდე, ვიდრე ბანდაში შესვლის შესაძლებლობა შეექმნებო-

და. მაღალ, მხარბუკიან, ქერა და უოველთვის უნაკლოდ ჩაცმულს მკაცრი შესახედლობა ექნებოდა რომ არა მისი მომაჩადრებელი ღიმილი. ქალთა საპარიემანტრო ხალხი ჰქონდა. ცოლად ჰყავდა ვინმე პატრიცია კუპერი. უყვარდა პოლიციასთან ძალის მოხიზვეა, აქ იგი იყენებდა მთელ თავის ეშმაკობას და ჰკუხას, მაგრამ იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მაინც დაიჭერდნენ. უნდა ითქვას, რომ, მართალია, პოლიცია ჰუდს თვლიდა გარეთ მყოფ ერთ-ერთ უველაზე საშიშ დამნაშავედ, მაგრამ ცეცხლსასროლ იარაღს არასოდეს ატარებდა.

მოცემული ოპერაციის მეთაურ ჯგუფში დანარჩენი ორი თანამონაწილე რეინოლდსის პირადი მეგობრები იყვნენ — ჩარლზ ფრედერიკ ვილსონი და რონალდ ბასტერ ედვარდსი.

31 წლის ჩარლი ვილსონი იყო სიმპათიური და ჰქვიანი ახალგაზრდა კაცი. კარგი მეუღლე და სამი ქალიშვილის მამა, მათ შორის ერთ-ერთს თანდაყოლილი გულის ავადმყოფობა ჰქონდა, ჩარლი პირად ცხოვრებაში იცავდა რესპექტაბელურობას. ბოსტნეულისა და ხილის სავაჭრო ჰქონდა, მაგრამ ისევე როგორც სხვები, მთელ რიგ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს სჩადიოდა და ამასთან, წევრი იყო ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ბანდისა.

32 წლის ბასტერ ედვარდსი ჯმუხი და ხალიხიანი იყო, საკუთარი კლუბი ჰქონდა და ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ბანდასაც მეთაურობდა.

ვარაუდობდნენ, რომ თავდასხმის შემდეგ ხელში ჩაიგდებდნენ ექვს მილიონ გირვანქა სტერლინგს. ოთხ მეთაურთაგან თითოეულს თითო მილიონი უნდა მიეღო, დიდი თანხა განზრახული იყო „მუშაკებისათვის“ — ასეთი ტერმინი იხმარებოდა ყველას მიმართ, ვინც თავდასხმაში მონაწილეობდა.

შესანიშნავი „ივოლუცია“

ჯგუფის ბირთვი სწორედ სამხრეთ-დასავლეთის ბანდა იყო, იმ წევრების გამოკლებით, რომლებიც ამდაგვარი „საქმეებისათვის“ არ გამოდგებოდნენ. პირველი ჯგუფი ბასტერ ედვარდსმა თავისი ჯგუფის წევრებისაგან შეადგინა. ეს ლონდონის ორი ბანდის შერწყმა როდი იყო, უბრალოდ, მიაჩნდათ, რომ ედვარდსის ხალხს გააჩნდათ აუცილებელი გამოცდილება, რაც ცხადია, შეძენილი ჰქონდათ სამხრეთ საგრაფოებში მატარებლებზე სენსაციური თავდასხმების დროს. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ შეექმნათ რაც შეიძლება ვიწრო ჯგუფი, მთელი გეგმა მხოლოდ ერთ მეთაურს უნდა სცოდნოდა, ხოლო „მუშაკებს“ აცნობდნენ კონკრეტულად მათ წინაშე დასახულ სპეცია-

ლურ ამოცანას. დირექტივები მკაცრი იყო: დაე თითოეულმა შეასრულოს მხოლოდ თავისი და მხოლოდ თავისი როლი: ჩავარდნის შემთხვევაში დახმარებას არ ელოდოს. მართალია, შემდეგ გადაწყდა, რომ ყველა უნდა დახმარებოდა იმას, ვინც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. და უყანასენდელი ინსტრუქცია: დუმილი ნებისმიერ ვითარებაში. ეს მითითება ბრწყინვალედ იქნა დაცული.

დუმილის კანონი

ძალზედ იშვიათად ხდება, რომ დანაშაულებრივ წრეებში არ გავრცელდეს ხმები იმ გეგმების თაობაზე, რომლებსაც მათ წიაღში ამუშავებენ. მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ რაღაც მწადადება და მეტი არაფერი. პოლიციამ სრულიად არაფერი იცოდა, რადგან ცნობების მიმწოდებლებს გადაკრულადაც კი არაფერი უთქვამთ მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე. იმ პირობებში, რომელშიც მწადადებოდა ეს უჩვეულო თავდასხმა, დასმენებმა ამჯობინეს სიფრთხილე, გამდარიყვნენ განზე და დაეცვათ დუმილის კანონი. ერთადერთი ბუნდოვანი გადაკრული სიტყვა წამოცდა ლონდონის აეროპორტში ქურდობისათვის დაპატიმრებულ მაიკლ ბოლს:

— უოველ შემთხვევაში, მსხვილი საქმისათვის არ დაგიკავებთ!

დაიწყო პირველ „მუშაკთა“ შერჩევა.

41 წლის როჯერ ჯონ კორდრი იყო მეტად ტემპერამენტოანი და უკან დასახევი რაღაც გზა უნდა დაეტოვებინა, როცა ამ „საქმეში“ ჩაერთო. მას მიანდა, რომ მისი დანაშაულებრივ გზაზე დადგომა ოჯახური დრამის შედეგი იყო. ხტროდა, რომ ბევრი ფულის შოვნის შემდეგ ცოლს დაიბრუნებდა. ვამოუხსრობელი მოთამაშე ვალებში იყო ჩაფლული. ბანდისათვის მისი ერთადერთი „დადებითი“ თვისება ის გახლდათ, რომ შესანიშნავად იცოდა ხარკინიგზო საქმე. ამას გარდა, კარგი ელექტრონიც იყო.

42 წლის ჯეიმს უაიტი ჩვეულებრივი გარეგნობისა იყო, თუმცა შეიძლება ეს არ გეთქვას, თუ პოლიციის მიერ გადაღებულ მის სურათს დახედავდით. ყოფილ პარაშუტისტს დანაშაულებრივ სამყაროში ერთ-ერთი საუკეთესო წინელებს რეპუტაცია ჰქონდა.

43 წლის რობერტ ველიჩი კლუბის მემბერონე იყო.

44 წლის თომას ულიამ ვისბეი ტოტალიზატორს ფლობდა.

მადლი და ძლიერი ვუბატონი ჯეიმს ჰასელი მზატვარ-დეკორატორად მუშაობდა.

დაიწყო გეგმის დაუსტება. მთავარი ყურად-

ღება დაეთმო შეთქმულების ორგანიზებისათვის აუცილებელი მოსაცემების შეკრებას. საქირი იყო რკინიგზასა და ფოსტის ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ზუსტი ცნობები. ფოსტისა და რკინიგზის მრავალი მოსამსახურე (ზოგი უკვე გადამდარი და ზოგიც სამსახურში მყოფი) ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე იძლეოდა ინფორმაციას. რეინოლდსი რამდენიმე კათალედის დალევის შემდეგ თანამოსაუბრეებისაგან ყველაფერს ოსტატურად შეიტყოდა ხოლმე ზოგიერთმა ასეთმა ნებაყოფლობითმა მუშაკმა მოგვიანებით აქტიურად შეასრულა ოპერაციის სხვადასხვა ამოცანა. მაგრამ ამ დროს არცერთი მათგანისათვის თავდასხმის გეგმა არ გაუნდიათ.

საინტერესო ეპიზოდები

შეთქმულების უმნიშვნელოვანესი ასპექტი შეკრებათა საიდუმლოების უზრუნველყოფა იყო. პოლიცია რეგულარულად აკონტროლებდა ცნობილ დამნაშავეებს, მეთვალყურეობას უწევდა მათ ადგილსამყოფელს, ურთიერთკავშირებს, აფიქსირებდნენ მათ უმნიშვნელო მოქმედებებსაც კი, რომლებიც მიანიშნებდნენ დანაშაულისათვის სამზადისს. რეინოლდსი, ედვარდსი და ვილსონი ახლო მეგობრები იყვნენ. მათ ხაკუთარი კანტორები ჰქონდათ, რომლებიც ეჭვს არ იწვევდნენ და აქ ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. გარდა ამისა, ედვარდს ჰქონდა რეგულარული ტვიკენემში შესანიშნავი სახლი ჰქონდა. ვილსონის ხილის სავაჭრო მაღე ინფორმაციის შეკრების ცენტრად იქცა. ინფორმაცია მოდიოდა კოვენტ გარდენიდან, სადაც დამნაშავეებმა კარგად მოიკიდეს ფეხი. რეინოლდსი და ჰუდი თავგამოდებული მეთევვეები იყვნენ, რაც იმის საშუალებას აძლევდა მათ, რომ მსხდარიყვნენ მდინარის პირას და მშვიდად განეხილათ საქმის ყველა დეტალი. ბანდის კიდევ ერთმა წევრმა, რომელიც კომპროვაიორი გახდა, კარგი ხაზბა იბოვა, რათა ავტომობილით ემოგზაურა ბეკინგემის საჯრაფოში, შესწავლა გასრივი და ჩეტარებინა მანძილების ქრონომეტრირება. ერთმა ბანდიტმა მოსალოდნელ სამოქმედო ადგილზე კოტეჯიც კი შეიძინა.

მიიღეს სიფრთხილის განსაკუთრებული ღონისძიებანი. ყველა ინფორმაციის კოდირება ხდებოდა და იგზავნებოდა „მუშაკების“ ცოლებს მეშვებობით, როცა ისინი მოგზაურობდნენ თავიანთი საქმეების გამო. ამას გარდა, ცნობებს აგზავნიდნენ იმ მეგობრების მეშვებობითაც, რომლებიც კოდირებულ გამოძახებებს იღებდნენ ქუჩის ტელეფონავტომატებიდან. საიდუმლო ინფორმაციების გადაცემისათვის იყენებდ-

ნენ აგრეთვე პარკებს, ბაზრებსა და სასპორტო
იუნდებს.

ყველა კარგად და შეფუჭებების გარეშე მო-
ქვდებოდა. ოპერაცია ისე უწყობად დამუშავდა,
რომ უკანასკნელ მომენტამდე არ დადგარა
მთელი ბანდის შეკრების აუცილებლობა.

მაგრამ ძარცვის შემდგომი პერიოდის გეგმა
კარგად არ იყო შემუშავებული. თვლიდნენ,
რომ თითოეული მიხედავდა თავის თავს კუთ-
ვნილი თანხის მიღების შემდეგ. რეინოლდსი,
მაგალითად, თავისი ნადავლის ინგლისიდან გა-
ტანას აპირებდა, და როგორც ჩანს, ტანაღერის
ან გინზალტარის გავლით ფულს შვეიცარიის
ბანკში გადააგზავნიდა (იმ დროს ლონდონის
აეროპორტიდან საბაჟო შემოწმების გარეშე
საკმაოდ იოლი იყო პაკეტების გადაგზავნა).
სინამდვილეში კი დღემდე უცნობია, თუ სად
მოათავსა მოპარული ჯანძის ფანტასტიკური ნა-
წილი. ეს საიდუმლოებით არის მოცული. სრუ-
ლიად შესაძლებელია, რომ მაღალი დონის
„დიპლომატიური“ გარიგების შედეგად განგხ-
ტერთა ნაწილმა შეერთეს თავიანთი ფული და
აფრიკის ან სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ქვეყ-
ნის აქციებსა და თამაშუბებში დააბანდეს; აქე-
რან მიღებული დევიდენტებით ისინი სიცოცხ-
ლის ბოლომდე კომფორტით იცხოვრებდნენ.

„საჭმის“ დაფინანსებისათვის განახორციე-
ლეს ერთი ელვისებური ძარცვა.

62 500 გირვანძა სტარლინგი 8 წუთში

1962 წლის 27 ნოემბერს დაახლოებით დი-
ლის 8 საათსა და 15 წუთზე სამი მამაკაცი შე-
ვიდა ლონდონის აეროპორტ „კომენტ ჰაუსის“
შენობის უკანასკნელი სართულის ტუალეტში.
დამლაგებელს ტუალეტის კარები დაკეტული
რომ დახვდა, აღარ მოუცვლია და წვაინდა. ბო-
რობრომეტიდები ფანჯრიდან უყურებდნენ ბან-
კის ფურგონს, რომელიც ის-ის იყო მოვიდა და
„ბერკლი ბენქსიდან“ მოიტანა აეროპორტის
პერსონალთა ხელფასისათვის განკუთვნილი ფუ-
ლი. როცა გამოჩნდა ავტომობილი ბ(რ)პ(ი)
(ბრიტიშ ოვერსის ერთეულის კორპორეიშნი) ბან-
კის ფურგონის ორი მცველით, განგხტერებმა
სახეზე ჩამოიფარეს მუქი ლურჯი კაბიულო-
ნები, ლიფტისაკენ გაემართნენ, რომელიც
ბლოკირებული იყო და საგანგაშო სიგნალიც
წინასწარ ჰქონდა გადაჭრილი. ვიღერ ლიფტი
ძირს ეშვებოდა, პირველ სართულზე ორი კა-
ცი თვალყურს ადევნებდა კაბინის მძღრობის
მაჩვენებელ ანთებულ ტაბლს. როცა კაბინა
მათ გაუხწოდა, ისინი კაბინისაკენ გაემართნენ
და მშვიდად ჩავიდნენ. მათ მუქი პალტოები და
ზოღებიანი შარვლები ეცვათ, თავზე კი ქვაბ-
ჩულები ეხურათ. ბოლო ქოლგები და პორტ


ფელები ავსებდნენ ინგლისელთა უმრავლესო-
ბის ტიპურ სამოსებს.

ორმა მოსამხატურმ და ერთმა მცველმა შე-
ნობაში შემოიტანეს შავი ჩემოდანი, რომელ-
შიც ხელფასისათვის განკუთვნილი 62 500 გირ-
ვანძა სტარლინგი იყო. ჩემოდანი ურიკაზე შე-
მოღვეს. იმ მომენტში, როცა ურიკა ლიფტთან
შიაგორეს, ლიფტის კარები გაიხსნა და ხელე-
ტებ მომარჩეველში სამი კაცი თავს დაესხა
გამცილებლეს. პირველ სართულზე მყოფი
ორი თანამზრახველის და კიდევ ქუჩიდან შე-
მოსული ორის დახმარებით, სწრაფად ჩაახშვეს
გაწეული წინააღმდეგობა. ოპერაციას სულ სა-
მი წუთი დასჭირდა. შავი ჩემოდანი ქუჩაში გა-
მოიტანეს და ჩადეს ერთ-ერთ მოპარულ „ია-
გუარში“, რომელიც აეროპორტის შენობის შე-
სასვლელთან ახლოს მდებარე სადგომზე იყო.

ვილცამ ეცადა გადალობებოდა მძარცველებს
და მთავარი ჰიშკარი გადაკეტეს. მაგრამ განგხ-
ტერებს ესეც გათვალისწინებული ჰქონდათ:
ისინი გავიდნენ მოპირდაპირე მხარეს არსებუ-
ლი ჰიშკრიდან, რომელსაც იშვიათად იყენებ-
დნენ. ამ ჰიშკარზე მხოლოდ ჯაჭვი იყო გახმუ-
ლი (თავდახხმამდე რამდენიმე დღით ადრე ამ
ჰიშკარზე საკეტები გაჭრა). პირველი „იაგუ-
არიდან“ გადმოხტა ერთი და რკინის საჭრელი
მაკრატლით გადაჭრა ჯაჭვი, რის შემდეგაც
ორივე ავტომობილი გავიდა აეროპორტის ტე-
რიტორიიდან და გაემართნენ ჰუნსლოუს მი-
მართულებით. გზაზე მანქანები მიატოვეს. ერთ-
ერთ „იაგუარში“ პოლიციამ მხოლოდ ლითონ-
საჭრელი მაკრატელი იპოვა, ხოლო შანის ნომ-
რით დაადგინეს ორივე მანქანის ნამდვილ
მფლობელთა ვინაობა. თითის ნაბეჭდები არ
აღმოჩნდა არც „კომენტ ჰაუსში“ და არც „ია-
გუარებში“.

პოლიციას ეგვი ჰუღზე, ჩემისზე და მაიკლზე
ჰქონდა აღებული და დაპკითხეს ისინი, თუშცა
მათი ბინების ჩხრეკას შედეგი არ გამოუღია.
მეორე დღეს კენონ როულზე მდებარე საპო-
ლიციო კომისარიატში ჩატარდა ამოცნობა,
მაგრამ ვერც ერთი ეგვიტანილი ვერ ამოიცნეს.
ამოცნობის მეორე სენსი ჩატარდა 11 დეკემ-
ბერს ტვიკენშემის კომისარიატში. აქ ეგვიტა-
ნილებს ზუსტად ისე ჩააცვეს როგორც განგხ-
ტერებს ეცვათ თავდახხმის დროს: მუქი პალ-
ტოები, ზოლიანი შარვლები, თავზე ქვაბ-ქუ-
ლები, ხელში ქოლგები და პორტფელები,
მიწებებული უღვაშებითა და ხათვალეებით
(ყველაფერი თეატრის კოსტუმერიიდან ითხო-
ვეს).

მაიკლ ბოლი ამოიცნეს როგორც ერთ-ერთი
ბოროტმოქმედი, რომელიც ძარცვის დღეს „კო-
მენტ ჰაუსის“ წინ სეირნობდა. ისტონ როულ-
ზე მდებარე ინსტრუმენტების მაღაზიის მო-



ვატრემ ამოიცნო ბოლი და თქვა, რომ აქ შეიძინა ლითონმკრელი მაკრატელიო. მას თვალში მოხვდა, რომ ბოლს ქვერადღებულ კოსტიუმზე ზემოდან გადაცმული ჰქონდა სპეციალური სამოსი. ბოლი შეურე გაქვიდგებოდა, რომელიც ასევე დაინტერესდა ასეთი ჩაცმულობით, ბოლი მაღაზიის გასასვლელამდე მიაცილა და დაინახა როგორ ჩაქდა იგი „იაგუარში“. მას ეს რამდენადმე უცნაურად მოეჩვენა და ამის თაობაზე პოლიციას აცნობა. ბოლი „გატყდა“ და ყველაფერი აღიარა.

პოლიცია დარწმუნებული იყო, რომ ქარცვაში სხვებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. და ამოცნობის შესამე სენახიც ჩატარა. ამჟამად ბოლი სხვა ექვმიტანილებს შორის ჩაყენეს. ვერც ნილსონი და ვერც ჰუდი ახლა უკვე ვეღარ გაეჭენენ ბედისწერას.

სამივეს ბრალდება წაუყენეს, მაგრამ მხოლოდ ბოლი აღიარეს დამნაშავედ და ნ წლით ციხე მიუხაჯეს. მოხმართლემ ვილსონი მას

შემდეგ გაამართლა, როცა პროკურორმა საქმის ვითარება წარმოადგინა. ჰუდიც გაამართლეს სასამართლოს მეორე სხდომაზე. რაღაც პირველ სხდომაზე მსაჯოლები ერთ აზრამდე ვერ მივიდნენ. ჰუდს უიჭველო აღიბები ჰქონდა. 27 ნოემბრის დილით იგი იყო ვესტ-ენდში თეთრეულით მოვატრესთან. შემდეგ მან ყავა დალია პიკადილზე მდებარე „კარდომაში“, ხოლო იმ მომენტში, როცა რესტორნიდან გამოდიოდა, ერთ-ერთ იქ მყოფს დაეჭახა, რომელსაც კიქიდან ღვინო შეესხა კოსტიუმზე. ჰუდმა ბოლიში მოუხადა, თავისი სავიზიტო ბარათი უბოძა და სთხოვა ქიმწმენდის ანგარიში მე გამომიგზავნე გადასახდელადო. ის კაცი საზოგადოება „ჩესვიკის“ დირექტორი სიმონ ბლექჩილი აღმოჩნდა, რომელიც ჯაზეთებში „დეიტი ტელეგრაფი“ და „ინინგ სტანდარტში“ გამოქვეყნებული განცხადებებით მოძებნეს.

მოპარულ ფულს კი ვერაფრით მიაგნეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

განცხადება


„საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“
მისაღები გამოცდების პროგრამა

**თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ
ფაკულტეტზე შემსვლალთათვის**

რბს შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სასწავლო კურსი. რა არის სახელმწიფო, რა არის სამართალი. მათი წარმოშობის მიზეზები და მათი ისტორიული ბედი. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები. ექსპლუატატორული და არაექსპლუატატორული (სოციალისტური) ტიპის სახელმწიფო და სამართალი. სახელმწიფოს ფორმები. მონარქია და რესპუბლიკა. უნიტარული (მარტივი) და ფედერაციული (რთული) სახელმწიფოები. სახელმწიფოს ფუნქციები. სახელმწიფოს მექანიზმი. სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო მმართველობის, სამართალდამცავი ორგანოები. სამართლის ნორმები. სამართლის დარგები. სამართლის ფორმები (წყაროები). სამართლებრივი ურთიერთობა.

1. საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობა. საბჭოთა სახელმწიფო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. სოციალისტური სახელმწიფო, როგორც ახალი და უმადლესი ტიპის სახელმწიფო. ვ. ი. ლენინი



საბჭოთა სახელმწიფოს დამფუძნებელი, კომუნისტური პარტიის როლი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა და შემდგომ განვითარებაში. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველი ეტაპი — პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების შესრულება და მისი თანდათანობით განვითარების საჭიროება საერთო სახალხო სახელმწიფომდე ამ ცნების სრული მოცულობით. სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

II. სამართალი და წინეობა სოციალისტურ საზოგადოებაში

სოციალისტური სამართლის წარმოშობა სოციალისტურ სახელმწიფოსთან ერთად. პირველი საბჭოთა დეკრეტები.

საბჭოთა სოციალისტური სამართალი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა. სოციალისტური სამართლის ნორმები, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ნებისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამოხატველი ქცევის წესები. სამართლის ნორმების განსხვავება საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სხვა სოციალური ნორმებისაგან (წინეობა, ჩვეულება, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესი).

სოციალისტური სამართლის ფორმები (წყაროები), ნორმატიული აქტები. კანონი, როგორც სოციალისტური სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

სამართლებრივი ურთიერთობანი სოციალისტურ საზოგადოებაში. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები (სამართლის სუბიექტები). მათი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. სამართლის სუბიექტის უფლება და მოვალეობა.

კომუნისტური წინეობა და საბჭოთა სამართალი, კომუნისტური წინეობის ნორმები. კომუნისტური პარტიის მისწრაფება მათი დამკვიდრებისათვის საბჭოთა ადამიანების შეგნებაში, ქცევაში და ურთიერთობაში. კომუნისტური წინეობის როლი სოციალისტური სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფაში. სოციალისტური სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფა საბჭოთა სახელმწიფოს აღმზრდელობითი და იძულებითი ღონისძიებებით. სამართლებრივი აღზრდის შინაარსი და მნიშვნელობა. წინეობრივი და სამართლებრივი აღზრდის ერთიანობა.

III. კანონიერება და მართლწესრიგი


სოციალისტური კანონიერების ცნება, ვ. ი. ლენინი სოციალისტური კანონიერების შესახებ. სოციალისტური მართლწესრიგის ცნება. კანონი და კანონმდებლობა.

კანონის გამოცემის წესი სსრ კავშირში. კანონების გამოცემა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ. სამართლის ცალკეული დარგების კანონმდებლობის საფუძვლები, კოდექსები და კანონთა კრებულები. მართლწესრიგი ქცევა და სამართალდარღვევა. სამართალდარღვევათა სანქციები. სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა. იურიდიული პასუხისმგებლობის სახეები. ბრალი, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველი: განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალი. კანონის უკუქცევითი ძალა. უდანაშაულობის პრეზუმპცია.

IV. სსრ კავშირის სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი

საბჭოთა სახელმწიფო სამართალი, როგორც სოციალისტური სამართლის დარგი.

სახელმწიფოს სამართალი ანუ კონსტიტუციური სამართალი მთლიანად საბჭოთა სოციალისტური სამართლის უმნიშვნელოვანესი და წამყვანი დარგია. კონსტიტუციის ცნება. საბჭოთა კონსტიტუციის განსხვავება ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან. პირველი საბჭოთა კონსტიტუცია — რსფსრ-ის 1918 წლის კონსტიტუცია. სსრ კავშირის 1924 წლის, 1936 წლისა და 1977 წლის კონსტიტუციები. 1988 წლის კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. კონსტიტუციის — სახელმწიფოს ძირითადი კანონის სტრუქტურა — პრეამბულა (შესავალი), კარები, თავები, მუხლები. საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუცია.



V. სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და კოლტიპის საფუძვლები

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის არსი. ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, მისი მიზანი და მთავარი ამოცანები. ხალხის სრულძალაუფლებიანობა სსრ კავშირში. სახალხო დემოკრატია საბჭოები სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველი. საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები — დემოკრატიული ცენტრალიზმი და სოციალისტური კანონიერება.

საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის ბირთვია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. სოციალისტური სახელმწიფო და საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტები — პროფკავშირები, ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. შრომითი კოლექტივების როლი საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

საბჭოთა ეკონომიკური სისტემა. სოციალისტური საკუთრება — ეკონომიკური სისტემის საფუძველია. სოციალისტური საკუთრების ფორმები სსრ კავშირში. საბჭოთა მოქალაქეების პირადი საკუთრება.

სსრ კავშირის სოციალურ საფუძველს შეადგენს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი. სოციალისტური წარმოების უმაღლესი მიზანია ხალხის სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება. საბჭოთა ადამიანების შრომა საზოგადოებრივი სიმდიდრის წარდის, ადამიანის კეთილდღეობის წყაროა, მატერიალურ ღირებულებათა განაწილება სოციალიზმის დროს.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და პრინციპები. სოციალისტური საშობლობის დაცვა მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა. საყოველთაო-სამხედრო ვალდებულება სსრ კავშირში.

VI. სახელმწიფო და პიროვნება

სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობა სოციალისტურ საზოგადოებაში, მათი ურთიერთუფლებები და ურთიერთპასუხისმგებლობა.

საბჭოთა მოქალაქეობა, როგორც პიროვნების მიკუთვნება საბჭოთა სახელმწიფოსადმი. მოქალაქის პასპორტი — პიროვნების დამადასტურებელი მთავარი დოკუმენტია. სრულწლოვანების დადგომა. არასრულწლოვანის პასუხისმგებლობის წარდა ასაკთან ერთად.

საბჭოთა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეთა თანასწორი უფლებები. სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებების და მოვალეობების ცნებები.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები: შრომის უფლება, დასვენების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, ბინის უფლება, განათლების უფლება, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება, მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

პირადი უფლებები და თავისუფლებები.

მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენების დაუშვებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისა და სხვა მოქალაქეთა უფლებების საზიანოდ.

სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი მოვალეობანი.

VII. სსრ კავშირის პიროვნულ-სახელმწიფო წესრიგი

სსრ კავშირი მრავალეროვანი სოციალისტური საკავშირო სახელმწიფოა. სახელმწიფო წესრიგების ფორმით სსრ კავშირი ფედერაციული სახელმწიფოა. მისი შექმნა და განვითარება. მოკავშირე რესპუბლიკები — საბჭოთა ფედერაციის წევრები. მოკავშირე რესპუბლიკებში შემავალი ავტონომიური ერთეულები. ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური ოკრუგი.

სსრ კავშირის გამგებლობისადმი, მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით, განკუთვნილი საკითხები.

მოკავშირე რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა. მისი სუვერენიტეტი. მისი ტერიტორია. მისი კონსტიტუცია. სსრ კავშირიდან თავისუფალი ქსავლის უფლება.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სსრ კავშირის შემადგენლობაში. ავტონომიური ერთეულების უფლებრივი მდგომარეობა. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები საქართველოს სსრ შემადგენლობაში. ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

VIII. საბჭოთა სახელმწიფოს ორბანოთა სისტემა

სახალხო დემუტატთა საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები. მათი სისტემა და საქმიანობის პრინციპები. სახალხო დემუტატთა — ხალხის წარმომადგენელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში.

სახალხო დემუტატთა არჩევნები. საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები: საყოველთაო, თანაწორი, პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით. სახალხო დემუტატთა ერთი მეხამედის არჩევა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. სახალხო დემუტატთა არჩევნების ჩატარების წესი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი კანონების საფუძველზე.

სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა ყრილობა — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. მისი შექმნის წესი, შემადგენლობა და მუშაობის რეგლამენტი. მის განსაკუთრებულ გამგებლობაში შემავალი საკითხები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმოქმედი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და საკონტროლო ორგანო. მისი შექმნის წესი, შემადგენლობა, ორპალატიანი სისტემა, მუშაობის რეგლამენტი, უფლებამოსილება. პრეზიდიუმი — უმაღლესი საბჭოსადმი ანგარიშვალდებული ორგანო. მისი შემადგენლობა, ფუნქციები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი. მისი უფლებამოსილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიები. სსრ კავშირის საკონსტიტუციო შედამხედველობის კომიტეტი. მისი შემადგენლობა. დანიშნულება და უფლებამოსილება.

სსრ კავშირის მთავრობა როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო. მისი შექმნის წესი და შემადგენლობა. მისი უფლებამოსილება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი. მინისტრთა საბჭოს აქტები.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.


სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები — ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები.

IX. საბჭოთა სახელმწიფოს სამართლებრივი ორბანოები

საბჭოთა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოები. სსრ კავშირში მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ. ყველა სასამართლოს შექმნა მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე. სასამართლოებში საქმეთა განხილვა სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი. ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა. ადვოკატთა კოლეგიები. ყველა სასამართლოში საქმის დიად გარჩევა, კანონით დადგენილი გამონაკლისები, ენა, რომელზეც მიმდინარეობს სამართლებრივი მოგება. სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა. გადაწყვეტილება და განაჩენი. განჩინება.

სახელმწიფო აბრიტრაჟის ორგანოები. საბჭოთა პროკურატურა — კანონების შესტად შესრულებაზე შედამხედველობის ორგანო. პროკურატურის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. მისი დანიშნის წესი.

შინაგან საქმეთა ორგანოები. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები. სახალხო კონტროლის ორგანოები საბჭოთა სახელმწიფოში.



X. შრომის სამართალი

სსრ კავშირის კონსტიტუცია შრომის უფლებისა და შრომითი მოვალეობების შესახებ. შრომითი ბელშეკრულება, შრომის დისციპლინა. სამუშაოზე მიღების და გაფორმების წესი. სხვა სამუშაოზე გადაყვანა, დათხოვნის წესი. შრომის წიგნაკი. ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღება, ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის თავისებურებანი. შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირება. მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა.

სამუშაო დრო და დანებების დრო. მოზარდთა სამუშაო დრო. არასრულწლოვანთა შვებულება-შეღავათები იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც სწავლას უთავსებენ შრომას.

მოსწავლეთა მიერ სკოლისგარეშე დროის გონივრულად გამოყენების აუცილებლობა. სახელმწიფოს ზრუნვა საბჭოთა ადამიანის დასვენებისათვის.

შრომის დაცვა სსრ კავშირში. ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვა, შრომის ანაზღაურება.

შრომის კანონების ექსპლუატატორული არსი კაპიტალისტურ ქვეყნებში.

XI. სსსრფსო-სამეურნეო სამართალი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფა პარტიისა და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება და დაცვა კოლმეურნეობაში. შრომის დისციპლინა კოლმეურნეობაში. საბჭოთა მეურნეობები.

XII. სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო სამართლის, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილენი. სამოქალაქო უფლებათაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საკუთრების უფლება. სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებანი. სახელშეკრულებო ვალდებულებები. ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებანი. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება.

XIII. სსრჯანსო სამართალი

საბჭოთა საოჯახო სამართლის ამოცანები. ქორწინების წესი და პირობები. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობანი. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობა. მშობელთა უფლებანი, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. შვილების მოვალეობანი.

XIV. ადმინისტრაციული სამართალი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა), ადმინისტრაციული სახელმძღვანელების სახეები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წვრილმანი დეტალებისათვის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებისათვის და ალკოჰოლიზმისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნადირობის წესების დარღვევისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ისტორიის და კულტურის ძეგლების დაცვის წესების დარღვევისათვის.

XV. სისხლის სამართალი

დანაშაულის ცნება, პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. აუცილებელი მოგერიება და დამნაშავეს შეპყრობა. უკიდურესი აუცილებლობა. ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. სასჯელი, მისი მიზნები. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღმზრდელობით-იძულებითი ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი. დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გარდუვალობა. პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის. პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულისათვის. პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის. პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის. პასუხისმგებლობა იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარების, შენახვის, შექმნის, დამზადების ან განსაღებისათვის. დანაშაულთა სახეები, რომლებზედაც პასუხისმგებლობა დგება 14 წლის ასაკიდან.



«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»). № 3 1989 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 153 / 88



ფანდი 60 353

ინდექსი 76185
